

12

ივერია

1881

258

№ IV, აპრილი.



თბილისი
ექვთიმე სულაძის სტამბა
1881

ზინაარსი:

I პირველი მარტი 1881 წლისა.	
II შეკრულების მოძღვარი, რომანი ოლივერ გოლდ- სმიტისა (შემდეგი)	3
III სიზმარი (ლექსი), აკაკისა	58
IV რუსეთის ეხლანდელი მდგომარეობა (სტატია პირველი) გ. თ—მ—ისა	60
V საყვედური (ლექსი), აკაკისა	73
VI ორ ცეცხლ-შუა, სამ-მოქმედებანი დრამა ემილ დე ჟირარდენისა (ქრისტეშუღლიდამ).	75
VII დედა-ენა (ლექსი) თ. რაფ. ერისთავისა.	129
VIII ზადაკარგული მხარე (სეკსურეთი და სეკსურე- ბი) ა. ვაზბეგისა.	131
IX ახალი წიგნები (დავითიანი—ემაწვილი და ფრინ- ველი).	148
X «იმედის» ბელეტრისტიკა	151
XI ზანცხადება (ქაფი).	

ივერია

საპოლიტიკო და სალიტერატურო
ჟურნალი.

წელიწადი მეხუთე.

№ IV

თბილისი.

ექვთიმე ხელაძის სტამბა, აკამანის ქუჩაზე.

1881

856

Дозволено цензурою. Тифлисъ, 4 Марта 1881 г.

ვეპიკილის მოძღვარი.

(შეიწივეთ*)

თ ა გ ი XXII

ვინც გვიყვარს, იმას შეცოდებასაც მალე ვაპატიებთ.

მეორე დღეს შემოვიხვი ცხენზედ ჩემი ქალი და შინის-
კენ გავემგზავრე. გზაზედ სულ იმას ველაზაჩაკებოდი, ნულა-
ჩაიუერზედა სწუხარ-მეთქი; მინდოდა სიტყვით რამე მენუგე-
შებინა, რომ უფრო ადვილად აეტანა შეწუხებულ დედის საყ-
ვედური. ჩვენ მოგვისდა მშვენიერს მხარეზედ გავლა და გზა-
ზედ ვუხსნიდი ჩემს ქალს, შესედე, ზეცას ჩვენთვის უფრო
მეტო სიკეთე უნდა, ვიდრე ჩვენ ერთმანეთისათვის; შესედე,
რომ მშვენიერის ბუნებით დაგვასახუქრას! რაც უბედურება გვეწ-
ვეს ხოლმე, უფრო ჩვენის თავისვე ბრალია, ვიდრე ზეცისა
მეთქი. ვარწმუნებდი, რომ იმისმა ამბავმა სრულებით ვერ
შესტვალა ჩემი გული და ვიდრე სული მედგოდა ვიქნებოდი
იმის მიჯარველად და წინამძღვრად. ვარიგებდი რომ ქვეყნის
ყაყანისთვის უფრო არ ეგდო; კეთილსა წიგნები, რადგან უბე-
დური მათთანა ტკბილსა და უსაყვედურო მეგობარს ვერ იმა-

*) «ივერია» № № 1, 2 და 3, 1881 წ.

ვის და წიგნები თუ ვერას გვესაძიებენ, იმას მაინც გვასწავლან, უსაძიებლად ცხოვრება როგორ ზიანად.

ცხენი ნაქირობები გვეყვება და შიშობს ისე გვექმნება, გზაზე ერთს სასტუმროში მიგვებარებინა, რომელიც სუთს მიღწედა იყო ჩვენის სასლიდამ მომტრული. მე მინდოდა ჩემის სასლობისათვის წინ-და-წინ შემტრეობინებინა ჩემის ქალის შიშის ამბავი; იმ დამეს ის იქ სასტუმროში დამგდო და მეორე დღეს, მე და ჩემი ქალი სოფიო ერთად მოვსულავით და წავიქვანა. ჩამოღამდა, ვიდრე დანიშნულს სასტუმრომდე მივიდოდით; მაგრამ მაინც გადავკონე ჩემი ქალი და შინისაკენ გავუშურე. წასვლის წინად სუთთა ოთახში დაკანონა და სასტუმროს მატრონს ვუთხარი, როგორი არა მოკლეთ-არა-მეთქი. გულმა მინარულებით ფანტაზიური დამიწყო, ჩემს მშვიდობიანს სამყოფს რომ მივუასლოდი. როგორც ბუდიდამ დამოთხალი ჩიტი ბუდისაკენვე მიიწევს, მეც ისე შინისკენ მივუბრუნებოდა. გული აღარ მიძლავდა: მინდოდა ჩქარა ჩემს შატარა ბუნისას სლო დავედარებოდა და ჩემი სასლობა გარს მსვეოდა. ვიგონებდი, რამდენი სვეტა-კონა უნდა ძლიერებოდა ჩემის ცოლ-შვილისაგან. თითქმის ვიგრძენი ჩემის ცოლის ნაზად მოსვეტა, სასწეოდ დამიღო მომდიოდა, როცა მაგონებოდა ჩემის შატარების სინარული. მივდიოდი ხელის ნაბიჯით, ასე თქმებით გატაცებული და ძლივს შევამჩნივე, რომ სრულებით დაღამებულიყო. მუშებს ეგელას დასმინებოდათ; ქონებში სინათლე აღმსადა სჩანდა; გარდა მამლის-ყვილისა და ძაღლის ყვირისა, სმაურობაც აღმსად იყო! დავუასლოდი ჩემს სასლას და ცოტა გზადა რომ დამჩნა, ჩვენი ერთგული ძაღლი დაქუცით წინ მომეკება.

შუალამე იყო, როცა ჩემის სასლის კარებს მივადექ და დაკაკა-

კნე. ეველგან სიხუმე სუფევდა; გული გამოუთქმელის ბედნიერებითა მქონდა მოცული. უცნაოდ ავარდა საძინელი ალი ჩვენს სახლსა და ყოველს ფანჯარასა და კარებში ცუცხლი გამოხნდა. ერთი საძინლად დაგივივლე და უგრძობლად ძირს დავეცი. ამ კვილმა გამოაღვიძა ჩემი შვილი, რომელსაც ტბილად ეძინა, და ცუცხლი რომ დაინახა, საჩუაროდ დააღვიძა ჩემი ცოლი და ქალი. ეველგანი ზეარსების-ამარა კარში გამოცვივდენ; ეველგან შიშმა სასე შეუცვალა. მათმა მწუსარების სმაურობამ მეც გამომაფხინა, და გამომაფხინა იმიტომ, რომ კიდეც ახალი ტანვევა მომდგომდა: ჩვენის სახლის ჭერსაც მთლად ერთიანად ცუცხლი მოსდებოდა და ხან აქ ჩამოიქცეოდა, ხან იქა. ჩემი ცოლ-შვილი კი იდგა ჩუმიად, მწუსარებისაგან გაშტურებული, თითქო სეირს უნქეჩისო. მეც ჯერ ცუცხლ-წაკვიდებულს სახლს დავეუწეე უურება, მერე ჩემს ცოლ-შვილს, და შევაძინე რომ ჩემი შატარები არსად იყვნენ.

— ვაიმე! დავიძახე მე. სად არიან ჩემი შატარები, სად არიან?

— ცუცხლში დაიწვენენ და მეც უნდა იმათ კვალს გამოვივებო, სთქვა ჩემმა ცოლმა თითქო დამშვიდებით.

ამ დროს შემომესმა ჩემის ბავშვების ყვირილი. ის იყო ცუცხლს გამოეღვიძებინა და აბა რაღა გამახერებდა, იმათი ყვირილი რომ გავიგონე.

— სად ხართ, ჩემო სინცოცხლეებო, სადა! დავივიწიე მე, შევვარდი ცუცხლში და შევამტვრიე იმ ოთახის კარები, რომელშიაც ისინი იყვნენ. სადა ხართ შვილებო, სადა?

— აქა ვართ, მამა, აქა! შემომძახეს ორივემ ერთად.

ცუცხლს იმათ ღოგინამდე მივლწია. ავიყვანე ორივე სელ-

ში და საჩქაროდ გამოვაცხადე აღსა. ის იყო გამოკვედი თუ არა, ჭკობის ჩამოწვა.

— ესაა, დეე ცეცხლმა თუნდა მთელი ჩემი ქონება შთანთქმას, რა გი ჩემი საუნჯე დავისსენ ცეცხლისაგან. აი, ჩემო საყვარელო, აი ჩვენი საუნჯე, ესაა შეგვიძლიან კიდევ ბედნიერად ვიცხოვროთ, ვუთხარ მე ჩემს ცოლს და დავანასვე ჩემი შატარები.

ას-ჯერ და ათას-ჯერ გადავკოცნეთ და იმათი ყელზედ თავიანთ შაწია ხელები შემოგვასვიეს; ეტყობოდათ ისინიც ჩვენსავით აღტაცებაში იყვნენ მოსუფნი. იმათი დედა ხან იტიროდა, ხან სტიროდა.

ესაა მე დამშვიდებული ვუცქეროდი აღსა და მხოლოდ შატარას ხანს უკან შევნიშნე, რომ ძეგავა მხარამდე საშინლად გაღურჯული მქონდა აღისაგან. ამიტომ ველანაფერში შევიწიე ჩემს შვილსა: ვერც ჩვენი ავეჯულობის გამოზიდვასა, ვერც იმაში რომ აღი სასლიდამ ბელელზედ აღარ გადაგვეშვა. მესობლებმაც შეიტყეს ჩვენი აღიანქოთი და მოცვიოდენ მოსაშეკლებლად, მაგრამ ისინიც ვერაფერს ვასდენ. გაჩერდენ ჩვენსავით და დაუწყეს უჩრება ჩვენს უბედურებას. ჩემი ქონება მთლად ერთიანად დაიწვა; სხვათა შორის ბანკის ბილეთებიც, რომელნიც ჩემის ქალების მზითვისთვის მქონდა შენახული. გადაჩნა მხოლოდ რაღაც უბრალო ქაღალდების ყუთი, რომელიც სამწარეულოში იღვა და ორიოდ სამი ავეჯი, რომლის გამოტანაც ჩემმა შვილმა ცეცხლის გამოღებებამდე მოასწრო. მესობლებმა, როგორც გი შეეძლოთ, ხელი გაგვიძირეთეს და მწუნარება შეგვიმსუბუქეს: მოგვიტანეს ტანისამოსი და ერთს ჩვენს ქონებაში, რომელიც ცეცხლს გადაჩნა, მოზიდეს თავიანთ სასლებიდან, რაც ავეჯულობა გვეჭირებოდა. დილა რომ გა-

თენდა, თუმიტა რიგიანი კი ჰარა, მაგრამ თავ-შესაფარებელი ჭერი მანინა გვერდია. ჩემი მეზობელი ძღაძობრო და იმისი შვილები ბევრს ეცადნენ, დიდი ნაკლულებანება არა შეემხვევითარა ჩვენთვის და გვანუგებდენ, როგორც კი შექმლო ნუგეშის მოცემა უბრალო და კეთილას გულის ხალხსა.

როდესაც ჩემს ცოლ-შვილს პირველმა შიშმა გადაუარა, მეითხეს, ამდენს ხანს გარეც რად დარჩიო. ვუამბე ყოველისფერი დაწვრილებით და დავარბე რომ რიგიანად მიეღოთ ჩვენი ქალი. თუმიტა კი დიდა სიღარიბეში ჩავცვივდით, მაგრამ ისიც დიდი ნუგეში იქნებოდა იმისთვის, რომ ჩვენს სიღარიბეში სიამოვნებით წილი დაგვედო. ამის მოხერხება ცოტა გამძნელდებოდა, უგანსკენელი უბედურება რომ არ შეკვძოთვევოდა; ჩვენმა გადატარებამ შეუძლია ჩემს ცოლს ამხარტარება და იმის გული მწვავს მწუხარებას შესაჩივ.

მკლავი ძალიან ამკვივდა და მე ვეღარ შევძელ წასვლა; ჩემი ორი შვილი, მასე და სოფიო გავგზავნე ოლივისა მოსაყვანად. ესენი მალე დაბრუნდენ და თან ჩემი ცოდილი ქალიც მოიყვანეს. საწყალმა ქალმა სირცხვილით მალლა ვეღარ აისედა, ვეღარ გაუსწორა თავლი თავის დედას, რომელსაც ბევრი ვეცადე, მაგრამ ვერ დავაგვიწე სრულებით მისი შეცოდება. მანინა ასეა: დედა-კაცი უფრო მკაცრად ეყრებოდა შემცოდე ქალს, ვიდრე მამა-კაცი.

— ძალიან ღარიბს სახლში მობძანებულხართ, ქალ-ბატონო, შემდეგ იმ ნებივრობისა, რომელიც თქვენ უმტკილია არ გავლდებოდათ, უთხრა დედამ. მე და ჩემი ქალი სოფიო რა დროს გავატარებინებთ იმისთანა პირს, ვისაც დიდ-კაცებში უცხოვრია. ოჲ, ოლივისა, ოლივისა! ბევრი ტანჯვა მოგვყენე მეცა და

ძამა-შენსაც, მაგრამ იმედი მაქვს ღმერთი არ გაგკითხავს ამ ტანჯვისათვის.

ჩემი ცოლი რომ ამ სიტყვებით მიესალმა, ჩემი უბედური ქალი იდგა ფერ-მკრთალი და სულ განკალი მოხდიოდა. კვლავ ტირილს ასკრებდა, კვლავ სმის ამოღებას. მე კვლავ შევძელ ვურება, ამ ყოფაში რომ ვსვდავდი და შეძეგო სიტყვები ჩემს ცოლს ისეთის მკაცრის სმით ვუთხარი, რომ უჩნობა აღარავის შეეძლო.

— მე მითქვამს და გამითავებია, რომ ჩემს ჭკერ-ჭკვემ მოვიყვანე დღეს გზა-დაბნეული ცოდვილი სული. თუ გვინდა რომ თავის მოკვლეობის შესრულებას შეუდგეს, უნდა უწინდებულად სიყვარულით მოვექცეთ. ბედმა საშინელი უბედურება დაგვატყა თავსა, მაგრამ ამას მანაც ვერცდლოთ რომ ეს უბედურება ერთმანერთში უთანხმოებით აღარ გაგასვლიადლოთ. თუ ტბილად ვინცნოვრებთ, კიდევ შეგვიძლიან ვიყვნეთ გამყოფილნი, რადგან ჩვენ იმდენნი ვართ, რომ ჭკვეუნის ყავას წინ აკეთვარებით და ერთმანერთს სიტყვებით ვაგაძლებინებთ. შეძნანიებელს ზეცაც მოტყუებასა ჭმირდება და ჩვენც ზეცას უნდა მივბამოთ. სამღვთო წერილი ამბობს, რომ ერთი შეძნანიებელი ცოდვილი უფრო სასიამოვნოა ზეცასთვის, ვიდრე ოთხმოც - და - ცხრაშეტი მართალი, რომელთაც სამართლის გზისთვის თავის დღეში არ გადაუსვკვიათო. ეს მართლაც ასე უნდა იყოს: როდესაც ცოდვის დაღმართს თავ-ჭკვე მივუკვართ და უცრად ჩვენს ცდით შევხვრდებით სოფლე, ეს ცდა უფრო საძიძოა, ვიდრე ასის და ათასის კუთილის საქმის ჩადენა.

თ ა ვ ა XXIII

ხანგრძლივი და სრული უბედურება მხოლოდ ცოდვილის ხვედრია.

ცოტადენი ცდა იყო საჭირო, რომ ჩვენი ასლი სახელი სახლს დამსგავსებოდა და ეს ცდა ჩვენ არ მოგვიკლია; ასლს სადგურს მალე შევკვხეთ და ისევ უწინდებულად დავიწყეთ სიამოვნით ცხოვრება. მე ჩემს შვილს რა გი ჯვად-მეოფობის გამო მუშაობაში ვვლარ ვეწვეოდი, ვუვითხავდი ჩემს სახლობას სსვა-და-სსვა წიგნებს, რომელნიც გი ტუტლს გადავარჩინეთ და უფრო იმისთანა ამბებს ამოვარჩევდი ხოლმე, რომელნიც გასართობელნიც ყოფილიყვნენ და ჩვენი გულიც გაქმაცრებისათ, გაქაჩარებისათ მწუნარება. მეზობლები ყოველდღე მოდიოდნენ ჩვენს სახსსკად და მშირებოდნენ, აი როცა მოვიცლით, ვეკლანი თქვენს სახლს დავკვხვით და მალე ავიშენებთო. სსვებზედ მეტად სტდილობდა ჩვენს სიამოვნებას ჩვენი ნაცნობი უილიამსი, ის ყოველთვის მზად იყო ჩვენთვის სამსახური გაეწია და ოლივიას შერთვა ესლაც გი ედო გულში, მაგრამ ისეთი ცივი უარი გაიგონა მისგან, რომ შემდეგში ვვლარც გი ჭებდავდა ამ საგანზედ ხმის ამოღებას. ოლივიას დარდმა არ იკლო. მთელს ჩვენს ოჯახში მარტო იმას არ ეტყობოდა მწუნარების გაქაჩარება. სსვებს ყველას ერთს კვირზედ ისევ მსიარული სახე დაეღოთ. ოლივიას ესლა დაკარგული ჭქონდა ის უმხარება, რომელთან ერთად აღამიანი თავის-თავის პატრისადა ჭკარგავს; ის ესლა თავის სილამსეზედ აღარა სრუნავდა; მუდამ რაღაც სკვდიანს ოქმებში იყო ვართული; თან-და-თან სახე შექმდა; ჯანის სიმართლე მოაკლდა

და თავის-თავზედ უსრუნველობამ უფრო ბოლო მოუღო მის შესედულობას. როდესაც კი იმის დასაჯერისიანს სიტყვას ეტყუა და ვინმე, გულში ჯავრი მოსდიოდა და თქალში ცრემლი. ერთი ცუდი სასიათი რომ ამოიფხვრას, მანც თავის კვალს დააგდებს იგი; ისე მის შეცოდებას, თუძცა კი მოინანია იგი, შური მოჰყვა.

ბევრ რიგადა ვცდილობდი შექმნიან იმისი სკვდა; თითქმის ჩემი ტკივილებიც კი მავიწყდებოდა, როცა იმისი ყოფა მაგონდებოდა. ხშირად სხვა-და-სხვა გასართობს ამბებს ვუამბობდი ხალხე, რაც კი წამკითხას და ჯერ გონებიდამ არ ამომშლოდა.

— ჩვენი ბედნიერება ერთის არსების ხელშია, რომელსაც შეუძლიან ისეთის გზით წამოგვაყენოს იგი თავსა, რომ ფიქრადაც არ გაგვეღებოდეს. თუ მაგალითი გეჭირება, შეილხ ჩემო, მე გამბობ ერთს ამბავს, რომელიც ერთს საფუძვლიანს, მაგრამ ოცნებებით გატაცებულს ისტორიაში წამოკითხავს.

ერთი დიდი-კაცის ქალი მატლიდა მათხრავს ნაზოლიტელ დიდებულს. თხუთმეტის წლისა რომ შესრულდა ის ქალი, დაქვრივდა და ერთი ვაჟი დარჩა. ერთ-ხელ იდგა იგი ღია ფანჯარასთან და თავის ბავშვს ათამაშებდა. ფანჯარა მდინარე ვალტურნას გადასტყუროდა. უცრად ხელიდამ გაუსხლტა ბავშვი, მდინარეში გადაუვარდა, და წყალმა დამალა იგი. გამწარებული დედა ჩაჰყვა შვილს მდინარეში, მაგრამ ვერას გახდა. თითონაც ძლივს გადაურჩა მდინარის ტალღებს და ძლივს გაკიდა მეორე ნაპირზედ. იმ დროს საფრანგეთის ჯარი ახრებდა იმ ნაპირებს და რა სახეს ჯარის-გატყობს ის ქალი. მანვე ტყვედ წაიყვანეს.

„მანინ ძინანტუსთა და იტალიელთა შორის სასტიკი ომი

იყო გამართული: ერთმანეთს აღარ ჰყოვედენ, ერთმანეთს ბარბაროსულად ეჭტეოდენ. ამ ქალსაც სასტიკად მოჭტევა და უზირეს, მაგრამ ერთმა სასლ-განდა აჭიტემა იპატია იგი. თუცა ჯარი საჩქაროდ უნდა შინისკენ დაბრუნებულიყო, მანც ის ქალი აჭიტემა ცხენზე შემოსვა და უსებლად მიიყვანა თავის ქალაქში. ქალის მშვენიერებამ ჯერ იმის თვალი დაატყვევა, შემდეგ ქალის ღირსებამ—იმისი გული და დაქორწილდენ. ქმრმა მალაღი ადგილი მიიღო და დიდ-სანსა სცნოვრობდენ ერთად და ბედნიერად.

„მაგრამ ჯარის-კაცის ბედნიერება სანგრძლივი არ არის: რამდენიმე წლის შემდეგ ამ აჭიტრის ჯარი დამარცხდა და თითონაც ძლივს მოასწრო თავის შეფარება იმ ქალაქში, რომელშიაც ის თავის ცოლითა სცნოვრობდა. ქალაქს უცნო ჯარი გარს შემოერთვა და დიდის ცდის შემდეგ აიღო.

„მხლად თუ შესვდებით იმისთანა საშინელების აღწერას, რაც მამინ იტალიელებსა და ძრანცურებს ერთი-ერთმანეთისაგან მოელოდა. ქალაქის აღების შემდეგ გამარჯვებულებმა გადასწვიტეს, ყველა ძრანცურის ტყვეები დავსოცოთო. უმძიმესი სასჯელი უფრო უბედურ მატლიდას ქმარს მოელოდა, რადგან ის იყო მისეჰი ქალაქისაგან ისე დიდ-სანს თავის შემარებისა.

„გამარჯვებულთა გადაწვიტელებსა ფიცსლავ ასრულებდენ. ხელ-შეკრული წაიყვანეს მატლიდას ქმარი მოედანსუდ; ჯალათა მხად იღვა ხმალ-ამოწვდილი; მაურებლები მწუნარე და გაჩუმებულნი მოელოდენ ხმლის დაკრას. ჯალათები იურებოდენ, როდის კვიბანებს ეჩენალიო, რომელიც მსაჯულად იყო ამორჩეული და უნდა ენიშნებინა დასჯის დრო.

„ამ საწარელს მოლოდინში რომ იყო მატლიდას ქმარი,

მოვიდა მატრილდა, რომ უკანასკნელად გამოსაღმებოდა თავის ქმარსა და მსხველსა; სტირლდა თავის უბედურს სვეს, რატომ ვოლტურნაში ან ღვინდარხელ, ნუ თუ იმიტომ რომ უმეტეს უბედურების მოწამე გავმხდარვიყავიო! ღვინდელი ემაწვილი-გაცი იყო, გაუცრდა იმისი მშვენიერება და შეეცრდა. რაც მატრილდამ თავისი შიშის და წვალების ამბავი წარმოხსთქვა. ჭრანციელი ღვინდელი უფრო აღელდა. ის იყო მატრილდას შვილი, რომლის გულისთვისაც უბედურმა ქალმა იმდენი წვალება გამოიარა. მასინკე იტნა ემაწვილმა-განმა თავისი დედა და იესქვემ ჩაუყარდა. ის მოხდებოდა მასუკან, ადვილად წარმოხსდგენია: ტყვე განათავისუფლეს და ყოველივე ბედნიერება, რაც კი სიყვარულს, მეგობრობასა და ვალდებულებების აღსრულებას მოსდევს, მატრილდას სუდა წილად.“

ამ გვარ ამბებით მიხდოდა, გამერთო ჩემი ქალი, მაგრამ ის ან მიგდებდა ეურის სრულს გულ-მოღვინებით. მისმა უბედურებამ მოუსპო რაც კი გულის-ტკივილი ჰქონდა სსვისთვის და ნუგეშად აღარაფერი დარჩა. ხალხში ჩინლით ყურებისა ეშინოდა, მარტო—ტანჯვა უწელავდა გულსა. ამ გვარს მდგომარეობაში იყო იგი, რაც ამბავი მოგვივიდა, ტორნტილი არაბელას ირთავსო. მართლად—მეც შევნიშნე რომ ტორნტილს არაბელა ძლიერ უყვარდა, თუმცა კი, რაც ამ საგანზედ ღაზარაკს დამიწყებდა, ყოველთვის სწუნობდა თითონ არაბელასაც და მის მზითევსაც. ამ ასაღმა ამბავმა უფრო სველეს იყენი დაადო ოლივიას სასეს. ამ გვარი ივანის გატენის ატანა ტორნტილის მსრვი ოლივიასთვის მეტად სამძიმო იყო.

მე მოვინდომე უფრო ნამდვილი ამბავი შემიტყო, და თუ შეიძლებოდა, მომეძლა ტორნტილის განზრახვა. ამ ახლით გავგზავნე ჩემი შვილი უდმორთან, ყოველისიყერი სწორედ

შეეტეო და არაბელსთვის წერილი მიეტა, რომელშიან ვაჭ-
 ყობინებდით, იმის საქმით რაგორ მოექტა ჩემს ქალსა. ჩემი
 შვილი სამს დღეს უკან დაბრუნდა და გვითხრა, ყოველისიგე-
 რი მართალი გამოდგა, რისაც კი ხმა დაჭყარეს, მაგრამ წერი-
 ლის ჩაბარება ვერ მოვახერხე. რადგან ტორნტილი და არაბე-
 ლა სსკაგან წასუფიყენ, და იქ დაუგუტოვეო. ამ ცოტას ხან-
 ში ავირებენ ქორწილსაო. წინა კვირას თურმე დიდის ამბით
 საყდარში ყოფილან; ჰატარძალს ექვსი ქალი ჭყელა თან
 მსვლებელად და მიუეს ექვსი კაციო. მთელს იმ მსატეს დიდი
 სინარული სდგას იმათ ქორწილის გამოისობითაო. ისეთის
 ბრწყინვალე კვირათ დასვირნობენ თურმე, რომ დიდი ხანია
 იმისთანა არაგის რა უხანავსო. ყველა ნათესავი და მეგობრები
 ქალისაც და კაცისაც იქ არიანო, სსკათა შორის ახალ-გაზდა
 ტორნტილის ბიძა უილიამ ტორნტილიც, რომელსაც მეტად
 უჭებენ ხანათსაო: მთელი ის მსატე ჰატარძლის სილამაზით
 და მიუის დიდ-კაცურ შესედულობით აღტაცებაში არის მო-
 სული და რაივე ყველას ძალიან შეჭყვარებათაო; ერთის სიტ-
 ყვით ტორნტილისთანა ბედნიერი კაცი ესლა არსად მოინახე-
 ბაო.

— დეე იყოს ბედნიერი, თუ კი შეჩება ებ ბედნიერება! წარ-
 მოვსთქვი მე. მაგრამ სომ ჭხედავ, შვილო ამ ჩაღის ქვეშასაგებს
 ჭ უტერო სახლსა; ამ ჩამონგრეულს კედლებს ჭ ნოტიო მიწას;
 ჩემს დამწვარს და დაუძღურებულს გვამსა და ჩემს წვრილ-
 შვილებს, რომელნიც პურისათვის შემომტირიან. სომ ჭხედავ
 ყოველს ამას, მაგრამ მერწმუნე, არ გაცვლი ჩემს ყოფას იმის
 ყოფასედ, თუნდა მთელის ქვეყნიერების სიკეთე მომელოდეს.
 რა, შვილო ჩემო! თქვენ რომ თქვენს გულში ჩახედავ შე-
 გძლოთ და იცოდეთ რა ძვირ-ფასი მეგობარია იგი თქვენ-

თვის, აღნიშნულ ჩასთვლიდით მისინ უდიდესთა დიდებულს და ბრწყინვალეებსა. თითქმის ყველას განკვირვებია, რომ სიტყვასვე გზა არის და ჩვენ მოგზაურნი ვართ; მაგრამ ეს შედარება უფრო სრული იქნებოდა, რომ დავუმატოთ: კეთილნი— მხიარულნი და გულ-უბრუნებელნი არიან, მსგავსად შინ წასულთ მოგზაურთა და ბოროტთ მსოფლად ხანდახან ეღიარებოდათ სოფელში მხიარულებს, მსგავსად მოგზაურთა, რომელნიც სამშობლოდამ არიან განდევნილნი.

ამ ხსალის ამბების გაგონებამ ოლივიას სრულებით მიწასთან გაასწორა და ჯერ სიტყვა არ გამოთავებინა, რომ გულსაც შემოეყარა. მე ვუთხარი ჩემს ცოლს, მოებრუნებინა და მართლაც პატარას ხანს უკან მოაბრუნეს იგი.

იმ დღეს იქით თითქმის გული უფრო დაუშვიდდა ოლივიას; მე მეგონა ეს მტკიცე ხასიათის ნიშანია-მეთქი; მაგრამ თვალმა მომატყუა; ეს გარკვევანი მშვიდობიანობა მსოფლად იღუმალის მწუხარების ნიშანი იყო.

ამ დროს მეზობლებისგან სხვა-და-სხვა საჭმელ-სასმელი მოგვივიდა და ამ ამბავს მთელი ჩემი ცოლ-შვილი განმხიარულა, ოლივიას გარდა. მეც მესიამოვნა მათი მხიარული სახე რომ დავინახე. უსამართლობა იქნებოდა ჩემის მხრივ, ეს მხიარულებს მომეწამლა ჩემის ქალის მწუხარების მოგონებით და ძალად მეგრძობინებინა, რასაც ისინი ვერა გრძობდენ. ისევე ძველებურად მოვეკვიით ზღაპრების თქმასა, სიმღერასა და ჩემს პატარას სახლში უწინდებლებურად მხიარულებს მოაიფინა.

თ ა ვ ი XXIV

ახალი უბედურება.

მეორე დღეს მზე ისე ათბობდა დედა-მიწას, რომ კაცს ზაფხულის დღე ეგონებოდა; ყველანი ფანხატურში გავკვდიით და იქ დავაწვეთ საუზმის ჭამა. ზურის ჭამის დროს ჩემის თხოვნით ჩვენმა უმცროსმა ქალმა გვიძღერა და თავისი ხმა სესხედ მოჭიკტიკე მიფრინველთ ხმას შეუერთა. ეს ის ადგილი იყო, სადაც ოლივიამ პირველად ნახა თავისი შემადგენელი და ყოველივე საგანი იმის მწუნარებას მოაგონებდა. მაგრამ, რაც კი აღაშინებს სიამოვნებით გატარებულს დროს მოაგონებს, გულისადაც სევდას უქარავებს, თუნდაც რომ სასესხედ ჭმუნვა გადააფაროს; მეტადრე, თუ ეს მოგონება ტკბილის ხმის მოსმენით უფრო გაცნობიერებულია. ჩემს ცოლსაც გული დაუღებო ამ ამბავმა, ტირილი მოუვიდა და ისევე უწინდელი სიყვარული ჩაუვარდა ოლივიასა.

— ახა, ჩემო კარო, ოლივიას, უთხრა იმან, გვიძღერე კიდევ ის მწუნარების ხმა, რომელიც მამა-შენს ისე ძლიერ მოსწონდა; შენმა დამ შეგვიხარულა თხოვნა და ახა ახლა შენ ასიამოვნე შენი მოხუცი მამა.

ოლივიას დასთანხმდა და ისეთი მწუნარის ხმით დაძღერა, რომ სრულიად ამაღელვარდა:

ქალი თუ ტრფობას შესწირავს ნამუსს და გვიანდაც სწნობს კაცთა ღაღატას, რაღა გაჭკურნებს მასინ იმის წყლულს, და რაღა გასწმენდს შეცოდებასა?

თუ შეტრდება უნდა დაჯივაროს,
 თუ სიბრძნვილი ძნელ მოსათმენია,
 თუ საყვარელსა სურს შეანანოს
 მხოლოდ სიკვდილი მას დაჩვენია!

უკანასკნელს სტრიქონს რომ ამოხვდა, მწუხარებამ ხმა შეუწვივებდა და ეს სვედიანი სიძლიერა მით უფრო გულში ჩავსვენდა. ამ დროს ჩვენსკენ მომავალი ტორნტილის კეიპი გამოჩნდა. ეს ვეკლას გაგვიტრია და ჩემი უფროსი ქალი უსიამოვნოდ შეაქნა: ადგა მაშინათვე და შინ შევიდა რომ თავის მოლაპარაკის სასე არ დაენახა. სოფიოტ თან შექცვა. თვისლავ ჩამოქცა ტორნტილი კეიპიდან, ჩემსკენ წამოვიდა და შინაურულად მომიკითხა, როგორც უწინ იცოდა სოფიო.

— ბატონო ჩვენო, ვუხასუსე მე, ეგ თქვენი მშვიდობიანი სასე უფრო ცხადად გვიჩვენებს თქვენს უსინიდისობას. იყო დრო, როცა შემიძლო მაგ უსინიდისობის სასტიკად დასჯა, ეგრე უბრუნვად ჩემთან მოსვლისათვის, მაგრამ ესლა რა გიჭირთ! სხვაგანებამ ძლევატება გამიხელა და ჩემი წოდებაც არ ძამლეკს ნებას, ხელი გამოვიღო.

— სწორედ მაცებს თქვენი წყრომა და არც ვიცი ეგ რას ნიშნავს; მომიგო იმან. იქნება გგონიათ, თქვენი ქალი რომ წამომეკვ, ამით ცუდი რამ საქმე ჩაედინოს.

— განკვად აქედამ, შე ცრუ, შე სასიზღარო არამხადავ! დავიმსე მე. მაგრამ რა გიშავს! თითონ შენი სიწუწუკე გიშავს ჩემის რისხვისაგან. მე ისეთ წინა-პართ ჩამომავალი ვარ, რომ ვერ მოვიტმენ ამისთანა თავ-ლაფ-დასხმას. შე უბრუნო, შე უნამუსო, ერთს წუთს შენის გნების დასაკამყოფილებლად, საუკუნოდ გააუბედურე ეს საცოდავი და შეურაცხ-ყოფა მიუყენე ამ ოჯახს, რომელსაც წილად რგებია მხოლოდ პატრიარხება.

— თუ თქვენს ქალს, ან თქვენ გადაწვეპტილი გაქვთ უბედურად დარჩეთ, ეგ რა ჩემი ბრალა! მიზანსუნა იმან. მაგრამ თქვენ კიდევ შეგიძლიანთ ბედნიერებას ეღიროსთ, და თუძცა იქნება სსვა აზრისაც იყოთ ჩემსედ, მაგრამ მე თითონ დაგესძარებით მაგ ბედნიერების მისაღწევალად. ჩვენ თქვენს ქალს სსვასედ ჯვარი გადაწვეროთ და განა ჯვარ - დაწერილს კი არ შეუძლიან საყვარელი იყოლიოს. დამერწმუნეთ, მე მასსედ ყოველთვის თვალი მეჭირება.

ამ ხსალმა უსინიდასობამ ჩემი გრძნობა სრულიად ბუდიდამ ამოშალა, და თუძცა კაცს შეუძლიან დიდი შეურაცხყოფა დამშვიდებულმა აიტანოს, მაგრამ ამ გვარი სიწუწვე კისრულის სიღრმედე ჩაწვეს და გაააოთრებს აღამიანს.

— მომშორდი თავიდან, შე ქვე-მძროძო, ქვე-წამდავალა! შევევირე მე. ნულარა რყვნი ამ აღაგს შენის აქ დგომით. ოჭ, ჩემი შეილი რამ აქა ყოფილიყო, ამას როგორ აიტანდა, მაგრამ მე მოვსურდი და აღაჩა შემიძლიან-რა.

— მე როგორც ვატყობ, თქვენ გინდათ, უფრო მკვასედ გელაზარაკოთ, და არა ისე, როგორც მინდოდა; მე თქვენ გაჩვენეთ, ჩემს მეგობრობას რა მოსდეკს, ესლა ურიგო არ იქნება ჩემის მტრობის ნაყოფიც გაგემოთ. მე თქვენი თამასუჭი ერთს კაცს ვალში მივეცი და ესლა ის თხოულაბს იმ ფულს; თუ ფული არ მოუსერხდა, სსვაფრივ თავის დაღწევას არ იქნება. ესლა იმ ფულის მიცემა მიჭირს, რადგან ძალე ქორწილს ვაპირებ და ბევრი ხარჯი მომივიდა. მასუკან კიდევ ჩემმა მოურავმა მითხრა, იჯარის გამორთმევის დრო არისო. იმან კარგად იცის როდის მოდის ეს დრო და მე იმის სსქემში არას დროს არ ვერკვი. მაგრამ, თუ გინდათ, კიდევ შეგაწვიოთ და კთხოვთ კიდევ, თქვენცა და თქვენი ქალიც

ქარწილში მეწვით, რომელსაც მალე ვაპირებ, ანაბელა უილ-
მოტის ქალთან. თქვენი მიზანტიუება თითონ ჩემმა მშვენი-
ერმა ანაბელამ ისურვა და იმედი მაქვს შესარულვით იმის
სურვილს.

— ბატონო ტორნტილი! ვუთხარი მე. მოისმინეთ ჩემი უკა-
ნასკენელი სიტყვა. მე თავის დღეში არ დავთანხმდები, რომ
თქვენ სხვაზე დაიწყოთ ჯვარი და არა ჩემს ქალზე. თუნ-
და თქვენს მეგობრობას შექმლას სახელმწიფოს ტანტზე ჩემი
ყვანა და თქვენს სიძულელს — საფლავში ჩადება, მაინც არ
მივხედავ არც ერთსა და არც მეორეს. შენ ერთ-ხელ საზარ-
ლად მოინძვრე ჩემი ნდობა და საუკუნო დადი დასავი ჩემს
მიტოვებას. მე შენ ნამუსიანი მეგობრე და უნამუსო კი ყო-
ფილხარ. ნულარ ელი ჩემგან მეგობრობას, ნულარ! წადი და
დაეპატრონე მას, რაც ღმერთს შენთვის მოუცია: სიღამაზეს,
სიმდიდრეს, ჯანის სიმრთელეს და სიამოვნებას. წადი და და-
მიტოვე მე ნაკლებულა, შეურაცხ-ყოფა, უძღურება და მწუ-
ხარება. თუმცა დამცირებელი ვარ, მაინც შევიძლებ ჩემის
ღირსების დაცვას; მიზანტიუება კი, მაგრამ ყოველთვის ჩემს
თვალში შენ საზიზღარი იქნები.

— მაშ თუ ეგრეა, მომიგო იმან, მალე გაგრძნობინებ, რაც
მოსდევს მან კადნიერებას და მალე შევიტყობთ, ვინ უფრო
ღირსია ზიზღისა, თქვენ თუ მე. სთქვა ესა და მაშინვე გაგ-
ვიძრდა.

ამ ღამეის დროს დაესწრენ ჩემი ცოლი და ჩემი შვი-
ლი მოსე და ორივე შიშმა აიტანა. ჩემმა ქალებმაც რა კი
ტორნტილის წასვლა შეიტყვეს, გამოვიდნენ ამბის შესატყობ-
ლად და როცა ყოველისიგერი გაიგეს, სხვებზე ნაკლებ არ
შეშინდნენ. მე კი არა ვიფიქრობდი, რა ბოლო შეიძლება ქა-

ხრდა ტოწილის რისხვას. ერთხელვე ისეთი ზარი დამცა თავის ქცევით, რომ ესლა. ადვილად შექმლო იმის ყოველ ბოროტ-განზრახვის ატანა. მე იმ ომში ხმარებულ იარაღს ვგვანდი, რომელსაც წვეტიანი მხარე ყოველთვის მტრისკენა აქვს მიშვერილი, საითკენაც უნდა გადააგდო.

ჩვენ მალე გიგრძენით, რომ ტოწილის მუქარა ტყუილი მუქარა არ იყო: მეორე დღესვე იმისმა მოურავმა იჯანის ფული მომთხოვა, მაგრამ მე, სხვა-და-სხვა უკვე ცნობილის შემთხვევის გამო, არ შექმლო გადასდა. მაშინვე გარეკინა ჩემი საქონელი, მეორე დღესვე დაიფასებინა და ნახევარ ფასზედ ნაკლებ გაჭედა. ჩემმა ცოლ-შვილმა სვეწნა დამიწყო, ყოველივე სურვილი შეუსრულე ტოწილს, თორემ სრულიად დავიდუშებით. ისიც კი მთხოვეს, კადეკ მივიღოთ სასლშიო, და მთელი თავიანთი მკვერ-მეტყველება იხმარეს, რომ ცხადად ეჩვენებინათ, რა უბედურებაც მომელოდა; თვალწინ დამინატეს, რა მსელი იყო ცისეში *) ყოფნა იმისთანა ცივს ზამთარში, როგორ გაძიმნელდებოდა დამწვარის მელანის ტვივილი; მაგრამ მაინც ჩემი სიტუვა ვერ გადამათქმევინეს.

— რას ამბობთ მავას, ჩემო საყვარელნო, რად გინდათ უსამართლობა მაქსეკინოთ? ჩემი ვალი იყო, მუხატეებინა მისთვის, მაგრამ სინიდისი არ მამდეგს ნებსას მოჟუწონო მისი საქციელი. როგორ გინდათ რომ ვაქო პირად იგი, რასაც გულში ვამაგებ? თქვენ კი მოითმენთ, რომ მშვიდად ვიჯდე და ჩვენის ოჯახის გამრეყნელს ველაქუცებოდე; ცისეში ჩაჯდომის

*) როდესაც ეს რომანია დაწერილი, ინგლისში ჯერ არ იყო მოსპობილი მოვალეების ციხეში ჩასმა ვალის ვადუნდებლობისათვის.

სასმორებლად, ჩემს გონებსაც და გულსა უფრო მტანჯველი სამუდამო ტყვეობა ვაჩვენო?! არა, არასოდეს. თუ ამ ადგილიდან აგვერიან, ნუ დავანებებთ სიმაძსილეს თავსა და სადაც უნდა ჩავკვაროს, ყველგან საამო სადგურს ვიპოვოთ, ყველგან შეგვეძლება თამამად და თავ-მომწონედ სჯდეს თვალებში ვუ-ყურათ.

ამ ლაშქარში გაკატარეთ ის ღამე. მეორე დღეს ვნახეთ, რომ დიდი თოვლი მოსულა და ჩემმა შვილმა დაუწყო თოვლს გადაჭყრას გზის გასაგლეჯად. შატრა ხანს უკან შემოიჭრა იგი, ფერ-ნამკრთალი და გვიტხრა, რა ვიღაც უცხო კაცი მოდის ჩვენსკენ, პოლიციის მოსულებსა ჰგვანანო.

ეს რომ სთქვა, ისინიც შემოვიდნენ, მოუხსლოდნენ ჩემს ღოგინს, შემატყობნენ ვინც იყვნენ და რა ხელისადაც იყვნენ, და მითხრეს, თქვენ ჩვენი შატრის ხართ, მოემზადეთ, ციხეში უნდა წავიყვანოთო. ჩვენს მხარეში ციხე თერთმეტს მიღზედ იყო ჩვენის სასლიდამ.

— ძალიან ცუდი ამინდი ამოვიჩქვიათ, მეგობრებო, ჩემს ციხეში წასაყვანად; მეტადრე ესლა ძნელია ეს ჩემთვის: ცალი სელი საშინლად დამწვარი მატკს ცეცხლისაგან, ცოტა მაციებს კიდევ და არც ტანისამოსი მივარგა. ვერ შევძლებ ამისთანა დიდ თოვლში სიარულს, რადგან მოსულები და ღონე-მიხდილი ვარ, მაგრამ, თუ მეტი გზა არ არის....

მივუბრუნდი ჩემს ცოლ-შვილს, ვუთხარი, რომ მოეგროვებინათ, რაც კი რამ გვებადა და იქიდან სასურველად მომზადებულყვენ. დავაჩქარე ყველანი და ჩემს შვილს ვუთხარი, შენს დას ყური უგდე მეთქი. მართლაც და ოლივიამ რა ნახა, რომ ამდენის ჩვენის უბედურების მიზეზი თითონ იყო, შეუძლოდ გახდა და გულს შემოკვარა; კვლავ გრძნობდა მანც

ჩვენს ამოდენს ტანჯვას. გავამსწვევ ჩემი ცოლი, რომელსაც შიშისაგან ფერი ეცვალა და კანკაღმა აიტანა; მოეხვია შემი-
ნებულ პატარაებს; ისინიც უელხედ შემოეჭიდნენ და უკან კე-
ღარ მოიხედეს, უცხო კაცებისა ეშინოდათ. ჩემი უმცროსი ქა-
ლი ამ დროს სამკვანჯროდ ამხადებდა ყოველისთვის და ისე
კანქარებდი, რომ ერთის საათის უკან ეველანი მხად ვიყავით
წასასვლელად.

თ ა ვ ი XXV

რაც უნდა ცუდს ყოფაში ჩავარდეს კაცი, მაინც არ არის
ნუგეშს სრულიად მოკლებული.

დავიწყეთ ნელ-ნელა სიარული და გავშორდით ჩვენს მშვი-
დობიანს სამყოფს. ჩემი უფროსი ქალი ავად-ყოფობისაგან
დასუსტებული იყო — უკანასკნელს დროს ხშირად აციებდა —
და ერთმა მოსულემ ცხენზედ შემოისვა. ამ გვარს საღმრთა
არ არის სრულიად გამქრალი კაცთ-მოყვარეობის სხივი. მო-
სემ ერთს ჩემს პატარას ჩაჭკიდა ხელი, მეორეს დედა; მე კი
დავეყრდენ ჩემს უმცროსს ქალს, რომელსაც თვალთაგან ცრემ-
ლი სცვივოდა და უფრო ჩემს ბედსა სტიროდა, ვიდრე თავი-
სას.

ორს მიღამდე რომ გავიარეთ, რაღაც ხმაურობა შემო-
გვესმა. მოვიხედე უკან და დავინახე რომ საღმრთის გროვა
უვირილით საჩქაროდ უკან მოგვედევდა. ორმოც-და-ათამდე ჩემს
სულიერ მოწაფეთ მოყვანათ თავი და საშინლად იღანძვე-
ბოდენ; სტაცეს ხელი მოხელეებს და ჭიფიციულობდენ, ვიდ-

რე ერთი წვეთი სისხლი გვიდგია ძარღვებში, ჩვენს მოძღვარს ცისკეში არ წაგაყვანებოთ. სწორედ ცუდს საქმეს უზირებდენ მოხელეებს და ბოლოც ცუდი იქნებოდა, მე რომ მაშინვე შუაში არ ჩავმდგარეოყავ და გაათვრებულის ხალხისთვის ისინი რას წვალებითა და ტანჯვით ხელიდამ არ გამოძეცა. ჩემმა შვილებმა, ეს ამბავი რომ ნახეს, სწორედ ეგონათ, მამა-ჩვენი ეს-ღა განთავისუფლებო და სისხრულით აღარ იყვნენ. მაგრამ მალე გავეცნოთ იმედები, როდესაც ჩემს საშველად მოხუცს შემდგარს ხალხს, შემდგარს სიტყვებით მივმართე:

— რას ჩადინათ, მეგობრებო! განა ეგ არის თქვენი სიყვარული? ეგრე მისდევთ ჩემს დარბევას, რომელსაც ეგლები-ში გაძლევდით! მსაჯულებს ეწინააღმდეგებით და განდათ მერ დამღუპოთ და თქვენი თავიც დაიღუპოთ?! ვინ ჩავგონათ ეგა? მახვენეთ, ვინც ეგრე შეგაცდინათ; მახვენეთ, რომ ვაწინებო მას ჩემი გულის-წყრომა. ოჲ, ჩემო განბნეულო ცნობარო! დაბრუნდით და შეასრულეთ თქვენი ვალი ღვთისადმი, თქვენის ქვეყნისადმი და ჩემდამი. იქნება კიდევ მელიჩხოს მშვიდობით აქ დაბრუნება და შევიძლო თქვენი გაბედნიერება. ესლას ამ რუგეშს მანც ნუ მომიშლით, რომ როცა შევერებ ჩემს ცნობარს სასუფოელისათვის, არც-ერთი არ აუღდეს მას.

ამ სიტყვებმა ყველას სჩანხულში ჩააგდო; ყველას ცრემლები მოუვიდა; მათგანდენ სათითაოდ და გამოძესაღმენ. ყველას სიყვარულით ხელი ჩამოკართვი, დაკლოცე და ისევ ჩემს გზას დავადექ. სხვას არა შეგვმთხვევია-რას გზახედ.

ჯერ არ დაღამებულყოფო რომ ქალაქში შევედით. ქალაქი ეჩქვა, მაგრამ უფრო სოფელს კი ჭკაკდა: ორიოდ უბრალო სისხლი იდგას; უწინდელი ღაზათი სრულებით დაჭკარგოდა და ცისკეს გარდა აღარაფერსედ ეტყობოდა მისი წარსული დიდება.

ერთს სასტუმროში ჩამოვსტით; მოვაძინადებინეთ, რად
 კი მოხერხდებოდა და მე და ჩემმა სახლობამ ჩვეულებასამებრ
 მხიარულად ვივასშვიტო. უკვლანი რომ რიგისად დაკანსაკე,
 გავუკვ ზოლიცის მოხელეს ცისეში. ცისე უწინდელს დროში
 აქმენებინათ და საომრად იყო გამოსადეგი. ერთი დიდი დარ-
 ბასი იყო შიგა, ქვით მოკირწყლული და ნაწილ-ნაწილ და-
 უოთელი. ამ დარბასში დღეში რამდენჯერმე ერთად იურიდენ
 თავსა აკანსაკები და შეუძლებელი მოვალეები. გარდა ამისა ყო-
 ველს ტუსადს ცალკე ოთასი ჰქონდა, სადაც ღამით ჰქეცა-
 ღუნ მას.

მე მეგონა, შევიდოდი თუ არა, მხოლოდ ჩივილსა და
 მუხარებას გავიგონებდი, მაგრამ სულ სხვა ვნახე: თითქო
 ეკელა ტუსადები მხოლოდ იმასა სცდილობდენ, მხიარულებასა
 და შვირილში თავიანთი მუხარება დაეკვიწნათ. რამწამს იქნი
 შეგდგი, შემატყობინეს რომ წესი ასეა, სახლი მოსული ხარ
 და იფული უნდა გვანუქო. მეც უარი არ ვუთხარი, თუმცა
 ქისა თითქმის ცალიერი მქონდა. მაშინვე გავზავნეს ჩემი იფუ-
 ლი სასმელების მოსატანად და ჰატარა ხანს უკან მთელს
 ცისეში გაისმოდა წივილ-კივილი, ხარხარი, ღანძლვა-გინება.

— საკვირველია, გავიფიქრე მე; ეს უბედურნი ასე მხიარუ-
 ლობენ და მე რადღა უნდა მოვიწყინო! ესენიც ხომ ჩემ-
 სავით დამწყვდევლნი არიან და მხიარულების მიზნის კი მე
 უფრო მეტი მაქვს.

ბერს ვეცადე გავმხიარულებულიყავ. მაგრამ მხიარულებს
 ცდას საქმე როდია. ვინც ამასა ცდილობს, ის უფროც იტან-
 ჯება.

დავკვირვ ერთს კუთხეში ჩაფიქრებული; ვნახო, ერთი ვი-
 ლაც ტუსადი გვერდით მომიჯდა და ღანძლავი დამიწყო. მე

ჩვეულებად მსჭვს, ვინც კი მოინდომებს, ყველას ღაპანაკი და-
კუწყო. თუ ჩემთან მოღაპანაკე კეთილია — მსწავლის რას-
მე; თუ ბოროტია — ჩემგან სიკეთეს შეიძენს. დავატყე რომ
ჩემს ხსალს მოხასეს, თუმცა უსწავლედი კი იყო, მაგრამ
ჭკუა კარგად უჭრიდა: ქვეყნიერებისა ცოტა რომ გაეგებოდა,
მეტადრე ადამიანის ხსიათს ცუდს მხარეს კარგად იცნობდა.
იმანა მკითხა, ღოგინი თან მოიტანეთ, თუ არა. მე ღო-
გინსედ ზრუნვა გონებაში არც კი გამტარებოდა.

— ეგ კარგად ვერ მოგსულათ, მითხრა იმან. აქ ჩაღის
მეტს არას მოგცემენ და თქვენი რათხი დიდა და მეტად
ცოვი. თქვენ როგორც გპტყობათ რიგანი კაცი უნდა იყოთ
და მეც ერთს დროს რიგანი ვიყავ, თუ გნებავთ ერთ-ერთს
ჩემს სახანს გათხრებთ.

მე დავუმაღლე და გამიხცდა რომ ცისეში ამისთანა ღვთის-
ნიერი კაცი ვნახე. მოვიინდომე, მეჩვენებინა ჩემი სწავლა და
კუთხარი:

— იმ ბერძენს კარგად ესმოდა რა ძვირ-ფასია ამხანაგი მწუ-
ხარებაში, როცა სთქვა: ტონ კოსმონ აირე, ეი დოს ტონ
ეტაირონ. მართლაც და რა იქნება ქვეყანა, რომ ადამიანი მარ-
ტო ატარებდეს თავის ცხოვრებას?

— თქვენ ქვეყანაზედა ბძანებთ, ბატონო? მომიგო იმან.
დიად ქვეყანა გაუგუნურდა, მაგრამ კოსმოგონია, ანუ შექმნა
ქვეყნისა აზროლებდა მრავალთა საუგუნეთა ფილოსოფოსებს.
რა აზრი არ წარმოსთქვას იმათ ქვეყნის შექმნაზე? ტყუი-
ლად იშრომეს სანსონიათონმაც, მანეთომაც, ბეროფუსმაც,
ოცელუს ღუგანუსმაც. უგანასკნელმა აი რა სიტყვები წარმო-
თქვა: ანარხონ არა კაი ატელუტაიონ ტო პან, რაიცა ნიშ-
ნავს....

— უგატრავად, ბატონო, რომ ეკეთს სწავლულს სიტყვას გაწყვეტინებთ, მაგრამ მგონი სადღაც გამიგონია ეგ სიტყვები. მგონი მე თქვენ ერთ-სულ უელებრიჯის ბაზარში გნახეთ. თქვენ ეურაიმ ჯენკინსონ ანა გქვიანთ?

ამ სიტყვასეულ იმან ამოიხსრა.

— მგონი თქვენ უნდა გასსოვდეთ დოქტორი პრიმროსი, რომელმაც ცხენი მოგყიდათ? დაუმატე მე.

ესლა გი ძალე მიცნო; წინ-და-წინ ციხის სიბნელეში სადამო უამს ვერ გაერჩია კარგად ჩემი სახე.

— დიად ბატონო, მითხრა ჯენკინსონმა, ესლა კარგად მომაგონდით. მე თქვენგან ცხენი ვიყიდე და ფასის მოცემა გადამაკიწყდა. თქვენი მეზობელი ქლამბორო მოწმად არის დანიშნული ჩემს საქმეში, რომელიც ძალე გაიჩხეკა და საშინლად მეშინიან იმისი. თურმე ფიცს აპირებს, რომ ვითომ მე უალების ფულის მკეთებელი ვიყო. ვწუხვარ, დიდადა ვწუხვარ, რად მოგატყუეთ თქვენ, ან სხვებს რად ვატყუებდი; აი სომხედავთ ამ ბორკილებს, ეს ჩემმა ავასაკობამ შემაძენინა.

— თქვენ მე არ მიცნობთ და სიკეთე გი გამიწიეთ, როდესაც არ მოელოდით სამაგიეროს გარდახდას; ვუთხარი მე. მეც ვეცდები ან გადავათქმეკინო, ან სხვაფორივ კახევენებინო ქლამბოროს და რამწამს შემთხვევა მომეტემა, ჩემს შვილს გავგზავნი იმასთან მაგ საქმისათვის. მე დარწმუნებული ვარ, ის ჩემს თხრენას ჰატევისა სცემს. რაც გი ჩემს ჩვენებსა შეეხება, ნურათერის ფიქრი ნუ გექნებათ.

— ვეცდები, ბატონო, გადაგინადლოთ ეგ სიკეთე, მომიგონიან. ამდამ შუა გაგიყოფთ ჩემს ღოგინს და კვლავაც ამ

ცისეში, მგონი, გამოსადეგი კაცი ვიქნები თქვენთვის, რადგან ბევრნი ემოწილებიან ჩემს სიტყვას.

მე დაუგუშადლე და თან გავიკვირე, ასე რამ გაგაყმაწვილს მეთქი. მე რომ ის ვნახე, სამოცის წლის ბერი - კაცსა ჭტავდა.

— რა ცოტათი იცნობთ თქვენ ამ ქიეყანას! მიჰსახეს იმან. სხვის თმები მქონდა გაკეთებული და მე შემიძლიან, გინდა ჩვიდმეტის წლის ყმაწვილის სახე მივიღო, გინდა სამოც-დაათის წლის მოხუცისა. ოჲ, რაც თვალთმაქცობის სასწავლებლად დრო და ცდა მომინდა, იმის ნახევარი რომ რომელსამე ხელობის სასწავლებლად მომეხმარა, დღეს მდიდარი კაცი ვიქნებოდი. მაგრამ, თუმცა ბოროტ-მოძქმედი ვარ, ისეთს დროს გამოგადგებით და მეგობრობას გაგიწევთ, რომ თქვენ სრულებით არ გეგონათ.

ცისის ყარაულები შემოვიდენ, ღაჰარაკი გაგვანწევტინეს და სიით გადასთვალეს ყველა ტუსალები. მასუკან ყველანი თავიანთი ოთახებში ჩატკეტეს. ერთსა ილიაში ჩაღა ჭქონდა ამოჩრილი, წინ წამიდგა, ბნელი, ვიწრო დერეთანი გამატარა და ერთს ოთახში შემიყვანა, რომელიც აგრეთვე მოკირწყელებული იყო დარბაზსაკით. ერთს გუთხეში დავაგე ქვეშასკები და ჩემის ამხანაგის მოცემული საბანი დავიხურე. ჩემმა წინამძღვარმა „ლამე-მშვიდობისა“ მითხრა და გაბრუნდა; ეტეობოდა, სდილობიანი კაცი იყო. ჩვეულებისა - მებრ ვიღოც, კადიდე ჩემი განსაცდელში ჩამგდები სეციური მამა, დავწექი და მშვიდობიანს ძილს მივეცი თავი.

თ ა ვ ი XXVI

ცვლილება ცუსაღებში. თუ გვინდა რომ კანონები უნაკლულონი იყვნენ, ზოგნი უნდა დასაფლონ მათ, ზოგნი დააფილდოონ.

მეორე დღეს დილით ჩემმა ცოლ-შვილმა გამომძღვიდა. უკვლანი გარს შემომსვეოდენ და ცხარე ცრემლითა სტიროდენ. ისე ბნელდა ცისეში, რომ იმათ სასკებსაც საბნელე და მწუხარება დასტუობოდა. ვაყვადრე, რადა ხართ ეგრე შეწუხებულ-მეთქი და დავარწმუნე, რომ ისე ტკბილად აწსად არა მძინებოდა. მასუკან ჩემის უფროსის ქალის ამბავი კვითხე, რომელიც სასტუმროში დარჩენილიყო. თურქე გუშინდელის შეწუხებისა და დაღაფულობის გამო სიცხე მისცემოდა და იმიტომ აღარ წამოეყვანათ. მაშინათვე ჩემი შვილი გაგვზავნე, წადი და ერთი ან ორი რიგანი ოთახი იშოვე ცისის ახლად და იქ დადექით-მეთქი. წავიდა, მაგრამ ერთის ოთახის მეტი კერ ეშოვა. იაღად ვიჭირავეთ ის ოთახი ჩემის ცოლისა და ქალებისათვის; თითონ მოსესა და ორს ჩემს ჰატანს გულკეთილმა ცისის ყარაულმა ნება მისცა ჩემთან ერთად ყოფილიყვნენ ცისეში. ჩემის ოთახის ერთს კუთხეში იმათაც ლოგინი მომიზადეს, რომელსაც, ჩემს თვალში, არა უჭირდა-რა. მე მინდოდა, შემეტყუო, ჰატანები დადგებოდენ აქა თუ არა, რა კი ჰირველს შემოსვლასუდ ისე შეეშინდათ.

— როგორ მოგწონთ, ჩემო კარგებო, თქვენი ლოგინი? კვითხე მე. ბნელა კი ამ ოთახში, მაგრამ, მგონი შიში არაფრისა გაჭკოთ.

— არა, მამა, მომიგო რიჩარდმა, მე იქ ყოფნისა არ მეშინიან, სადაც შენა ხარ.

— მე კი, სთქვა უილიამმა, რომელიც ოთხის წლის მეტი-
სა არ იყო, სჯა მამა იქნება, იქ მიჩვენებინა.

ამის შემდეგ მე ჩემს ცოლ-შვილს დაუხიშნე, ვის რა
უნდა გაეკეთებინა. ჩემს ქალს სოფიოს თავის ავად-მყოფი
დისთვის უნდა ეკლა ყური; ჩემს ცოლს ჩემთვის; ჰეტანებს
წიგნები უნდა კითხნათ ჩემს გასართობად და მისეს კი ასე
კუთხნარი:

— შენ აი რას გეტყვი, შვილო ჩემო: ჩვენ შენმა ხელმა
უნდა გააჩინოს ესლა. რასაც დღიურს სამუშაოს აიღებ, სრუ-
ლიად საკმარისია ჩვენთვის, თუ ზომიერებას არ გადავალთ.
ესლა თექვსმეტის წლისა სარ, ღონეც არ გაკლია და ეს ღო-
ნე კეთილის შრომისათვის გაქვს მოცემული; შენის შრომით
უნდა შიშნა დასასრულს შენი უსასო მშობლები, დები და
ძმები. მას ამაღამე მოვნახე ხვალის სამუშაო და რასაც ფულს
იმოვნე, ყოველს საღამოს სახარჯოდ მოგვიტანე ხოლმე.

ესე რომ დავარბე ჩემი შვილი და ყოველისთვის და-
კაწე, გაკედი საერთო დაბანსში, სადაც უფრო ბევრი ადგი-
ლი იყო და უფრო თავისუფლად შექმლო სუნთქვა. მაგრამ
ბევრი ხანი ვერ დავუბე იქა; ყოველის მხრივ მოისმინა წიგნ-
ლა-კრულვა, ლანძღვა-გინება და მალე ისევ ჩემის ოთახისკენ
გაწვი, თავი მოვარბე. დაკვეჭ და ვფიქრობდი, როგორ
წყალ-წყალებულნი არიან ეს უბედურები: მთელი კაცობრიობა
გადამტყრებელი ჭყავთ და კიდევ იმასა სცდილობენ, მომავალს
ცსოვრებაშიან უფრო საშინელი მტერი გადიჭვიდონ-მეთქი.

მათმა უგრძობელობამ შემბრალა ისინი და თითქმის
ჩემი დარდი და ძწუსარება დამავიწყა. ჩემს მოვალეობად ჩავ-
რცხე, ყური მეკლა მათთვის და სწორე გზასედ დამეყენე-
ბინა. გადავსწვიტე, ისევ დაბანსში დავბრუნებულვიყავ, არ

მიმეხედნა შეუწინა-ყოფისათვის, რჩევა მიმეცა და მეცადინეობით შემესრულა ჩემი განზრახვა. შევედი თუ არა, მამინეკ ჩემი სურვილი ჭეჭინსონს შევატყობინე. ერთი საშინელი გადინახარა, მაგრამ მანც გადასცა სხვებს, რაც ვუთხარი. ეს სურვილი ყველამ დიდის მხიარულებით მიიღო: კაი შესაქტვეს ამბავს მოელოდენ და ესლა ამისთანა ხალხს გასართობად სხვების დაცინვისა და გარყვნილობის მეტი აღარ დაჩენოდან-რა.

ჩემი საქმე ამითი დავიწყე, რომ ძალღის ხმით საეკლესიო ქადაგება ვუთხარი და ამ ამბავმა ძალიან გამხიარულა: ხან რაზედ იცინოდენ, ხან რაზედ: ზოგი უწმინდურებს ლაპაპობდა, ზოგი კითომ-და სხვებითა ოხრავდა, ზოგი ერთმანერთს თვალს უშვებოდენ, ზოგი ძალათი ახველებდა. მე მანც ჩვეულებისა-მებრ მძიმედა კქადაგებდი და ვეიჭრობდი, იქნება ამით მოვარჯულე ვინმე-მეთქი, და შეუწინა-ყოფისა კი სრულებით არ მიშინოდან.

ქადაგების შემდეგ მოვეგე დარბევას და ზიჩველში იმათ გართობას უფრე ვცდილობდი, ვიდრე გაკიცხვას. ავუნსენი რომ მე იმ ქადაგებით მხლელად მათი სიკეთე მინდოდან, მეც თქვენსავით ტუსადი ვარ და ქადაგებისათვის არავინ რას მომცემს-მეთქი. ვწუხვარ რომ ეგრე ცუდის ყოფა-ქცევისა ხართ, რადგან მაგით შემატებით ვერას შეიმატებთ და დაჯლებით კი იქნება ბევრი დაგაკლდეთ-მეთქი.

— დარწმუნებული იყავით, ჩემო მეგობრებო, ვუთხარი მე, დიან, ჩემო მეგობრებო, თუმიცა კი ყველანი უარ-ყოფენ თქვენს მეგობრობას; დარწმუნებული იყავით, რომ თუმიცა დღეში თორმეტ ათას-ჯერ იწყეკლებით, მანც მაგ წყევლით ჭიბეში ერთს გროშსაც ვერ ჩაიდებთ. რად გინდათ, რომ ყოველს წუთს ემძავს უხმობთ და შეწინასა სთხოვთ, როდესაც ჭხედავთ, რა

ურცხვად გეპყრობათ იგი. ეშმაკმა პირი წყევლით აგივსოთ და გუწი გი დაგიცაღიერათ. მე იმას ისე ვიცი, რომ შეძლებ- შიდაც არაფერს შემწეობას არ გაგიწევთ.

„ნამ იცით, ერთი კაცი რომ ცუდად მოგეპყრობა, მე- რაღეს მივმართავთ ხელმე. ის არა სჯობს, სცადოთ როგორ მოგეპყრობათ მეორე ძვიარეული, რომელიც ბევრს მანინცა გპირ- დებთ, თუ იმას მივმართავთ: სწორედ გიყთაგან გიყი უნდა იყოს, ჩემი მეგობრებო იგი, ვინც სახლსა ჭჭურდავს და და- სამალავად პოლიციისში მიდის. თქვენც ასე ჩადისართ? თქვენც ნუგეშს იმისგან მოელოთ და იმასა სთხროთ შეწვენას, რომელიცა გიდალატათ და რომელიც ყველა პოლიციის მოხელე- ზედ უფრო ბოროტია. პოლიციის მოხელენი მხოლოდ მი- გიტყუებენ და ჩამოგადრწობენ; ეშმაკი გი მიგიტყუებს, ჩამო- გადრწობს და მასუგანაც არ დაგანებებს თავს, როცა ჯალათი თაგუნედ ჩამოგვიდებს. აი ეს არის ყოველს ტანჯავსედ უფრო ძნელი.“

სიტყვა რომ გავათავო, შემომესვივნენ ჩემი მსმენელები და ქება მითხრეს. ზოგი მოვიდა და ხელი ჩამომართვა; ზო- გი ამბობდა, სწორედ კაი კაცი ყოფილხარ და მოდი მე და შენ მეგობრები ვიყოთ. მე დაგპირდი სვალაც გიქადაგებთ მეთქი და ესლა გი ცოტა იმედი მომეცა მათის მორჯულები- სს; მე დაწმუნებულ ვიყავ და ვარ რომ კაცს ყოველთვის შეუძლიან ხასიათი გაიკეთოს. ყოველავე კაცის გული იგ- რძნობს საყვედურის მწარე ისარს, თუ მსროლელები მიზანში კარგად ამოიღო.

როდესაც ჩემი სინიღისი ამ რიგად დავაკმაყოფილე, და- ბრუნდა ისევე ჩემს ოთახში, სადაც ჩემს ცოლს უბრალო სა- დალი მოემზადებინა. ჯენგისონმა გვთხროვა, ნება მომეცით,

ჩემი კერძიც აქ მოვიტანო და თქვენთან ერთად ჰური ვჭამო, და დაუმატა: მე მინდა თქვენის საუბრით კიდევ ვისინამოვნო. ჯერ იმას ჩემი ცოლ-შვილი არ ენახა, რადგან ისინი ზემო აღწერილს ვაწრო დერეფნით მოდიოდნენ ჩემს ოთახში და საზოგადო დარბაზს ასცდებოდნენ ხოლმე. შირველს ნახვასედეკე ძალიან მოეწონა ჯენკინსონს ჩემი უძცროსი ქალი, რომლის სასესაც ფიქრიანობა უფრო ამშვენებდა. არც ჩემი მატარები დარჩნენ შეუნიშვნელი.

— ეს ბავშვები მეტად ლამაზნი და კარგნი არიან და ამისთანა ადგილს ყოფნა არ შეშვენით, მითხრა იმან.

— ღვთის მადლით, მიუუბე მე, ჩემი შვილები ზნეობით კარგნი არიან და სხვაფეროვაც კარგნი არიან თუ არა, არ მენადვლება.

— მგონია, თქვენთვის დიდი ნუგეში უნდა იყოს, რომ მთელი თქვენი სახლობა გვერდითა გუავთ.

— დიდი ნუგეშია, ბატონო ჯენკინსონ, დიდი! მე მაგათ მთელის ქვეყნის სიმდიდრეზედ არ გავცვლიადი. საზურობილე მაგათ მეოხებით ბრწყინვალე სასახლე მგონია. ვინც მაგათ დაუშვებს რასმე, ის იქნება ჩემას უბედურების მიზეზი, ჩემი შეურაცხმყოფელი.

— ვაიბე, რომ მეც მგონი მაგაში დამნაშავე ვარ, წარმოსთქვა იმან და მოსეს შესება. მგონი მე ეს უმაწვილი ერთხელ მოვატყუე და ვთხოვ, რომ მომიტყუოს ჩემი საქციელი.

ჩემს შვილს მაშინვე გაახსენდა იმისი სახე და ხმა, თუმცა კი უწინ სხვა ტანისამოსი სცმოდა, ხელი გამოართვა და დიმილით უთხრა, მიმატიებიაო და ზედ დაუწოთ:

— მე ეს მიგვირს, რა ნახეთ ისეთი ჩემს სახეში, რომ ისე ადვილი მოსატყუებელი გეგონეთ?

მანინც არ შემეცდინა. თუმცა ვატყუებდი, მაგრამ იმან იმდენი ჰქნა, გაძდიდრდა, მე კი ისევ ჩემებურად თვალთ-ვმაქცობდი, ვეშმაკობდი და მანინც ღარიბად დავიჩინე; სიღარიბესთან ნაღვლად ისა მქონდა, რომ შატოლსნება ვერ დავიცევ. ახლა ეს მიბძინეთ, თქვენ რაღა დავგემართათ, რამ მოგიყვანათ აქა? მე იმდენი მოსურსება არა მქვს ჩემი თავი დავიხსნა ამ ცისიდაში, მაგრამ იქნება ჩემს მეგობრებს მანინც ხელი გაკუთნათო.“

თხოვნა ძალე აგუსრულე: დაწვრილებით ვუამბე ჩვენი თავ-გარდასაკალი და ჩვენი უგუნური ქცევა, რომელმაც იმ უოფაში ჩავკვანა. დავუმატე აგრეთვე, რომ თავისუფლების მიღება ესა ჩემთვის შეუძლებელია-მეთქი.

ჩემი ამბავი რომ მოისმინა, შატარა სანს ჩაიფრდა და შუბლზედ ხელი შემოიკრა, ვეცდები, მოვასურსო რამეო.

თ ა ვ ი XXVII

შემდეგი იმავე ამბის.

მეორე დღეს შეკატყობინე ჩემს ცოლ-შვილს, მინდა ტუსადები მოვარჯულო-მეთქი. არავინ არ მომიწონა ეს განზრახვა: არც შესაძლებელია და არც სავადრისიო; შენის ცდით იმათ ვერას ჩაგონებ და შენი წოდება კი იქნება მაგით შეარცხვიზო.

— შემცდარნისაო, მივუბე მე. ეგ საღისი, თუმცა დაცემულია, მაგრამ მანინც ადამიანის სახე სძევთ და ეგვენ საკმარისია ჩემთვის. მე მიყვარან ეგენი ჭ თუ ჩემს დარიგებას არ მიიღებენ, უკანვე დამობრუნდება იგი ჭ გრძნობას მევე ამიძალღებს;

იმით თუ არ გამოადგებათ, მე ხომ გამოადგება. ეს უბედურები რომ დიდნი-კაცნი იყვნენ, შვილნი ჩემნი, ათასი მეტი მჩხეველი გამოუჩნდებოდათ. ჩემის აზრით, საზღვრობილეში გამოძვედუელის გული ისეთივე საუნჯეა, როგორც სელმწიფის ტანტხედ მჯდომისა. მე ჩემსას ვეცდები, კეთილს გზაზედ დაკაყენო და იქნება ზოგთან მანც სიტყვა გამოვიდეს. ერთი მანც რომ უფესკრულიდამ ამოვიყვანო, ისიც დიდი საქმეა, რადგან ქვეყანაზედ ადამიანის სულისთანა ძვირ-ფასი არა მიაბრება-რა.

ეს რომ წარმოვსთქვი, ისევ საზოგადო დაზნაზში წაკედი. ტუსალები მხიარულად იყვნენ და მიმელოდნენ: ეველას სხვა-და-სხვა ხერხი ჰქონდა მოგონილი ჩემს მასხარად ასაგდებად. ქადაგებს რომ დავიწვეე, ერთმა, ვითომ და უცაბედად, ჰარიკი მომიშალა და ბოდიში მომთხოვა; მეორემ შორიდან ამოასველა და წიგნი ფურთხით ამივსო: მესამემ ისეთის ამოხვრით წარმოვსთქვა «ამინო», რომ ეველამ გადასარსარა; მეოთხემ ჯიბიდან ჩუმიდ სავალეები ამომაცალა. მაგრამ მათში ერთი ერია, რომელმაც თავის სუმრობით ეველანი მეტად გაამხიარულა. ჩემი წიგნები რომ წინ დავიწვეე, მომეზარა, ერთი წიგნი გამომაცალა და რაღაც უწმწური წიგნი დასდო იმის ალაგას. მე ურადღებს არა ვათხოვე-რა იმ საცოდავების ქვეყანას და ჩემს საქმეს დავადექი. დარწმუნებული ვიყავ, რომ რაც კი სასაცილო მჭირდა მხოლოდ ერთ-სეულ ან ორ-ჯერ გაცინებდა მათ და ჩემი დარიგება კი საუკუნოდ გულში ჩაჩხებოდათ. წადილი მალე შემიძინებდა: ერთს კვირასზედ ბეკრმა შეინანა თავისი ყოფა-ქცევა და ეველანი მოწიწებით უფრო მიგებდნენ.

მე კმაყოფილი ვიყავ, რომ ჩემს სურსმა და მეცადინეო-

ბამ ასე გასჭრა და გონებაზედ მოიყვანა ის უბედურნი, რომელთაც ყოველივე კაცობრიული გრძნობა თითქმის გამქრალი ჰქონდათ; ესლა იმაზედ დაგვიწყე ზრუნვა, ეგება იმათი ქვეყნიერი მდგომარეობაც გამეუმჯობესებინა. აქამდის სან დამშეულნი იყვნენ, სან ეელთამდე საკმელ-სასმელით სავსე, სან მწარედ სწიოდენ თავიანთ ბედზედ, სან ლოთობით იქაურობას იკლებდენ. ერთმანერთში ჩხუბისა, ქალაქის თამაშობისა და რაღაც ჩხირების თლის მეტს აწას აკეთებდენ. მე განვიზრახე უფრო რიგიანი საქმე ამეჩინა: დავაწყებინე ჩხირების თლა მეთამბაქოებისა და სარაზებისათვის; რაც გასათლელი ხე იყო საჭირო, ხელის-მოწერით შეგროვილ იუულით ვაყიდვიე და მათს ხელ-ასაქმესაც ისე ჰუიდედენ, როგორც მე ვუჩვენებდი. მალე ყველანი ცოტადდენს იუულს იღებდენ თავიანთ ნამუშავერში და ეს ცოტაც კარგი იყო მათთვის.

ესეც არ ვიკმარე: დავაწყე რომ ცუდის ყოფა-ქცევისათვის სასჯელი ჰქონოდათ დანიშნული და ვინც უფრო სხვებზედ კარვად იმუშავებდა, ჯილდო მიეღო. ამ რიგად, ჯერ რიგვირა არ იყო გასული, რომ ის სრავა ადამიანების საზოგადოებას დავამკსავსე და ჩემს თავს კანონ-მდებლად ვსასვადი, რომელმაც ველურს საღსში მშვიდობიანობისა და მორჩილების ჩამოგდება შეიძლო.

სწორედ კარგი იქნებოდა, რომ კანონი უფრო სსსიათის გადაკეთებას სცდილობდეს და არა სასტიკად დასჯას. სახელმწიფოს გამგენი უნდა დაწმუნდენ რომ ბოროტ-მოქმედების ამოსაფხვრელად ემკობინება—კანონს საღსი დამინებელი ჰყავდეს და არა სასჯელს შეჩვეული. თორემ ესლა ერთის ავის საქმისათვის ცხებში ამწუვდევენ დამნაშავეს ჭ ვინც იქილამ ცოცხალი დააღწევს თავსა, ათას ავს საქმეში განსწავლული იქნება

და უფრო მკნე წევრი შეიქნება საზოგადოებისა. ჩვენ უნდა ისეთივე ცნებები გავმართოთ, როგორცინც კერძოში არიან; იქ ტუსადი მარტო უნდა იყოს დამწვევდელი და ისეთი პირი ჭკავდეს გვერდით, რომელმაც ცოდვის მონანიება ჩააგონოს, თუ დამნაშავეა, და თუ უბრალოა, უფრო აღუძრას კეთილის საქმის სიყვარული. აი ამ გზით შეიძლება სასელმწიფოს თეს-სედ წამოყენება და არა დამნაშავეთა სასტიკად დასჯით. არც ის არის კარგი რომ უბრალო დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯას დაწესებული. კაცის-გვლასუდ აქ არა ვლანანკობა; იმას უნდა მოესმოს სიცოცხლე, ვინც შეესხ სხვის სიცოცხლეს, რადგან თავის-თავის დაფარვა—ბუნების კანონია. კაცის-მკვლე-ლის დასასჯელად უნდა ეგვლანი მზად იყვნენ, მაგრამ ქურ-დობისათვის სიკვდილით დასჯა არ არის კარგი. ბუნება არ გვამლევს ნებას მოკუსმით ქურდს სიცოცხლე, და თუ იმან, ვთქვათ, მომწარ ცხენი, ის ცხენი იმის საკუთრებად ისჯა, რო-გორც ჩემი. ჩემი უფლება მხოლოდ ჩვენს შუა დადებულს ში-რობასუდა ჭკიდა, რომელიც ამბობს: ვინც სხვას ცხენი მოჭ-მაროს, სიკვდილით დაისაჯოს, მაგრამ ეს შირობა ფუჭია, რადგან არავის არა აქვს უფლება თავის სიცოცხლესუდ. ამას გარდა, ეს შირობა უსამართლოა და მალეც გაუქმებული იქნე-ბა, რადგან მცირე დანაშაულობისათვის დიდს სასჯელსა ნიშ-ნავს. ისა სჯობს, რის კაცს სიცოცხლე შეარჩეს ერთას კაცის ცხენის შეარჩენასა. რა შირობაც ვი რის კაცს შორის უსამარ-თლოა, ასსა და ასი-ათასს შორისაც უსამართლო იქნება. რო-გორც ათი მილიონი წრე ოთხ-კუთხედ ვერ გადაიქცევა, ისე ათი მილიონის ყვირილი სიცრუეს სიმართლედ ვერ გარდაჭ-ქმნის. ჭკუა-გონება ამას გვეუბნება და ბუნების შვილნიც ამას სჩადიან. ველურს ხალხს, რომელიც ბუნების კანონს

მისდევს, ძალიან ენახება ვისიმე სიკვდილი და ძვირად შეიძინებოდა სისხლსა, თუ არ სისხლისვე საზღვევლად.

ჩვენი საქსონელნი წინა-პირნი, თუძნა ომში სასტიკად იჭრებოდნენ, მშვიდობიანობის დროს თითქმის არავის არა სავსად ეძინებოდათ, და რომელ სასელმწიფოსაც ვერ ბუნებრივი სასე სდევს, თითქმის არც-ერთს დანაშაულს სიკვდილის ღირსად არა სთვლის.

მხოლოდ განათლებულს ქვეყნებში მდიდართ მოუგონიათ სიკვდილით დასჯა ღირებთათვის. მექს, სწორად სასელმწიფოს უფრო ეტყობა მოხუცის სიმკაცრე და რაც უფრო მეტს ქონებას ვიძინებ, თითქმის უფრო მეტი სიყვარული ვეძლევი მისი, თითქმის უფრო მეტს შიშს ვგრძნობთ და ყოველ-დღე ახლს განონებს ვიგონებთ, მის დასაცავად; საღმრთოებლებით გარეშდომ ვუარვლავთ ჩვენს სახლსა რომ მტაცებელნი თავი-დამ ავიშროთ.

არ ვიცი რას უნდა დებოდეს, რომ ჩვენს ქვეყანაში უფრო მეტი განონი შედის ძალაში, ვიდრე ყველა სხვა ევროპის სასელმწიფოებში ერთად! განონების სიმრავლეს თუ, ჩვენის ხალხის უკანონო ქრევას. იქნება ორივეს მიზეზიც იყო, რადგან ორივე მოვლენას ერთმანერთთან მჭიდრო კავშირი აქვთ. იმდენი განონი ჩვენში, რომ მათნი აღმასრულებელნი ვეღარ არჩევან ერთმანერთში და სძირად სხვა-და-სხვა დანაშაულისათვის ერთსა და იმავე სასჯელს უნიშვნენ. ხალხიც ამას რომ ვხედავს, აღარ არჩევს სხვა-და-სხვა დანაშაულს ერთმანერთში და მხოლოდ ამ სხვა-და-სხვაობის გარეკვსედ არის დაუშვებელი ხალხის უნებობა. ამ რიგად, განონთა სიმრავლე ვხედავს ახალ-ახლს ბორც-მოქმედებას და ახლს ბორც-მოქმედებას მოსდევს ახლის განონის დაწესება.

მართებლობამ განიხილა სალხის მიუარველად უნდა დაადგინოს და არა სალხის მტარველად. ეს ემკობინება ახალ-ახალის განიხილების მოგონებსაც; საზოგადოების იქამდე შეწყობისაც, რომ სიმბეჭად გაჭიმა ველარ შეიძლონ და გაწყედენ; იმისაც რომ დამნაშავეთ სიტყვებს ვუსმობთ და მათის ზნეობის გაუმჯობესობას ვი არა ვცდილობთ; იმისაც რომ სამართლის მიმტემის მაგიერად, სისხლის მსლვეკველად გარდავიქცით. მაშინ ვიგრძნობდით, რომ ბრალეულთ მსოფლად დამრიგებელი აკლდათ; მაშინ ვიგრძნობდით, რომ გაჭირების დროს შეუძლიანთ მიუარველად აღმოუჩენ სალხს ისინი, ვისაც ესლა მკაცრად ვსჯით, თუ მდიდარს ცოტად ვსჯით შეწყობის მიაყენებენ. მაშინ ვიგრძნობდით, რომ მათი გულიც ისე ჭკავს ჩვენს გულს, როგორც მათი სახე ჩვენსას; რომ ძვირად მოინახვება იმისთანა ბორცვი, რომლის კეთილს გზაზე დაყენება არ შეიძლებოდა; რომ კაცის დანაშაული შეიძლება შირველი და უკანასკნელი იყოს და რომ ბევრი სისხლი არ არის საჭირო ჩვენში მშვიდობიანობის დასამყარებლად.

თ ა გ ი XXVIII

ბედნიერება და უბედურება ამ ქვეყანაში უფრო კეთილ-გონიერებაზედ არის დამოკიდებული; ვიდრე სათნო ცხოვრებაზედ. ქვეყნიერს სიკეთეს, ან მწყინარებას ზეცა ცოტად რადმი სახავს და არ დასდევს მათს განაწილებას.

ორს კვირზედ მეტი დავჯავს ციხეში და არც ერთ-სეულ არ მოსულა ჩემი ძვირ-ფასი ოლივიის ჩემთან. საშინლად მომინდა იმისი ნახვა. შეკატყობინე ჩემს ცოლს ეს სურვილი და

მეორე დღეს ჩემს ოთახში შემოვიდა საწვავი ოლივიან, თავის დის ძეგსევე დაფრდნობილი. გაძაოცა და შემაწუნა იმისმა სახის ცვლილებამ: სადაღა იყო იყო უწინდელი ღაზათი და სიკვდილურე! თითქო ჩემს მშვენიერს ოლივიანს სიკვდილის სული დასტეობდა! ღოყები ჩასცვივოდა, შუბლი გასჭიმოდა და პირსევე გადაჭკვროდა საშინელი მერთალი ფერე.

— მე დიდად მოხარული ვარ შენის ნახვისა შვილო, ვუთხარი მე, მაგრამ რადა ხარ აგრე შეწუხებული? ნუ თუ აღარ გაეყარვარ და იმიტომ აღარ უფთხილდები შენს თავსა, რომელიც ჩემს სიცოცხლეს მიჩვენინა! ჭირს ნუ გაუტყდები, შვილო, და იქნება უფრო ბედნიერს დღეს კელიწსოთ,

— თქვენ ყოველთვის კეთილის გულით იფავით ჩემსევე, ძამა, და იმას უფრო ვწუხვარ, რომ აღარ შედიხსება ეგ ბედნიერება გავიყოთ თქვენ. ვაიმე, რომ ეს წუთის-სოფელი ესლას ფუჭია ჩემთვის, ჭ მოუთმენელად მოკელი იმ დღეს, რომელსაც დაპტოკებ ამ ქვეყნიერებას, სადაც მწუხარების მეტი არა მტკიბინა-რა. მართლას, ძამა, კარგი იქნებოდა დათანხმებულიყავით ტორნჭილის სურვილს. იქნება მაგით ცოტაც არის თავი შეგებრალეებინათ და სიკვდილის დღეს ეგ ძანც ნუგეშად მექნებოდა.

— არა, შვილო, თავის-დღეში არ დავთანხმდები, რომ ჩემს შვილს უნამუსობის ხმა დაუყარდეს. დეე სხვებმა შენს ქცევას მრუდეს თვალთ უფურხან, მე ძანც ეგ აჩქარების ნაყოფად მიძახნია და არა გარყვნილების ნიშნად. ნუ გგონია, რომ ეს ადგილი ჩემთვის ძნელი სამყოფი იოლს; თუმცა საზარელი სახანსავი კია, მაგრამ სახანმ შენ ცოცხალი მეყოლები, არასოდეს არ დავთანხმდები, იმან სხვა შეერთოს და შენ უფრო გაგაუბედუროს.

ჯენებისანიც იქ იყო ამ ღაზაზის დროს და ჩემი ქალი რომ წავიდა, ძალიან დამტუქსა, რატომ არ დასთანხმდებოდა, რასედაც გელაზაზებოდათ, თუ ვი მაგითი თავისუფლებას ეღიარებოდათ. არ არის კარგი რომ მთელის ოჯახის მშვიდობიანობა შესწირეთ მშვიდობიანობას ერთის შვილისას, რომელმაც ისეთი შეურაცხება მოგაყენათო. მკონი არც ის იყო კარგო, რომ უარხედ დგესართ და არა სთანხმდებოდა იმ ქალ-ყრმის ქორწილზედ, რომელმაც შეუღლებას კერ დაუშლით, მაგრამ იქნება მაგ უარ-ყოფით ვი გაუბედურდეთო.

— თქვენ არ იცნობთ, ბატონო, იქ კაცს, რომელიც ესე გვაწუხებს, მიუხედავად. რაც უნდა მოახილება გამოეყენებოდნენ, ერთის საათის თავისუფლებასაც არ კელირსები. მე მითხრეს, რომ ერთის წლის წინად ამავე ოთახში მომკვდარს უცქელესმელად ერთი იმისი მოვალე; სწორედაც რომ ჩემს თანხმობამ იმისთანა მშენიერს სასასლში გადამიყვანოს, რომელსაც იგი ჭიჭილად, მაინც არ დაეუბნებოდა იმ ქორწილზედ; მე ვგრძნობ, რომ ჩემი თანხმობა გარყვნილობის დაგვირგვინება იქნება. ვიდრე ჩემი ქალი ცოცხალია, იმისი ქორწილი სსკასთან არ იქნება ჩემს თვალში განახიერა, არა! და თუ ის აღარ მეყოლება, მაშინ მართლა რომ საწინაღობი გავი ვიქნები, თუ ჩემის ჯავრის ამცაყრელად, დაკავშირებ იმით, ვისაც ერთმანერთთან შეუღლებს სურთ. მაშინ მე თითონ მოვიდამე, რომ ჯვარ-დაწერილი ვინაო იგი, რადგან, თუმცა ხატობსება არა აქვს, მაგრამ იქნება ქორწინებამ მომავალში მაინც აშოროს გარყვნილებას. ესაა ვი სწორედ სასტიკი მამა ვიქნები, თუ ჩემის თანხმობით ჩემს ქალს საიფლავის გათხრას მოგუწირავებ და მე იმის სიკვდილით აქედამ

თავს დავისსი; რა იქნება რომ ერთი მწუხარება თავიდან ავიცილო და ჩემს ქალს კი თასი მოკვსვიო თავს!

— სწორედ მართლეს ბძახებო, მითხრა იმან, მაგრამ მგონია თქვენს ქალს სიკვდილის დღე კიდევ მოსწრაფებული აქვს, და თქვენ დიდ-ხანს აღარ იქნებით ამ სახელებით გამოძევებული. მაინც აი რას გირჩევთ: რადგან არ გინდათ ძმის-წულთან საქმე დაიჭიროთ, ბიძას სომ არაფერი დაუშავებია. იმის ბიძა მთელს ჩვენს სასკლმწიფოში შირველ კაცად ითვლებოდა თავის კეთილის სახით და ყოველ კეთილ-საქმისადმი თანაგრძნობით. მისწერეთ ფოსტით წერილი, შეატყუებინეთ იმის ძმის-წულის უსინდისობა, და დაწმუნებული ვარ, სამს დღეზედ მასუსს მიიღებთ.

დაუშვალე ამ რჩევისათვის და მაშინვე დაჯავირო წერილის მიწერა, მაგრამ ქალადი არა მქონდა და რაც ფული გვებოდა, დილითვე სასმელ-საჭმელზედ დაგვეხარჯა; ქალადიც ვენკისონმა გვიმოკა.

სამი დღე სულ იმანვე ვივიჭრობდი, ტორნჭილის ბიძა როგორ მიიღებს ჩემს წერილსა-მეთქი. ჩემი ცოლი კი მუდამ ჩამჩხინებდა, დასთანსმდი ყოველისფერზედ, რაც კი ტორნჭილმა მოინდომოს; ეგა სჯობს აქ დაჩხენსაო. ამას გარდა მალ-მალე ამბავი მოქონდათ, რომ ჩემი ქალი თან-და-თან უფრო ცუდად იყო.

გავიდა მესამე დღე, მეოთხეც, მაგრამ ჩემის წერილის მასუსი არ მომიღოდა; მაინც რა დასაჯერებელი იყო რომ ტორნჭილის ბიძას ვილაც უცხოს საჩივარი მიეღო თავის საყვარელს ძმის-წულზედ. იმის იმედის სხვა ჩემს იმედებსავით გამოცუდა. არ გაუტყუდი ამ უიმედობასაც, თუძა ტყუილად და უკარგისმა ჭკობმა მადიან შემასუსტა, და დამწვარის ძელა-

ვის ტკივილიც უფრო გამძინელდა. მე ჩაღაზედ ვიყავ გაწო-
ლილი; ჩემი პატარაები გვერდით მისხდნენ ხალხმე და ხან ერ-
თი მიკითხავდა წიგნებს, ხან მეორე; ხან კი ჩემს დაწიგებას
უფრო უგდებდნენ და სტიროდნენ.

ჩემი ქალი ჩემზედ უფრო ავად იყო; ყოველი იმისი ამ-
ბავი შიშსა და ტანჯვას მიმატებდა; მესუთე დღეს, შემდეგ
ტორნჭილის ბიძასთან წერილის მიწერისა, შემოვიდნენ და მით-
ხრეს, თქვენი ქალი უენოდა სდევსო. ესეა ვიგრძენ, რა მწა-
რეც იყო ჩემთვის ტრუსაღად ყოფნა; გული თითქო ბუდი-
დამ ამომივარდა; მინდოდა ჩემის ქალის თავითა კმჯდარვიყვ
და ნუგეში მიმეცა რამე, გამემაგრებინა, მომესმინა იმისი უკა-
ნასკნელი სურვილი და მის სულისთვის ზეცის გზა გამეკვალა.

მოვიდა კიდევ ამბავი, სულთ ებრძვისო და მე კი უკა-
ნასკნელი ცრემლიც ვერ დაკავარე, ამ მცირე ნუგეშისაც მოკ-
ლებული ვიყავ. პატარა ხანს უკან შემოვიდა ჯენკინსონი და
მითხრა, გული გაიმაგრე, კელარას მოუმატებ, შენი ქალი გარ-
დიცვალა!

მეორე დილასაც შემოვიდა იგი ნუგეშის მოსაცემად.
გვერდით მხალხოდ რაი პატარა ბავშვი მყავდა; ესენი იყვნენ
ესეა ჩემი დროს-გამტარებლები და სულ იმასა ცდილობდნენ,
გაკვერთე რეგორმე; მეუბნებოდნენ, მოდი, მამა წაგაკითხავთ
რასმეს და კი ნუ იტირებო; ბებერი ხარ და ტირილი როდი
უნდაო.

— ესეა ჩემი და ანგელაზია, განა, მამა? მითხრა უფ-
როსმა. მამ რადასა სწუხარ? ნეტავი ძეც ანგელაზია ვიყო,
ოღონდ ამ ოთახსა კი გავუმორდე და მამაც ჩემთან იყოს.

— ესეა ჩემი და ცაშია; სთქვა უმცროსმა, და იქა სჯობია,
აქ ყოფნასა; იქ სულ კარგები არიან, აქ კი ავები.

ჟენკინსონმა გააწვევტინა ეს უმანგო ტიპტივი და მით-
ხრა: ესლა თქვენი ქალი ცოცხალი აღარ არის და სსკებზედ
უნდა იზრუნოთო; თქვენს ცოლ-შვილს უზატრინეთ და თქვენს
თავსაც უშეღაცათეთ, თორემ უჭმელ-უსმელობა და ამ საზურ-
ბილის მსრჩავლი ჭაერი მალე ბოლოს მოგიღებთო. ესლა უნ-
და დასთმეთ ამპატრავნებაც, მძულვარებაც და მსოფლოდ იმათ-
ზედ იზრუნოთ, რომელთაც თქვენს მეტი უატრინი არ გა-
ახნიათო. ესლა სიმართლევაც და გონიერებაც იმას მოითხოვს,
რომ ტორნჭილს შეუჩივდეთო.

— ღვთის მადლით ესლა ჩემს გულში ამპატრავნება ჭ მძულ-
ვარება აღარა არის-რა; მიუხედავად თითონვე გავკიც-
ხავდი ჩემს თავს, რომ ჩემს გულში ეგ გრძნობა იყო დაბუ-
დებული. მე ეს იმედიც მაქვს, რომ იმის სულს განწმენდილს
წარვადგენ საუკუნო სამსჯავროს წინ, რადგან იგი ერთხელ ჩე-
მი სულიერი მონათვე იყო. არა, ესლა მე აღარავინ არა მძულს!
თუმცა იმან გულიდამ გამომგლიჯა, რაც ვი ყოველს იმის საუნ-
ჯეზედ უძვირფასესი მებადა, თუმცა იმისგან სასიკვდილოდ ვარ
დაკოდილი, დიად, დაკოდილი, დაუძღურებულნი, მანც მაგიერის
გადანდას არას დროს არ მოვიხდომებო. ესლა მზადა ვარ დაკ-
თანხმდე იმის ქორწინებას და ესეც აცნობეთ, რომ თუ რა-
ღისმე მიწყენებია რამე, დიდადა ვწუხვარ იმ წყენისათვის.

ჟენკინსონმა აიღო საწერ-კალამი და რაცა ვსთქვი, ყო-
ველისიერი ჩასწერა. მე სელი მოვაწერე. ეს ბარათი ჩემმა
შვილმა წაუღო ტორნჭილს, რომელიც იმ დროს თავის სა-
სახლეში იმყოფებოდა. ხუთი-ექვსის საათის შემდეგ დაბრუნ-
და და ეს ამბავი მოგვითხრო: ძლივს მივაღწიე თითონ სახ-
ლის-უატრინამდის, რადგან მოსამსახურეები უზღვევად მომეჭ-
ნენ და ცუდის თვალთ შემომხედესო; რადგან საქმისთვის,

გამობრძანდა თითონ, და მხოლოდ მასინ მოკახწერ ნახვალ. ის ესლა თავის ქორწილის მზადებაშია, რომელიც სამს დღე-სეგ უნდა მოხდეს. მოწიწებით მიუყახლოვდი და ბართით მივართვიო. წაიკითხა და სთქვა: გვიანდა! დამორჩილება ეს-და საჭირო აღარ არის. მე შევიტყე, რომ თქვენ ბიძი-ხე-მისთვის წერილი მიგიწერიათ და იმას ის წერილი ისე უყუ-რადღებოთ მიუღია, როგორც გქვადრებოდათო. კვლავ თუ ჩემ-თან საჭმე გქონდეთ რამე, ჩემს ადვოკატს მიწმართეთ და არა მეო... ან არა, უკეთესი იქნება შუამავლად შენა ორი ჭ ჩამოდ-დგეს, რადგან ჩემის აზრით, იმთ უფრო გონივრული ქცევა ეტყობათო.

— ესლა რომ სედავთ, რა ხასიათისაც ყოფილა ის კაცი და როგორს მტანჯავს კიდეკ! ვუთხარი კვენკინოსს. მტანჯავს და თან სასაცილოდ მიგდებს! მაგრამ რაც უნდა ჭქნას, რაც უნდა ურდულები გაუყაროს ამ კარებს, მაინც მალე გაგთავი-სუფლდები იმის სელიდამ. მე ესლა მივდივარ იმ სამეფოში, რომელიც თან-და-თან ბწყინვალედ მეჩვენება, რაც უფრო მე-ტად უყახლოვდება. ამის მოლოდინი მიქარვებს მწუნარებს და თუმცა ჩემს შემდეგ ქვრივ-ობლები დამჩებიან, ღმერთი არ დაივიწყებს მათ: გამოჩნდება ვინმე ღვთის მოსავი, რომელიც უმატრონებს ან მაგათის უბედურ მამის გულისხათვის, ან იმ მამის გულისხათვის, რომელიც ზეცაშია.

ამ ღაშარაჟში რომ ვიყავით, საჩქაროდ შემოვარდა ჩემი ცო-ლი. სახეზედ ძლიერი შიში ეტყობოდა ჭ შიშისაგანვე ენა ჭქონ-ღ ჩავარდნილი. იმ დღეს პირველი იყო იმისი ჩემთან შემოსვლა.

— რადა ხარ აგრე, საყვარელო ჩემო? ვუთხარი მე. შენის მწუნარებით რად აძლიერებ ჩემს მწუნარებასაც? მართალია, ჩვენ-მა მორჩილებამ გული ვერ დაუღობ ჩვენს სასტავს მოვალეს

და ამ საზარელს აღაგს სიკვდილი გადამიწვევით; მართალია, ჩვენი საყვარელი შვილი დაკარგეთ, მაგრამ სხვა შვილები მაინც დაგჩვენებენ ნუგეშად, როცა მე აღარ გეყოლება.

— მართლაც ამბობ, მართლაც! წარმოსთქვა იმან. დაკარგეთ ჩვენი საყვარელი შვილი! ჩვენი ქალი, ჩვენი კარგი სოფიო აღარ გვეყავს, მოგვტაცეს, ხელიდან გამოგვკატაღეს ვიღაც ავანტიურმა!

— რას ამბობთ მაგას? ჭკიისა კვნიისონმა. ნუ თუ მართლაც სოფიო წაიყვანა ვინმე?

შასუსის მაგიერად ჩემს ცოლმა გასტერებით შექნა დაღ თვალთაგან ცრემლი გადმოსცვივდა. დაწვრალებით ეველაფერი მხლელად ერთმა ტუსადის ცოლმა გვიამბო, რომელიც ჩემს ცოლთან ერთად შემოვიდა. იმან გვითხრა, რომ ისა, ჩემი ცოლი და ჩემი ქალი დიდს გზასეუდ გასულიყვნენ სასეირნოდ სოფელს გარედ და იმათს ახლო უნებ ფოსტის ეკიზაში გაჩერებულყო. ეკიზაში იმითი კარგად ჩაცმული კაცი გადმომხდა-რიყო, ჩემის ქალისთვის წელსეუდ ხელი მოესვია. ძალად ჩაესვა ეკიზაში და გაქანებინა. ერთს წუთას თვალთაგან მიჭფარებოდათ. იმ კაცს კარგად ეცვა, მაგრამ ტორნჭილი კი არ იყო.

— ესლა კი ამეკსო მწუსარების ფიალა! შეკვირიე მე. ამის მეტს ვეღარავინ რას დამმართებს. რას ამბობთ მაგას! აღარც ერთი აღარა მყავს! ერთიც აღარ დასტოვა! ოჭ, გველეშაშო! როგორ ამომცაღლე გულიდან ეგ შვილიც! მაგას ანგელაზის მშენიერება ჭქონდა და თითქმის ანგელაზის გონიერებაც! ხელი მიაშველეთ მაგ აღმანს, არ დაეცეს. ოჭ, ღმერთო ჩემო; აღარც-ერთი აღარა მყავს!

— ვაიბე, რომ შენთვის ჩემსეუდ მეტად ყოფილა ნუგეში

საჭირო! მითხარა ჩემმა ცოლმა. დიდი უბედურება დაგვადგა; მაგრამ მეტის ატანასაც შევიძლებ, თუ გი შენ კარგად შეეძლები. წამართვან ყოველისივერი, თუნდა შვილებიც, ოღონდ შენს თავს ნუ წამართმევენ!

ჩემი შვილი მოსერ იქვე იდგა და სცდილობდა, ნუგეში მიეცა რამე; ნუ აძლეოთ თავს მეტს მწუხარებას, იმედი მაქვს, სასიამოვნო ამბის გაგონებაც გველიწესოს.

— მიხედ-მოხედე, შვილო, და მითხარა აბა, რაღას შეუძლიან ჩემი სიამოვნება? ვუთხარი მე. ამ ქვეყანაზე გავგეჟირო ყოველივე ნუგეშის სხივი და იქ არ ვიცი, იქნება ბრწყინვალე მომავალიცა გეჟიონდეს.

— მე იმედი მაქვს, ამით მანც ჰატარა ვინუგეშოთ; მომიგო მოსემ. ეს არის ესლა გეორგის წიგნი მომცეს ხელში.

— ხომ არ იცის ჯერ ჩვენი ტანჯვა? ვკითხე მე. ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ ჩვენი უბედურება იმასაც შეეტყუოს და იმასაც სატანჯველად გაჭხდომოდეს.

— არა, ბატონო, ის სრულებით მხიარული და ბედნიერია. კარგისა და სასიამოვნო ამბების მეტს არას იწერება: ჩემმა უფროსმა ძლიან შემიყვარა და მზირდება, ძალე უძაღლესს აღაგს მოგცემო.

— მაშე კო სწორედ მართალია! სთქვა ჩემმა ცოლმა. მაშე მართალია, რომ გეორგს ცუდი არა დამართვინა-რა?

— რა უნდა დამართოდა, დედა. აი ის წერილიც; უეჭველია ძლიან გასიამოვნებო და თუ ესლა თქვენი ნუგეშის მოცემა შეუძლიან რასმე, აი ეს წერილი განუგეშებო.

— სწორედ დაწმუნებული გი ხარ, კიდევ იკითხა ჩემმა ცოლმა, რომ ეს წერილი იმისაგან არის დაწერილი და ის მართლა ბედნიერებაშია?

— რა ვქნა, ეჭვის შემოტანა რა საჭიროა! მიუგო მასემ. დარწმუნებული ვარ, ერთს დროს ის იქნება ჩვენის ოჯახის შემწე და მაცხოვრებელი.

— მას კმადლობა ღმერთსა, რომ ჩემი უკანასკნელი წერილი არ მისვლია. წარმოსთქვა ჩემმა ცოლმა და მერე მითხრა:

— ესლა უნდა გაგიმხილო, რომ თუმცა სხვათნოვ ღმერთი განრისხებულია ჩვენზედა, ამ შემთხვევაში გი დაგვიფარა. უკანასკნელი წერილი გამწარებულია და ვწერუ და ჩემს შვილს ვწერდი, თუ არ გინდა შენის, დედობისგან ხელი ავიღო და თუ ქუდი გსურავს, ხელი გამოიღე და მაგიერი გარდაუხადე შენის დის გამრყენელს და მამი-შენის შემაწუნებულსა-მეთქი. კმადლობა ცისა და ქვეყნის გამჩენს, რომ ის წერილი არ მისვლია; ესლა შემძლიან დამშვიდებული ვიყო.

— ეგ ძალიან ცუდად გიქნია, და სხვა გუნებაზედ რომ ვყოფილვიყავ, უფრო მწარე საყვედურს მიიღებდი ჩემგან; ვუთხარი მე. საშინელს უფსკრულს გადაჩენილსართ შენცა და ისიც. განგებას უფრო მეტი გულის-ტკივილი ჰქონია ჩვენი, ვიდრე ჩვენ თითონ ჩვენის თავისა. მას დაუფარავს ჩემი შვილი, რომ თქვენს პატრონად იყოს, რომდესაც მე აღარ ვიქნები. უსამართლოდ ვჩივრადი, ყოველი ნუგეში მოსპობილი მაქვს-მეთქი; ჯერ კიდევ ჩემი შვილი გეორგ ბედნიერია და ჩვენის მწუნარებისა არა იცის-რა. ის ეყოლება მოვარველად თავის ქვრივს დედას და თავის დაობლებულ დებსა და ძმებს. მაგრამ რა დებსედ ვლანარავობ; სადღა ჰყავს დები! ორივე მოძაშორეს და მიწასთან გამასწორეს.

— მამა, ნება მომეცით, წაგიკითხოთ ეს წერილი. იმედი მაქვს, გესიამოვნებათ. მითხრა ჩემმა შვილმა. მე ნება დავრთე და აი რა წაიკითხა:

აბატონო, მამა.

«ცოტას სნით მინდა მოგშორდე იმ სიახლოვნებს, რომელიც გარშემო მარტყია და მინდა ოცნებით გადმოვიფრინდე უფრო სასიამოვნო ადგილს, — ჩემს სახლში, ჩვენის ჰატარა ბუნების წინ. მე წარმოდგენილი მაქვს, მთელი ჩვენი სახლობა როგორც გულ-მოდგინებით ყურს უდგებს ამ წერილის ყოველს სტრიქონს. თვალ-წინ მიდგანან ეგ უძნებო სასუბები, რომელთაც ამჟამინდურების და უკმაყოფილებობის შემძუსვრელი ხელი არ დასტყობათ. მაგრამ რაც უნდა სრული იყოს თქვენი ბედნიერება, მანც მეტი არ იქნება, შეგატყობინათ, რომ მეც სრულებით ბედნიერი ვარ და კმაყოფილი ჩემის ყოვანცხოვრებისა.

«ჩვენის ჯარის დასს აქვე დაჩვენის ბძანება მოუვიდა და ინგლისიდან აღარ გადას. ჩვენი უფროსი თავის მეგობარს მუძანის, ყველგან თან დაჟყვარ და რომელს ოჯახშიაც კი ვიყავ, ყველგან თან-და-თან უფრო კარგის ოვალთ მიცქერანს. წუსელის ერთს მშვენიერს ქალთან ვიტანდავე და თქვენ რომ იცით, იმის დავიწყება რომ შემეძლას, იქნება ამ ქალის ცოლად შერთვაც არ გამჭირებოდა. სწორედ ცუდი ბედი დამევა: ყველანი მხსნოვან და მე კი თითქმის ყველა მეგობრებმა და ნათესავებმა დამივიწყეს, ვაი თუ თქვენგანაც დავიწყებული ვიყო, მამა! აი რამდენი ხანია, ველი თქვენს წერილს და კი არსადან სხანს. ოღვივა ჭ სოფიოც მშირდებოდენ, წერილებს მოგწერთ სოღმეო და მაგათაც დამივიწყეს. უთხარით მაგ ურცხვებს, რომ მაღიან გულ-მოსული ვარ მაგათხედ, მაგრამ მანც ტბილის გრძნობებითა მაქვს გული სახესე ჭ მანც მაღიან მიყვარან ეგენი. თქვენც დაწმუნებული ბძანდებოდეთ, მამა, რომ მუღამ ვიქმნები
«თქვენი მოსიყვარული ჭ მოწილი შვილი გეორგი.»

— ამდენი უბედურება კი თავს დაგვატყდა, მაგრამ დიდი მადლობა უნდა აღვმართოთ ზეტსას, რომ ერთი წევრი მანტ ჩვენის ოჯახისა ჩვენის ტანჯვის მონაწილე არ არის. დემოთი იყო ისი მიფარველი და ნუ მოაქლას ბედნიერება! ატრცხლას აგი ჰატრონად თავის ქვრივის დედისა და ამ ორის ჰატარა ბავშვისა; ამის მეტის სამკვიდროს დატოვება მე არ შემძღიან. ნუ გამოცდევინებს ამ უმანკო ბავშვებს სიღარიბეს, სიღარიბის განსაცდელს და ჰატოლსანს გზაზედ უწინამდგროს მათ.

ეს სიტყვები რომ წარმოვსთქვი, ძირიდან წაღაც ხმაურობა მოისმა; ხმაურობა რომ შეწყდა, ბოტკილის ჩხარი-ჩხური გავიგონე დერეფანში. შემოვიდა ციხის ყანაული ჩემს ოთახში და თან ერთი დატრელი კაცი შემოიყვანა; უცნო კაცი სისხლით იყო მოსუკრილი და მაგარის ჯატკვებით გაბოტკილი. შემებრალა ის სატოდავი, მაგრამ წარმოადგინეთ, რა თავ-ზარი უნდა დამცემოდა, რადესაც მომიანლოვდა და ვიცან, რომ ჩემი შვილი გეორგ იყო.

— შვილო, გეორგ! შევევირე მე. იქნება თვალები არ მატყუებენ და შენ იყო ეტრე სისხლში შესუკრილი და შებოტკილი! ეგ არის შენი ბედნიერება, ატრე უნდა დამბრუნებოდი? რატომ არ გასკდები გულო! რადადა ვარ ტოტსალი ამ ამბის მნახველი!

— სად არის თქვენი გულ-მატრობა? მომიგო ჩემმა შვილმა შეუმიტრკალის ხმით. მე სიკვდილით დასჯა მაქვს გადაწვეპტილი და მევე უნდა დავიტანჯო. დეე, შეასტრულონ სამართალი და წამართვან სიტოტსლე.

ჰატარა ხნით ვეტადე გული გამემატრა და ჩუმიდ ვიყავ; მაგრამ ვერ შეკველ დამეუარა მღელვარება.

— ოჰ, შვილო ჩემო! გულიდამ სისხლი მწკეთს, შენ მაგ ყოფნაში რომ გსკდავ და შველა კი არ შემოდის. მეგონა, ნეტარებაში იყავი, კმადლობდი ღმერთს შენის უნებლობისათვის და ის კი არა თუ შენ დატყრილი, ბოროტი-კაყვინი ყოფილხარ! ნეტავი იმას, ვის სიტყვებსაც ბოლო უმაწილებასში მოუღება. მე სიბერემდის ვიტყვებ, რომ ეს დღე მენახა: მენახა, როგორ უღროდ მოესპობოდათ სიტყვებს ჩემს შვილებს და როგორ ძველს ნანგრევსავით დავრჩებოდი მე. დეე, რისხვა ღვთისა დაეტეს თავს ჩემის შვილების ძველს! დეე: იტყვებს ჩემსავით და ნახოს....

— მოითმინე, ბატონო, ნუ გამაწითლებთ თქვენის სიტყვებით თქვენს მაგივრად; მომიტე ჩემს შვილმა. როგორ ივიწყებთ თქვენს სწავლებას, თქვენს წმინდა წოდებას და გინდათ თქვენის ნებით განაგოთ ზეცის სიძარტლე; თქვენ ზეცისადმი წყევლას აღმართავთ და არ გეშინიანთ რომ ეგ წყევლა უგანკე დატრიალდეს, დაეტეს თქვენს ჭკადარს თავს და განადგუროს! ისა სჯობს მოძამხადოთ იმ შემარტსვენ სიკვდილისათვის, რომელიც მალე მომეღის; შემტყურეთ იმედითა და გამბედაობით, რომ უშიშრად შევსვა სიმწარის ფილა.

— არა შვილო, შენ სიტყვებს ვერავინ წაგართმევს! რას ჩაიდენდი იმისთანას, რომ მაგ საშინელის სასჯელის ღირსი იყო; ჩემი გერგ მაგისთანა ავაზაკობით არ შეარტსვენდა თავის წინაპრებს.

— ჩემი შეტოდების მოტყუება, მგონი შეუძლებელია. მე რომ დედი-ჩემის წერილი მივიღე, მაშინვე წამოვედი, მიხდოდა იმ მუნახათისათვის სამაგიერო გადაემხდა და დეულში გამწვევის ბრათი გავუგზავნე. თითონ კი არ გამოვიდა და ოთხი ბიჭი გამოგზავნა ჩემს დასატყრად. ერთი დატყურ,

მოხნი სასიკვდილოდაც, მაგრამ სხვებმა შემიპყრეს. იმ ლა-
ხარს უნდა თუჩმე კანონით დამსჯებინოს; საბუთებიც ნამ-
დვილი უჭირავს ხელში. პირველმა მე გაუგზავნე გამწვევის
ბარათი და რადგან პირველი მე გადაკვდი კანონს, სიკვდილი
არ ამტდება. თქვენ ბევრჯერ აღტაცებაში მოგიყვანივართ, რა-
ცა დარიგებას მაძლევდით, კაცი მსნე უნდა იყოსო; აბა ახლა
თქვენ თითონ მახვენეთ სიმხნის მაგალითი.

— გაჩვენებ, შვილო, გაჩვენებ. მე ესლას ამ ქვეყანაში აღა-
რს ვარ და აღარ ვგრძნობ აღარც მის სიამოვნებას, აღარც
ტანჯვას. დღეის იქით ვსწევებ უოკელს გავშირს ქვეყნიერს
ცხოვრებასთან და ორივე მოვემზადოთ საუკუნო ცხოვრები-
სათვის. ჰო, შვილო ჩემო, მე გზას გიჩვენებ, ჩემი სული წინ
წაგიძღვება და ორივე ერთად ავიდეთ ზეცას. მე ვსედავ ეს-
ლას, რომ აქ მოტყეებას ველარ ეღირსები და ეცადე, მოგი-
ტეონ იმ დიდს სამსჯავროში, რომლის წინაც მე და შენ მა-
ლა წავდგებით. ნუ ვიქნებით თავ-მოყვარენი; დავუძახოთ სხვა
ტუსალებსაც და ჩვენს იმედში იმთაც წილი დავუდვათ. დაუ-
მასე, ციხის მტველო, ვეკლას, მოვიდნენ აქ, რომ კეთილი
ჩავგონოთ რამე.

ეს რომ ვსთქვი, წამოვიწიე ჩემს ჩაღის ქვეშ-საკებზედ,
მაგრამ წამოჯდომა ვერ შევძელ და კედელს მივაუყუდე. ვეკლას
ტუსალებმა თავი მოიყარეს ჩემს ოთახში: უუვარდათ იმათ ეს-
ლას ჩემის დარიგების მოსმენა. მოსე და იმისი დედა აქეთ-
იქით მხრებში ამოძისდნენ და რა ვნახე, რომ არც-ერთი ტუ-
სალი არ აკლდა, შემდეგის სიტყვებით მიუძართე მათ:

თ ჳ ვ ი XXIX

განგება ერთ-გვარად უწილებს ადამიანს ბედნიერებასაც და უბედურებასაც, რადგან, ვინც სააქაოს იტანდებოდა, იმას სამაგიერო ნეტარება სასუფეველში ელირსება.

«მეგობარნო, შეილნო და თანა-ტანჯულნო ჩემნო! როდესაც ვთქვამდები ამ სოფელში კეთილისა და ბოროტის განაწილებაზედ, ვხედავ, რომ ადამიანს ბევრი სინარული მისცემია, მაგრამ სატანჯველი კიდევ უფრო მეტია სინარულზედ. მთელი ქვეყანა რომ მოვათვალიეროთ, იმისთანა ბედნიერს სულდგმულს ვერ ვხვდებით, რომელსაც კიდევ მეტი ბედნიერება არ ენატრებოდეს და ყოველ-დღე კი ვხედავთ იმისთანებს, რომელნიც თავს იკვლენ და მით გვიმტკიცებენ, რომ ალრაფერს სინარულს არ მოელოან. ცხადია, ამ წუთის-სოფელში სრული ბედნიერება არსად გველირსება; მაგრამ შეიძლება კი სრულიად უბედურნი ვაყოთ.

«რად უნდა იტანჯებოდეს ადამიანი; ჩვენი უბედურება რად არის საჭირო საყოველთაო ბედნიერებისათვის; რად არის ასე რომ, როდესაც ყოველივე სხვა დაწესებულება სრულია და უნაკლებლო, მსოფლიოს წესი სასკვა ნაკლებუკანებით? ამით მასუსს ვერ მივაგნებთ ვერას დროს, და თუნდა მივაგნოთ კიდევ, ვერ გამოვიყენებთ. განგებამ არ მოგვცა ნიჭი ამის ასწინისა და ნაცვლად მისა ნუგეში მოგვანიჭა.

«ამ ყოფაში, კაცმა ვერ ძილდოსოფოსთა სწავლა მთავრდება, მაგრამ ზეცამ ვერა სცნა იგი ნუგეშინის მტკემლად და მოანიჭა საწმინდობა. თვალსოფოსნი ართობენ კაცს თავიანთ

სწავლით, მაგრამ ხშირად შეცდომასში შეჭყავთ. ისინი გვიჩა-
დაგებენ, ცხოვრება ნეტარებით სავსეა, მხოლოდ უნდა ვიცო-
დეთ, როგორ გამოვიყენოთ იგი და თან ამასაც ამბობენ,
კაცს ამ წუთის-სოფელში მწუხარება არ ასცდება, მაგრამ სი-
ცოცხლე მოკლეა და მწუხარებასაც ბოლო ძალე ეღებოა. ამ
გვარი ნუგეშები ერთი-ერთმანერთის წინააღმდეგნი არიან: თუ
სიცოცხლე სასეტაროა, მისი ძალე მოსპობა სამწუხარო უნდა
იყოს და თუ ხანგრძლივია იგი, მწუხარებაც ხანგრძლივი იქნე-
ბა... თვითსიყვარულს სწავლა თუძცა სუსტია, მაგრამ საწმუ-
ნოება ძლიერია. საწმუნოება გვასწავლის, რომ აქ კაცი სა-
სოფელისათვის უნდა ემზადებოდეს. ვინც დასთმობს თავის
ცხოვრებას და იზრუნებს მხოლოდ მომავალზედ, ის აქვე
ელიწება ნეტარებას, მაგრამ ის კი, რომელიც ცუდმა ცხოვ-
რებამ გარყვანა და გაათანხანა, უნდა შიშით მოელოდეს ზე-
ცის წისკას. საწმუნოება არის მუდამ-ყამს ჩვენი უმთავრესი
ნუგეში, რადგან თუ აქვე ბედნიერი ვართ, ჩვენზედ ჭიდაია,
ეს ბედნიერება საუკუნო ბედნიერებად გადავაქციოთ, თუ არა;
და თუ უბედური ვიქნებით, ისა გვჩვენებს ნუგეშად, რომ ეს
წუთის-სოფელი დროებით სამყოფელია. ბედნიერს საწმუ-
ნოება დაუსრულებელს ბედნიერებასა ჭიბრდება და უბედურს
კი—ტანჯვის დასრულებას.

«თუძცა საწმუნოება ვეელსთვის კეთილია, მაგრამ
უბედურისთვის კიდევ უფრო კეთილია იგი: სამღვთო წერი-
ლი ანუგეშებს უძღურს, შიშველს, უბინაოს, ტვირთ-მძიმეს.
ჩვენის საწმუნოების დამფუძნებელი თავის-თავს აღიარებდა
ტანჯულთა მეგობრად და ზრუნავდა მხოლოდ უბედურთათვის.
უგრძნობელნი ამბობდენ, ეგ მიფერება არის და ღიარების კვა-
ლობაზედ არ ეზერობა ხალხსაო. იმათ არ იცოდენ, რომ თვით

ზეცისთვისაც გასაჭირია ბედნიერი და უბედური ერთ-გვარად სიამოვნოს საუკუნო ნეტარების დაპირებით. ბედნიერისთვის ეს დიდი რამ არის, რადგან იგი არ სცვლის მათს მდგომარეობას, უბედურს კი ორის მხრივ სიამოვნებს იგი: უძვირეს აქაურს სატანჯველს და საიქიოსთვისაც სასუფეველსა ჭვირდებს.

განგება ღარიბს უადვილებს სასუფეველის გზას, რადგან იმ ცხოვრებისათვის ნეტარებასა ჭვირდებს. ტანჯულს ყოველივე ტანჯვა ცნობილი აქვს და მშვიდობიანად ემზადება სიცოცხლესთან გამოსასაღებლად და მხოლოდ ზოგიერთებს ენახებათ იგი. უბედური მხოლოდ უკანასკნელს სულთა-ბრძოლასედა ჭკრძნობს ტანჯვას, მაგრამ ამ გვარს ტანჯვას შეჩვეულია იგი, და სიკვდილი რაც უფრო უახლოვდება, გრძნობიერებაც თან-და-თან ეკარება მას.

ამ რიგად განგებამ ორი უპირატესობა მიანიჭა უბედურს ბედნიერზედ: აქ უფრო ადვილი სიკვდილი და იქ უძვირესი სიამოვნება შემდეგ სატანჯველისა. ეს უპირატესობა არ არის მცირე, მეგობარნო ჩემო, და თვით იგავშიაც, სასუფეველში მყოფი, თუმა ზეცის ნეტარებასა გრძნობდა, მაგრამ კიდევ უძვირეს ნეტარებად ის მიანიხნდა. რამ ეს ნეტარება ეღირსა უბედურების შემდეგ.

ხოლო ხედავთ, მეგობარნო ჩემო, რომ სარწმუნოება გვამდეგს მას, რასაც თვითსაფრთხისა სწავლა ვერ მოგვცემს; ის გვაჩვენებს, რომ ზეცა ერთ-გვარად ენუგობა ბედნიერსაც, უბედურსაც; ორივეს ერთ-გვარს სიამოვნებას ანიჭებს. ღარიბსაც და მდიდარსაც ერთსა და იმავე ბედნიერებასა ჭვირდებს საუკუნო ცხოვრებაში და ერთ-გვარს იმედს აძლევს, და თუმა მდიდარი აქ უფრო კმაყოფილებაშია, ღარიბს ესა რჩება

ნუგეშად, რომ იგი ეღიწება დიდს ბედნიერებას შემდეგ უბედურად უფათისა; და ეს სიამოვნება თუნდა მცირედიც იყოს, საუფუნო მანაც არის და ქვეყნიურს სიამოვნებას კი დიდი დღე არა აქვს.

«ეს არის ღარიბების ნუგეში, მაგრამ სსკაფორავ კი ღარიბები დაბლას სდგანან დანაწიენს დაძმანებზედ. ვისაც მათი ცხოვრების შეტყობა სურს, თითონვე უნდა გამოცხადდეს სიღარიბე; სიღარიბის სიკეთეზედ ბეკრსა ღაზაწაკობენ, მაგრამ არავინ კი არ ჭყისრულობს მას თავის ნებით. ვისაც ცხოვრებისათვის საჭირო უოკელისფერი აქვს, ის ღარიბად არ ჩაითვლება და ვისაც აკლია იგი, მას ტანჯვა არ ასტდება. არც ჩვენა გვცდება ტანჯვა. რაც უნდა აგვიტაცდეს ჩვენმა ოცნებამ, მანაც ცისის ნოტიო ჭაერი არ გაგვიტებება, არც დაკოდილი გული გაგვიმთელდება. ფილესოფოსნი თავიანთ საამო სამყოფიდან გვეუბნებიან, უნდა მოითმინოთ, მაგრამ ეს ძალდატანება კიდევ უფრო ძნელი მოსათმენია. სიკვდილი მცირე ტანჯვას და ყველას შეუძლიან იმის ატანა, მაგრამ საშინელ სატანჯველის ატანა კი არავის არ შეუძლიან.

«ჩვენთვის, მეგობარო ჩემო, სასუფეველი უფრო განსაკუთრებით ტუბილი უნდა იყოს. მართლაც და სააქაოს მეტი რომ არა გვერგოს-რა, ჩვენისთანა უბადრუკი არსად მოაზრებოდა. როცა ვუფურებ ამ ბნელს კედლებს, რომელნიც გარს შემოგვრტყმიან და თითქო ჩვენს შესაშინებლად აშენებულანო; როცა ვხედავ ამ მკრთალს სინათლეს, რომელიც თითქო იმიტომ შემოდის აქ, რომ ჩვენი საზარელი სამყოფი დაგვანახოს; როცა მესმის ჩხარი-ჩხური ამ ბოროტებისა, რომელნიც ან მტარვალმა გაგვიყარა ხელ-ფეხში, ან თითონ ჩვენმა ბოროტ-მოქმედებამ; როდესაც ვხედავ ამ შეწუხებულ სახეებს

და მესმის ეს კენესა და ჩივილი, როგორ ან წარმოვიდგინო, მეგობარნო ჩემნო, რა დიდებული და სანატრელი უნდა იყოს ჩვენთვის სასუფეველი! სული ჩვენი აჭურბინდება დაუსრულებელს ჭიკაბში, დასთბება საუკუნო ნეტარების სხივით, აღმართავს ქუჩის გალობას ზეცისადმი, და აღარა შეაწუხებს—რა მას, აღარაგინ ეყოლება მბრძანებლად, გარდა დაუსაბამოს კეთილისა! როდესაც ვიფიქრობ ყოველს ამაზედ, სიკვდილი მახარობლად მეჩვენება და თვით უმწარესი ისარი, დასაყრდნობელი ჯიხვი მგონია. როდესაც ვიფიქრობ ყოველს ამაზედ, რაღა მასთან სიტყვსა! ყოველისთერი უნდა უარ-კყოთ. თვით სელმწიფონიც თავიანთ სასახლეებში უნდა ნდომულად მას და ჩვენ მცირენი და უბადრუენი სასიკეთით შევანატრიდეთ.

ქმრე გვეღიროსება კი ჩვენ ესე ყოველივე? გვეღიროსება, თუ ვეცდებით და ეს არის კარგი, რომ ჩვენ მოკლებული ვართ ბევრს რასმეს, რომელსაც შეეძლო ჩვენი განსაცდელში ჩაგდება. ვეცდით და მივადწევთ მას და მალეც მივადწევთ. ჩვენი წარსული ერთი წუთია და მომავალი კიდევ უფრო მოკლეა წარსულზედ. რაც უფრო ხანში შევდივართ, დღეებიც თან-და-თან მოკლე გვგონია და დროცა მცირდება, რა კი თვალს ვჩივით მას. ვინუგეშობთ, რომ მალე გავივლით ამ ცხოვრების გზას, მალე მოვიხსნით მძიმე ტვირთს, რომელიც ზეცამ აგვიკიდა და თუმცა სიკვდილი, ერთად-ერთი ნუგეში უბედურისა, გვატყუებს ჩვენ, როგორც დაღაღუღს მგზავრს ცის კიდე და რაც ვუახლოვდებით, თითქო უფრო გვშორდება, მაგრამ მანც დიდი ხანი ან გაივლის იმ დრომდე, როდესაც მდიდარნი თქონით ვეღარ ვაგვიქვავენ, როდესაც სიამოვნებით მოვიგონებთ ამ სოფელში მწუხარედ გატარებულს დროს; როდესაც გარე-

შემო გვეხვევა ყველა მეგობრები და ღირსნი ჩვენის მეგობ-
რობისა; რადესაც ნეტარება ჩვენი იქნება გამოუთქმელი და
დაუსრულებელი.»

(დასასრული მესუთე ნუმერში.)

ს ი ზ მ ა რ ი.

(ვ. ქ. მ.)

დღიურ-სიტხადით გულ-დაჩაგრულსა,
ძილში მელირსა ტკბილი სიზმარი:
ვნახე, რომ ქვეყნად ჩამოსულიყვნენ
ნინო, ქეთევან და თვით თამარი.

თამარს თავს ედგა ძლევის გვირგვინი
და ქეთევანსა—წმინდა მოწობის.
ნინოს ხელთ-ეპურა ჭვარი ვაზისა,
ნიშანი დიდი ქრისტეანობის.

ზეტად აეპურათ სამთავე თვალი;
საქართველოსკენ აშვერდენ ხელსა
და შეერთებით, სმა-შეწეობილად
ჭვალობდენ ტკბილსა საგალობელსა:

«დედაო მღვთისავ, შენი მსგედრია
ეს საქართველო დიდ-ჭირ-ნახული.
შეუნდეგ ცოდვა, ნუ ააღებ ხელს!
აძობიერებით იბრუნე გული.»

«მოეტ კურთხევას ზეცით, მადლად,
 და გადმოასახე ძლიერად ჭკვარი,
 რომ აღადგინო ქართველი დედა,
 დღეს დატეპული და ცოცხალ-მკვდარი.

«მისსა მხნეობას, მისსა ზნეობას
 გაუმტკიცებდე აღმა-ფრენასა,
 და შენ საჭებრად, სადიდებულად
 ნუ დაუკარგავ იმ ტკბილ - ენასა,

«რომლითაც თამარ ბძინებს სტემადა,
 ქეთევან მარად შენ გადიდებდა
 და ნინო მისა შენის მცნებსა,
 შენგან რჩეულ-ერს უქადაგებდა.»

ბაკური.

რუსეთის ეხლანდელი მღვდმკარობა.

სტატია პირველი.

ეველამ კარგად ვიცით, რომ ჩვენში ძლიერ ძნელი მოსახერხებელი საქმეა თავისუფლად ღაპარაკი ზოგიერთ საზოგადო საინტერესო საგანზედ. ესეც ვიცით, რომ წვრილმან საქმეების უკან დევნა მწერლობას ამცირებს, მკითხველს იმაზედ გულს უტრუებს და ათქმევინებს მწერალზე:

«Бичуя маленькихъ ворюшекъ
Для удовольствія большихъ,
Дивить онъ дерзостью мальчишекъ
И похвалою гордится ихъ.»

მკითხველი გაგონებს: დღეს საზოგადოებას აღეგებს ესა და არა ის ამბავი, გინდა თუ არა, მოახერხე ღაპარაკი ამაზე და არა იმაზე. თუ ეველას დაწვრილებით ვერ გვიამბობ, უმთავრეს საგანზე მინც რამე გვითხარი, დანარჩენი იქნება ჩვენ გამოვიცნოთ; ეს სჯობია სრულს სიჩუმესა.

ამ უკანასკნელს ორ-სამ წელიწადს რუსეთში ხდებოდა გულ-დასათუქავი ამბები: ახალ-გაზდობა იღუპებოდა; უსამართლოდ, ზოლიციის განკარგულებით, იგზავნებოდა ციმბირს

ათი-ათასობით ყოველ-წოდების და წლავანობის ხალხი. *) ასეთივე სიმკაცრით სასტიკი ჰედაგოგები ისტუმრებდენ გიმნაზიებიდან სწავლის მწუხრავლე ემაწვილებს. რუსეთში დამკვიდრდა ის საშინელი სენი, რომელსაც შეგვიძლიან «ზარტიზანური არეულობა» ვუწოდოთ. რუსეთის ყოველს კუთხეში საზოგადოებამ გაიღვიძა და შიშით კითხულობდა: როგორ ვუშველოთ თავს, ხვალ რა იქნება? თუ მწერალი არა სცდილობდა ამ კითხვასე შესუნის მიცემას, იმას საზოგადოება ზურგს შეუქცევდა. მართლაც, რა მწერლობაა ის მწერლობა, რომელიც გაჭირების დროს ხელს არ მისცემს მკითხველს და გამომცემელ ბურუსიდან არ გამოიყვანს!

აი სწორედ ამ მოსაზრებამ გვალაპარაკა „ივერიის“ ჰიროკელს წიგნში რუსეთის ამბებზედ, თუმიცა ჩვენ კარგად ვიცოდით, რომ ყველაფერს ვერ გამოვსთქვამდით, რასაც ვგრძნობდით. ჩვენ მხალხოდ იმედი გვქონდა, რომ მკითხველებს ვუჩვენებდით ზოგიერთს უმთავრესს უგვანობას, რომელმაც დაჭაბა უკანასკნელი არეულობა, და დანარჩენს მიზეზებს კი თითონ მკითხველები მისვდებოდნენ ჩვენის ნაწერიდან. ჩვენ სიფთხილით ვლანაპარაკობდით; ამ სიფთხილიც ზოგიერთი უსაფუძვლო საყვედური დაგვასვია და აქ გვინდა თავი კიმართლოთ....

„უთუოდ ზოლექიკას დაიწყობენო,“ იფიქრებს დაშინებული მკითხველი.

არა, ჩემო საყვარელო მკითხველო, ღმერთმა მამოღოს

*) იხ. საინტერესო სიტყვა შეავევისა, წარმოთქმული პეტერბურლის სათავად-ანზნურო კრებაში, (რუსული გაზეთი «მოლოდა» № 50).

პოლემიკას! იმიტომ ვი აწა, რომ საზოგადოდ პოლემიკა ცუ-
დი წამ იყოს; აწა, იმიტომ რომ ჩვენში პოლემიკა მუშტის-
კრივად გაჭხადეს და ეს ლიტერატურული ფორმა ეკვლას შე-
ძულეს. ჩვენ აქ თავის გამართლების დროს ერთს წამსაც არ
დავივიწყებთ იმ მძიმე საგანს, რომლის ახსნა ჩვენზედ გვიტ-
ვირთნია და იმედი გვაქვს, არ მოვაბეზროთ მკითხველი ბა-
რულ ჯიჯღინით.

ნ—ლი „ივერიის“ მესამე ნომერში ვაბობს, რომ ვი-
თამ რუსეთის არეულობისა და მოძრაობის მიზეზად ჩამეთვა-
ლას მე მხოლოდ დაჩაგრული გიმნაზიელები. ასევე გაიგეს
ჩემი სტატიის ზოგიერთმა მკითხველებმა, ასევე ახსნა ჩემი აზ-
რი „იმედმა.“

ეს შეცდომაა. მე ჩემს სტატიაში ცხადად ვაბობდი, რომ
დაჩაგრულ გიმნაზიელებმა და სტუდენტებმა დაიწყეს ეს
მოძრაობა; ივინი შეადგენენ მოწინავე დასს. იმავე
სტატიაში ვაბობ: არეულობას იმითი ჭქონდა ძალა,
რომ ჩინოვნიკებისაგან დაჩაგრული საზოგადოება არ ეხმაყ-
ბოდა ჩინოვნიკებს რევოლუციონერებთან გამართულ ბრძო-
ლაში (იხ. 131 გვ. „ივერიისა“). უსეირო ჩინოვნიკებამ და-
შორა მართებლობა საზოგადოებას და ერთეერთმანერთს გა-
დუმტერა-მეთქი. ცხადია, რომ უმთავრესს მიზეზს რუსეთის
არეულობისას ვსედავდი და ვსედავ—რუსის ჩინოვნიკებში,
რომლის შეცვლას ესლა შეუდგა თვით მართებლობა. ამან გააღ-
ტაკა მდიდარი რუსეთი, ამან წაართვა ხალხს ყოველი ღონის-
ძიება, რომ თავისუფლად ეშრომნა და ჰატიოხსან შრომით ეც-
ხოვრას; სასამართლოში სამართალს ვერ ვპოვებდით, მეტ-
ნიერებაში—ჰეშმარიტებას, ლიტერატურა დამუნჯდა. ბატონ-

ემობა გადაწყდა, მაგრამ ემების რიცხვი გამრავლდა. ყოველი კეთილი ცვლილება, ხელმწიფის სასჯელით შემოღებული, უქმად რჩებოდა ჩინოვნიკების ხელში. როგორც ყოველთვის მოხდება ხელში, მოძრაობა დაიწყო ახალ-გაზდობამ. უმან-გო ახალ-გაზდობა ისე ადვილად ვერ შეურიგდება თავის-თავის გაუმართაობას, როგორც სიაკში დაქანებულნი საზოგადოება. მაგრამ ახალ-გაზდობაც არის და ახალ-გაზდობაც: არც-ერთს ქვეყანაში, არც-ერთს ისტორიულ დროს, ახალ-გაზდობა ისე ერთის მიმართულებისა არ ყოფილა, როგორც უკანასკნელს დროს რუსეთში. ყოველი ახალ-გაზდა, კარგადა სწავლობდა, თუ ცუდად, მალა-წოდებისა იყო თუ დაბადისა, სოციალისტი იყო თუ იმპერიალისტი, — ყოველი ახალ-გაზდა უკმაყოფილო იყო თავის ბედისა. ტოლსტოიმ ისე მომართა სწავლის საქმე, რომ ყველას ეგონებოდა, განათლებისათვის კი არა, გასულიერებისათვის არის გამართული სასწავლებელი. სასწავლებლები ასწავლებდნენ ემწვილ-კაცობას ზნეობითაც და სულითაც და ასე დამახინჯებულს ისტუმრებდნენ ცხოვრებაში. სკოლის სწავლებას აქ ემატებოდა საზოგადოების გადაძვინების უკმაყოფილება და ამდენ უგვარობისა გამო ცხარე ემწვილურნი ხისხლი აღეკვებდა თვით ანგელოზის წინაშე სულსაც.

ყველა ეს, რასაკვირველია, კარგად ესმოდა რუსეთის განათლებულს ნაწილს: გაოცდებოდათ შესტუმრება იგი თავის საყვარელს ხელმწიფეს და გულში ჭკითხულობდა, როდის მოგვაშორებს გარყვნილს ჩინოვნიკობასა. ხელმწიფემ გაიგო ხალხის სურვილი და შინაური პოლიტიკა ჩაბაძინა ღირსი-მედიკოსს, საბურავს, აბაზას და სხვებს, რომელნიც ჭმირდებო-

დენ საზოგადოებას: ერთგულად კემსახურებით მეფესაც და ქვეყნისაცა.

იმედი იყო, რომ ძველი ჩინოვნიკობა ამათ დაუთმობდა თავიანთ ადგილებს სახელმწიფო საქმეებში, და რუსეთი დაკმაყოფილდებოდა. მაგრამ ბედი სხვა-გვარად დატრიალდა...

ამ ჰატარს შენიშვნას რომ ვსწერდით ჩვენის აზრის გასამართლებლად, რუსეთში ისეთი საზარეო საქმე მოხდა, რომ უნებლიედ მიგვასხვდა წარსულისაკენ და კიდევ და კიდევ დაგვაფიქრს რუსეთის შინაურს წყობილებასზე. ამბობენ, მოძალადე მომდინარეობს აწმყოსაგან და აწმყოც—წარსულისაგანა. ამიტომაც ჰატარას სწიით დაკუბურუნდეთ ისტორიას და ცოტა უფრო დაწვრილებით გაკანჯვით, რა კეთილი ცვლილებებ მოგვიტანს განსვენებულ იმპერატორის მეფობამ და რა ნაყოფი ჰქონდა ამ ცვლილებებს ხალხის ცხოვრებაში.

ეტივი არ არის, რომ უმთავრეს რეჟიმად უნდა ჩაითვალოს ბატონ-ყმობის მოსპობა. რა იყო ეს რეჟიმმა, ამას არ გაიძობთ, ეს თქვენც კარგათ გეცოდინებათ. ვიტყვი მხოლოდ; რომ ამ კეთილ რეჟიმს ის ნაყოფი არა ჰქონდა, რომელსაც მოელოდა მთელი რუსეთი, და ამის მიზეზი იყო ჩინოვნიკობა—მეტონეების სული და გული.

უკვლას ეგონა, რომ ბატონ-ყმობის გადაგდებით ეკონომიური მდგომარეობა გლესობისა გაუმჯობესდებოდა. თვით მართებლობისაგან მოგროვილი ცნობები კი გვიჩვენებენ აშკარად, რომ ეს მდგომარეობა არამც თუ არ გაუმჯობესდა მას აქედ, არამედ უფრო გაფუჭდა.

უმთავრესი მიზეზი ამ სამწუნარო აზრისა, როგორც მეტ-ნიერები და გლეხის ცხოვრების მტოდნენი გვარწმუნებენ, წარმოსდგება გლეხების მამულის სიმცირისაგან. სახელმწიფო გლეხებს საკმაო მიწა მიეცათ, თითოც ერგო 4—5 დესიატინა (8—10 დლიური), ბატონებისაგან განთავისუფლებულებს კი 2—3 დეს. (4—6 დლიური). 2—3 დესიატინა მეტად ცოტაა, რომ გლეხმა იმითი თავი შეინახოს. ნაკლუდეგანება მიწის კიდევ ადგილი ასაწილებელი იყო თავიდან, რადგან რუსეთი ისე ჯერ არის გაჭედული ხალხით, როგორც დანარჩენი ევროპა, ან ზოგიერთი კუთხე ჩვენის ქვეყნისა; რუსეთში ბევრი მიწებია, ნაბატონარებისათვისაც და ნაუმეკვებისათვისაც საკმაოა, მაგრამ შინაგან საქმეთა გამკებულ ჩინოვნიკებს ოცის წლის განმავლობაში მხედველობაში ჰქონდათ მხოლოდ ნაბატონარების ინტერესი, არ ისურვეს იმათი წყენა... და გლეხებსაც მეტი ღონე არა ჰქონდათ, უნდა სიმშვილესს შეჩვეულიყვნენ.

მართლაც და ეხლა რუსეთში ბევრს ადგილას შიმშილობაა, თუმცა უკანასკნელ წლებში არა ყოფილა ძლიერ ცუდი მოსავალი და რუსეთის მიწაც საზოგადოდ ძლიერ მადლიანია. მწერლობამაც და საზოგადოებამაც კარგად იგრძნო, რომ სესხით ღ სხვათნკვ დროებით დახმარებით დიდი საქმე არ გარბდება; ეხლა რუსეთში ბევრსა ჭფიქრობენ ამ საგანზე და აღარავენ დიდს იმედებს აღარ ამყარებს იმ წესებსზედ, რომელნიც გლეხების განთავისუფლების შემდეგ შემოღებულ იქნენ.

19 თებერვალს შესრულდა ოცე წელიწადი, რაც ეს რეჟიმმა გამოცხადდა და ამ დღეს უფრო გამოაშკარავდა საზოგადოების უკმაყოფილება. ამ დღეს, სხვათა შორის, შეიყარნენ ერთად სადილზე ის პირნი, რომელთაც მონაწილეობა

მიიღეს რეჟიმის შემოღებაში. იქ დაესწრო აგრეთვე ძველი ჰოლოკოსტის შეტყობის უნივერსიტეტისა, გამოჩენილი მწერალი კაკელინი და სთქვა შემდეგი სიტყვა:

«მეწაფელთა ხელმწიფეთა, დღეს ჩვენ შევიყარებით ბატონ-ფეოდალის მოსახლობის მოსაგონებლად, მინდოდა მეთქვა „სადღესასწაულად“, „სამხიარულად“, მაგრამ ამას ჩემი ენა ვერ იტყვის, რადგან უნებურად სულ სხვას გძმობს ჩვენი გული, რაცა იგონებს, რომ აქ ველარ ვსედავთ ჩვენს ძველს ამხანაგებს, იმით, რომელინც ყველაზე მეტად შრომობდენ ამ საქმისათვის, არ ჩოგავდენ თავიანთ ემსწილ-კაცობას და გული ტვინი იმედებით სავსე ქმნიდათ.

«რაც ვინახეთ ამ რცხ წელიწადს. ისიც არ გვამდევს ნებას, ვიმხიარულეთ. ვის არა სწამდა, რომ ბატონ-ფეოდალის გადაგება გლეხებს დაიხსნის სიღატაკისაგან, ხაყოფიერად ამოძრავებს, დაატვობს თავისუფლებით. ზნეობით აამაღლებს და განათლებს? ვის არა სწამდა, რომ მძობა და ერთობა დამკვიდრდება სსვა-და-სსვა წოდებათა შორის! მაგრამ გამოცხადდა თუ არა განჩინა გლეხების განთავისუფლება, ამ განჩინებას უფროსად სული და ხელში მხოლოდ უსულთა სიტყვები შეგვრჩა; სძირად არც სიტყვებსა სცემდენ ზატოვს: 1861 წლის წესები დაამხანავეს, იმისი დედა-პირი გადასსვა-ფერეს, და ამის მაგიერ არც-ერთი ახალი განჩინა არ შემოღებულა გლეხების სიღატაკის შესამცირებლად. ხალხსა ადრინდელ უმეტრებას და მსეტრებას მოქმეტა ვიდევ საშინელი სიღატაკე. ბატონებთან დამოკიდებულება შეიცვალა კონომიურ დახიკრად. გლეხებსა და მეძამულებს შუა უძვეთ ისეთი დიდი მსღვარი, რომელსაც ადრე ვერას დროს ვერ ვინახავდით.

«ჩვენი შთამომავლობა ამისთვის არ დაგვიამაღლებს; ჩვენ

უნდა შეგვეძინოთ ნასკვრად მანც ის მძიმე ტვირთი, რომელსაც ესლას მას ვუხანდებთ. თავის გამართლებაც არ შეგვიძლიან, რადგან ამ უსიამოვნო ანდერძის მიხედვით ჩვენი უმეტრება, უთაურობა, ან აკ-გუჯობა.

«ამ საქმეში ჩვენ კერძობას არ უნდა ვუტყვირთ. იქ გლეხობა ყოველთვის უმრავლესობას არ შეადგენს, იქ ქალაქელები, ქარხნის მუშები და სხვა წოდების კაცები მრავალნი არიან. ჩვენში კი ას კაცში ოთხმეტი კაცი უკუკვლავდ სოფელელი გლეხია და ამათ კეთილ-მდგომარეობასედ არის დამოკიდებული მთელი სახელმწიფოს კეთილ-მდგომარეობა. რამ უნდა იხაროს ჩვენში, როცა ხალხის დიდ-ძალი უმრავლესობა უმეტრია და შიშძილით კვდება? გავლიძმა ოცმა წელიწადმა, რასაკვირველია ბევრი რამ გვესწავლა, მაგრამ ეს სწავლა მეტად ძვირად დაგვიჯდა; იგივე შეგვიძლო გვესწავლა უამისოდაც, თუ რომ რივიანად და კეთილ-სინიდაისიანად დაკაცტქვრებოდათ კერძობის ცნობრებას.

«ესლას ყოველ მხრიდან გვესმის ჩივილი გლეხების საცოდვად მდგომარეობაზე. რა ვუყოთ, როგორ გავაუმჯობესოთ ეს მდგომარეობა? როგორც ვხედავთ, თავად-ახნაურობისა და ერობისა დიდი იმედი არ უნდა გვექონდეს. მწერლობას უკეთესად ესმის ეს საქმე. ის შირ-და-შირ ვვიჩვენებს, რა საშუალებით უნდა დავისხნათ გლეხობა სიმძილისაგან. გლეხებს ძლიერ ცოტა მიწა აქვს, ვკუთნებს მწერლობა. — თუ არ გვიანდა, რომ ისინი მდიდარ მექამულებმა შეაწუხონ, საჭიროა, ან გადასასლან თავისუფალს ადგილს, ან გაუმართონ ბევრგან ბანკები და სახელმწიფო მიწები მისცენ. ამ მტირე მათხვნისლების გამგონნი ბრახობენ და ყურხნალ-გასკეთობას სოციალისტობასა და კომუნისტობას აბრალევენ. მაგრამ ვიკითხოთ,

ვის არიან ეს დამბრალებლები? ესენი გახლავან ის პირნი, რომელნიც ყოველ ღონისძიებასა სმარობენ, სრულიად გააღატაკონ გლეხები და იათად ამუშაონ. ესენი მწერლებს აბეზლებენ მართებლობასთან იმისთვის, რომ მთავრობამ მწერლობას აღარ დაუჯეროს-რად და თითონ დამბეზლებულთავე მიეცესთ ღონისძიება გლეხების თავისუფლად გაუფლეთისა. მაგრამ იმედია, ესლა ეს დაბეზლება ისე ადვილად არ გაუვათ, როგორც ადრე იყო, და ოცის წლის გამოცდილებას ნაყოფიერად მოვიხმართ გლეხობის ეკონომიურ, იურიდიკულ და სოციალურად ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისათვის.»

მატივ-ცემულ სწავლულის სიტყვიდან ამჟამად სჩანს, რომ ხელმწიფეს სურდა, გლეხებისათვის საკმაო მიწა მიეცა და ესე განეთავისუფლებინა, (ეს პირ-და-პირ არის თქმული რესკრიპტში). მაგრამ მებატონეებმა ჩინოვნიკობის დანშაობით შესცვალეს უმადლეს ბრძანების აზრი. მაინც ასე იყო ამ უკანასკნელ ოცის წლის განმავლობაში; ჩინოვნიკობა ახერხებდა, რომ ყოველი ცვლილება, რომელსაც კი აზრად ხალხის კეთილ-დღეობა ჰქონდა, მდიდარ მემამულეებს, ან ვაჭრებს გამოეყენებინათ და ხალხი კი თან-და-თან უფრო გაღარიბებულიყო.

ავიღოთ, მაგალითად, რკინის გზები. ვის მოუტანეს იმით სარგებლობა? ვისთვის დახარჯა მართებლობამ ას-ასი მილიონები ამ საქმეზე და ვისთვის დაედო ათასი მილიონი მეტი ვალი?

რკინის გზები იმატომ არის გამართული, რომ ვაჭრებმა რუსეთის პური სამზღვარ-გარედ გაიტანონ. ვაჭირებაში გლეხს მოასწრობენ, იყიდიან იმისაგან პურს იათად, სამზღვარ გარედ გააქვთ და იქ მკირად ჰყიდიან. გლეხი რჩება უპუროდ,

სიმშლით იღუპება. სიმშლი იქაც კია, სადაც რეპრესიული განცხადების სიტყვით, ხალხი სრულებით გაჭირებაში არ არის. რუსულ გაზეთის «მოღვაწე» რედაქციაში გამოუგზავნიათ ის პური, რომელსაც კურსენტის მასწავლის, საბატონის გუბერნიის გლეხები სჭამენ, და რომელიც ბერისათვის სანატორელია. გაზეთის სიტყვით, ეს პური ნებსა ჭკავს, მწარე და მძლე გემო აქვს; ჩვენ მივეცით ის საჭმელად ძაღლებს, კატებს, ცხენებს, ძროხებს, მაგრამ არცერთმა პირ-უტყემა პირში არ ჩაუშვა.

ვისაც კი უღევნებია თვალი სახელმწიფო ბანკის რეპრესიებისათვის, ყველა გაიგებდა, რომ ესეც ყველასე მტად ესმარება პურის ვაჭრებს: გლეხებს საზინა მხოლოდ მაშინ ასესებს სოფელს იფულს, როცა სიმშლით სხნდება. მაგრამ მაშინ გვიანდა! ამ გვარად, არც სახელმწიფო ბანკმა არცა გლეხობას; ისიც იმის გამდატაკებელ ვაჭრებს მიეშველა.

ამ ოცის წლის წინად მართებობამ დაიხსნა ხალხი სახელმწიფო სარჯის იჯარით ამღებლებისაგან, დაარღვია «რეკონსტრუქციის სისტემა» და ამით შეუმსუბუქა ხალხს სახელმწიფო სარჯის გადახდა. იმედი იყო, რომ ამას აუცილებლად შეიძლება რეპრესიული მოჭყებოდა; იმედი იყო, რომ თანასწორად იტვირთებდნენ ყველა წოდებისა სახელმწიფო სარჯს და გლეხობას ამ ტვირთს შეუმსუბუქებდნენ. ბერი მხადება იყო ამ ცვლილების მოსახდენად, რამდენიმე წესდებაც გამოიცა ამგევი სწორით, მაგრამ დღეს გლეხობას ისევ საცოდავს მდგომარეობაში ვხვდებით: სახელმწიფო სარჯის გადახდისათვის რუსის გლეხი ამდევს თითქმის ერთი-ორად მეტს თავის წმინდა შემოსავალზედ მამულადამ. მხოლოდ სახელმწიფო მიწებზე მცხოვრებნი ისდიან ამ საგნისათვის 92% თავის წმინდა შემოსავლისას.

მაშ აი სურათი გლეხის ეკონომიურ მდგომარეობისა: იმას ისე ცოტა მიწა აქვს რომ თავი ვერ შეუნასავს, ჰურს ჭყიდის იაფად, რადგან ფული სჭირდება, მაგრამ უპურობაზე არ იქნება! ჰური შემოელევა, გლეხი სტდილობს იყიდოს თავისაგანვე გაუიდული, მაგრამ არც ფული აქვს და ჰურიც ვაჭარს ერთი-ორად გაუძვირებია. გლეხი ვალდებულია გადინდოს სასკელში იფო სარკვი, რომელიც თითქმის ორ-ჯერ მეტია იმის წმინდა შემოსავალზედ.

ჩვენ აქ გავიხილოთ გლეხის მდგომარეობა, რადგან გლეხობა, როგორც კაკელინი ამბობს, რუსეთის ხალხის ოთხს მეხუთედს შეადგენს და მასთანადავე ამის კეთილ-დღეობაზედ დამოკიდებულია მთელის სასკელში იფოს კეთილ-დღეობაზე. ამიტომ ყოველი ნამდვილი რუსი—პატრიოტი ყველაზე მეტად თვალ-ყურს ადევნებდა გლეხ-კარობის ბედს, და იმის დაჩაგვრას რომ ჰხდებოდა, მტრად უსდებოდა დამჩაგვრელებს. დამჩაგვრელებს შემწედა ჭყავდათ ჩინოვნიკობა,

ამ ჩინოვნიკობას, რასაკვირველია, გულ-გრილად ვერ უყურებდენ რუსის ხალხის გულ-მსურველეთანამგრძობლები. ჩინოვნიკებიც თავის მოწინააღმდეგებს უყურებდენ, როგორც მართებლობის და კანონების მტრებს და უსამართლოდ (უსუდოდ) ჰგზავნიდენ უვალად გადაკარგულ ადგილას. პეტრობურლის თავად-აზნაურთა კრებაში შაკეევმა გამოაცხადა, რომ 1870 წლიდან 1877 წლამდე, ე. ი. შვიდის წლის განმავლობაში მხლოდ ციმბირში იყო გაგზავნილი ამ გვარად 63,443 კაცი.

ეს უსამართლოდ კაცის დაღუპვა ასე ხდებოდა:

რომელიმე ახალ-გაზდა კაცი (ზოგჯერ მოხუციც) ორიოდ სიტყვით ცუდად ისვენებდა რომელიმე ჩინოვნიკის ან იმის მოვარკველ შემძლებელ კაცის საქციელს. პოლიცია მესამე განყოფილებას

(ესლს გაუქმებულ კანცელიარისაჲს უნდაძმებისას) შეატყობინებდა, რომ ესა და ეს მწეწალი, სტუდენტი, გიმნაზიელი ან სხვა ვინმე მართებლობას წინააღმდეგ ღანაჩაკობს, მდიდრებს ემტერება, დემოტი არა სწამს, სოციალისტია და ამიტომაც საჭიროა იმის აქედამ გადაკარგვაო. მესამე განყოფილებაც მოიწერებოდა, სამართალში მიეცითო და თუ გაამართლან, ციხეში გაგზავნეთო.

ესე უბრალოდ დაიღუპა რამდენიმე ათასი პატრიოსანი კაცი, რომელსაც გული შესტკიოდა დანაგრეულ ხალხისათვის და სტდილობდა იმის უბედურების შემსუბუქებას. ასე დაიღუპა ბევრი ნიჭიერი მწეწალი, ბევრი პატრიოსნად მშრომელი სტუდენტი! ხშირად ერთს საცოდავს გადაწყებოდა ხოლმე რამდენიმე უბრალო, უმანკო სული. თუ გაგზავნილის ძმა ან ნათესავი იჩივლებდა პოლიციის უსამართლობაზე, ან წიგნს მისწერდა გადაღუპულს, თითონაც იღუპებოდა.

ზოგიერთისათვის ეს შემთხვევა აუცილებელი სიკვდილი იყო. უსამართლოდ დაჭერილი, სალდათებისაგან ნაცემი, გამომძიებლებისაგან დატანჯული, სუსტი აგებულობის პატრონი, ნოტიო, ბნელ ცისეში სნეულდებოდა და ჩქარვად კვდებოდა.

ესლს რუსეთში თითქმის ყოველი ერობის ან თავდაზნაურობის ყრილობა, ყოველი განათი და უურნალი ცსარედ ღანაჩაკობს რუსეთის შინაურ სენზე—გლეხების ცუდს კონომიურ მდგომარეობაზე, თვით-მართველობის, სასამართლოს და საზოგადოების დანაგვრანზე ადმინისტრაციის მხრივ. ყველას მიეცა იმედი, რომ ესლს აუცილებლად მოხდება კონომიური და პოლიტიკური ცვლილება. მეტად შესანიშნავია პეტერბურგის თავდაზნაურობის კრება, რომელიც მოხდა ამ წლის თებერვალს. აქ მომრიგებელ-მოსამართლემ ვოლკოვმა

წარმოსთქვა სურვილი, რომ თავად-აზნაურობამ ივისრლოს მიძი-
 მე სასულემწიფო საქმეების გადაწყვეტაში მონაწილეობის მიღე-
 ბა, მაგრამ კრებს ვერ დათანხმდა ამ სურვილს და ვერ დათან-
 ხმდა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს კანონს ეწინააღმდეგებოდა.
 მეორე შესანიშნავი სიტყვა წარმოსთქვა ამავე კრებაში შაკევემა.
 ეს ამტკიცებდა, რომ ადმინისტრაციულ განკარგულებით გაგ-
 ზავანა ციმბირში, ან სხვა შორის ადგილას უკანონო საქმეო
 და მთლად არღვევს ახალ სასამართლოს კანონებსაო. ეს აზრი
 მიიღო მხედველობაში თავად-აზნაურობამ და აირჩია დეპუტა-
 ტია, რომ ხელმწიფე იმპერატორს ეთხოვნას, თავის სახე-
 ლით აუკრძალოს ჩინოვნიკებს სხვებზე უკანონების დაწვევა
 და უსამართლოდ ვისმე დასჯა.

ვინც კი ადევნებს თვალს რუსეთის საზოგადოების გაღ-
 ვიძებს და მართებლობის განახლებას, იმისთვის საჭიროც არ
 არის წინასწარმეტყველობის დიდი ნიჭი, რომ დაახლოებით
 მოძავალი გამოიცნოს.

მაგრამ რა ბედი მოულის იმ ხალხს, რომელიც ხმას არ
 იღებს თავის საჭიროებაზე და თითქო არცა აქვსო ღონის-
 ძიება თავისუფლად ხმა ამოიღოს? ისტორია გვასწავლის, რომ
 ამ მუნჯ-ხალხს არა ერგება-რა.

გვიკვირს, რად სძინავს ჩვენს თავად-აზნაურობას, როცა
 დროა ჩვენს საზოგადო სენებზედ ხმის ამოღებისა.

„ივერია“ არ მიზნამავს საზოგადოებას, არ შესწევს
 უღროდ ამ მიძიე საგანზედ ლაპარაკს. ვეცდებით, შეძგვს
 სტატიაში დავამტკიცოთ, რომ ეს ჩვენის მხრით უბრალო ბა-
 ქი-ბეჭობა არ არის.

საუვედური.

მით მომწონდა ჩემი თავი, ეს მიმაჩნდა მე საკვებად,
რამ კლდე ვიყავ ძაგარ გულისთ, მეტად ძნელი გასატეხად,
ძაგარამ შენ კი, უცნაურად, მძლავრად მოხვდი ჩემს გულს მესად:
ულოდნელად დამარბილე, სანთელივით დასაგრესად!

გულში ცუცხლი გამიჩინე, ამიდრე მით ნაღველი,
უხმოდ ვიწვი, ნელ-ნელ კსდნები, ვითა ხატის წინ სანთელი;
შენ კი შორით მეჩვენები, ვით ეშმაკი წამწედეელი,
რამეფსაცა ეჭვარება სიწმინდე და ეს სოფელი!

ვინც ციურს ნიჭს, უფსკრულს გრძნობას ცივ-გულაობით
თვით ვერ იგრძნობს,
ნამდვილს გრძნობას, ტკბილს სიყვარულს სხვისას აბა ვითღა
იცნობს?

მისთვის ყვავიც ბუღბუღა, მისთვის ცრურც კი მართლად უბნობს!
და რად უნდა სხივი მზისა, — მთვარის სხივიც კი დააჭენობს!

ეს ვიცი და არ გამტყუნებ, გეთხოვები გაძლევი სალამს!
იმედით მაქვს, რომ ეს გული თავის გრძნობას თვით დამალავს:
აღარც ენას ატყევენებს, არც ენდობა ჩვეულ კალამს,
თუმცა სხვისი ტრფიალია, ხელ-მეორედ ვერ გააღამს!...

აკაკი.

1871 წ.

მ. რ. ცეცხლ-შუა.

(Les supplices d' une femme).

სამ-მოქმედებისანი. დრამა

ეპილოგ და უიწარდენისა.

მოქმედი ჰერნი:

ჰანრი დიუმონ, ბანკირი.

ჟან პლუარეზ, ჰანრის ამხანაგი.

მატილდა, ჰანრის ცოლი.

ჟანა, მათილდას ქალი.

ლარსის ქერიეი, მათილდას მეგობარი.

მსახური.

მოქმედება ჰარისუშია.

პირველი მოქმედება.

(სანახავი წარმოადგენს მდიდრად მორთულს ოთახს.)

გამოსვლა 1.

დიუმონ და მსახური.

დიუმონ (შემოდის და მსახურს ეუბნება.) ქალ-ბატონს მოახსენე,
ბატონი მობძანდა-თქო. უნა სად არის?

მსახური. უნა, ბატონო, ბაღკონზედა თამაშობს.

დიუმონ. უთხარ აქ მოვიდეს.

მსახური. აგერ თითონვე გიხსლებათ აქა. (გადის.)

გამოსვლა 2.

დიუმონ და შანა.

შანა. კვ რა არის ძამა?

დიუმონ. ჯერ შენ მითხარი, დღეს რა დღეა?

შანა. დღეს შაბათია.

დიუმონ. სვალა?

შანა. სვალ კვირაა.

დიუმონ. სვალ მეტე ვისი დღეობაა?

შანა. ხვალ ჩემი დღეობაა.

ლიუმონ. ხვალ იმ ქალის დღეობაა, ვისაც უანა ჭკვიან და იმ კაცისაც, ვისაც ჭკვიან უან.

შანა. მასმ ნათელის დღეობაც უოფილა ხვალ?

ლიუმონ. იმის დღეობაც არის. მე არავის დღეობა არ გამოემკვარება და დღესაც იმიტომ ვიყიდე ეს სათამაშოები, რომ ჩემს შვილს ქალს თავისი დღეობა მიკუთვარცხ.

შანა. დღეს უნდა მომიღვარცხ?

ლიუმონ. დღეს უნდა მოგიღვარცხ.

შანა. მერე ჩემი დღეობა რომ ხვალ არის.

ლიუმონ. მართლაც ამბობ, ხვალ არის.

შანა. მასმ დღეს რად მიღვარცხ?

ლიუმონ. იმიტომ რომ ჩვეულება ეგრეა.

შანა. მერე რად არის ჩვეულება ეგრე?

ლიუმონ. იმიტომ რომ, იმიტომ რომ... ახირებულნი ვითხვან, დიდებულნი რომ ბავშვებსავე გამოეკითხვან იცოდენ, რა ბავშვებობდა!

შანა. არ იცი, მამა, რად არის ეგრე?

ლიუმონ. შენ ბევრს მკვიდრის ჩვეულებას ნახავ, როცა გაიზდება და რომ არ იკითხვად, რად არის ეგრე, ის სჯობს: შინაურს ვერავინ მოგცემს. მე ვი მგონია რომ ეს ჩვეულება ერთ-ერთი სულ-სწრაფის მამას შემოუღია და სხვებიცა ჭბამვენ: ალბად დალამდის ველან მოუცდია და მოუხდომია წინა-დღითვე გაეხარებინა თავისი შვილი.

შანა. ტიკინა ხომ არ არის ეგა, მამა!

ლიუმონ. გამოცანა გერგება. ტიკინაა.

შანა. ოჲ, მამა, რა ღამაშია, რა ღამაშია! სწორედ ღამისას ცოლსა ჭკავს; არა, იმასა სჯობს, იმასა სჯობს!

დიუმონ. წასაკვირგელია სჯობს. მაგას საფებდად ენა მანც
აჩა აქვს.

შანა. მოდი, მამა, გაკოცო.

დიუმონ. მოგეწონა?

შანა. ძიქლა, მამილა, ძიქლა.

დიუმონ. მე სხვებს დავასწარი, განა?

შანა. რას დავასწარი?

დიუმონ. მე სხვებზედ უწინ მოგილატე შენი დღეობა.

შანა. ჭო, მამა, ჭო!

დიუმონ. შენი ნათლია, ალვარეს, არ მოსულა ჯერა?

შანა. ჯერ არა. ახა, მამა, გლახებს დღეს ძიქტი რამე?

დიუმონ. აჭა, აი ფუელი, შენ თითონ დაურთე.

შანა. ერთი, ორი, სამი.... ხუთი ოქრო. მე რე აღარ მოშვივიათ
გლახებსა?

დიუმონ. დღეს აღარა.

შანა. სვალა?

დიუმონ. სვალ აღბად კიდეც მოშვივათ.

შანა. მამ ფოკელ-დღე მომტემ ფუელს გლახებისათვისა?

დიუმონ. რატა კი ჭკვიანად მოიქტევი, მოგტემ.

შანა. მამ ფოკელ-დღე ჭკვიანად მოიქტევი. ესლა კი წავიდე
ჩემს ტიკისნაც ვაჭამო; შიან.

გამოსვლა 3.

იკინივე და მატრილდა.

დიუმონ. ერთი უყურე, მატრილდა, რა მხიარულად არის ჩვე-
ნი ყანა.

შანა. (ტოკინს უჩვენებს.) ნახე, დედა, რა ლამაზია.

მატილდა. (ცოცხა ცივად და თვალ-გაშურებით.) ძალიან ლამაზია,
მაგრამ წადი, გაძდელი გელის.

შანა. მე აქ მიჩქვნიან.

მატილდა. მე რე გაძდელი რომ გაგიჯავრდება?

შანა. არ გამიჯავრდება; სულ ჩემი დღეობაა. სულ კი არა,
დღესა.

ლიუმონ. მართლეს ამბობს, დღეს ბატონად ეგ უნდა იყოს.
წადი, უნა, ითამაშე. (მატილდას.) რა კქნა, რადა ხარ,
ქალა, აგრე დაჩდიანად?

მატილდა. არა ვარ დაჩდიანადა.

ლიუმონ. მას მოდი უნახსავით მაკოცე. უნახს თავის სათამა-
შო მივეცი, ახლა შენც უნდა გიფეშქაშო რამე.

მატილდა. კიდევ?

ლიუმონ. რატომ აგრე გაგიკვირდა?

მატილდა. იმიტომ რომ ყოველ-დღე ახალ-ახალი ფეშქაშები
მოგაქვს: მარგალიტის ძეწებები, ალმასის ნივთები. ჩემის
გულისათვის ხომ არ აზირებ მთელის ჰანიყის რქო-
მჭედლებს მალაზიები დაუცადიერო? იცხი რას ამბობენ
შენზედ: ბედოვლათი არისო; ის კი არ იცხიან რომ ეგ
გულ-უსვობით მოგდის.

ლიუმონ. ვინ ამბობს მე რე მაგას?

მატილდა. ვინც ჩემი მოკეთა!

ლიუმონ. დეე ილაჰარაკან! ეგ შუერთ მოსდით. განა მთე-
ლის ქეყენის მარგალიტი და ალმასი შეედრება შენგან
მოცემულ ბედნიერებას? ამ ბედნიერებას მხოლოდ ერთი
რამ უშლის. ეს არის ეგ სეკდა, რომელიც დღე-და-დღე
უფრო ეფინება შენს სახეს. ცნდილობ, მოგაშორე რა-

გორძე, გაგ-მსიარულა, მაგრამ არა მეშველა-რა. თუ ღმერთი გწამს, მატყლდა, მითხარ, რა გაწუხებს, რა არის მაგ სეკდის მიზეზი?

მატილდა. მე არა მაწუხებს-რა.

ღიუმონ. იქნება მე გიშაკვებდე რასმეს?

მატილდა. ეგ რა სათქმელია. შენი ცდა მედამ ის არის, მასიამოვნო რეგორძე... და მე...

ღიუმონ. შენ რა?

მატილდა. და მე მხოლოდ ჩემს გულს რომ დავეკითხო...

ღიუმონ. მეტი რა აქნებოდა?

მატილდა. ერთს წუთსაც არ უნდა ვიყო მოწყენილი.

ღიუმონ. მას მოწყენილი რადაა ხარ, თუ ატყა?

მატილდა. მოწყენილი კი არა, სუსტადა ვარ. რადაც შემარ-თება; ხშირად სრულებით უმიზეზოდ ტირილი მომდის.

ღიუმონ. მას მგონი მოგზაურობა გარგებს. მოდი, წავიდეთ სადმე.

მატილდა. წავიდეთ სადმე?

ღიუმონ. თუ გინდა სამთარი იტალიაში გაკატაროთ?

მატილდა. მეტი შენს საქმეებს რას უზამ?

ღიუმონ. განა ჩემის საქმეების გულისთვის უთუოდ ყოველ-თვის აქ უნდა ვიყო. ვეცდები, ისე მოვკვარო, რომ უჩემოდაც არა წახდეს-რა. თუნდა წახდეს კიდევ, განა სხვაზედ უნდა ვითქვარო რაზედმე, თუ შენ კარგად და მსიარულად მეყოლები. აი ძლივს დიმილი მოგივიდა სასხეზედ, ეგ რად მიღირს!

მატილდა რეგორძე არ გავიღიმო, რომ ეგეთი კეთილი ხარ ჩემთვის.

ღიუმონ. კეთილი კი არა ვარ, მიყვარხარ. დამერწმუნე, თავის

დღეში ასე არსად არ მიგრძენია შენი სიყვარული. უნა-
და შენ სწორედ ჩემის სულის ანგელოზები ხარ.

მატილდა. მაშ კარგი, წავიდეთ.

ლიუმონ. რატა გინდა.

მატილდა. მარტო მე და შენ წავიდეთ.

ლიუმონ. უნა?!

მატილდა. უნას წაყვანა რა საჭიროა.

ლიუმონ. აქ როგორ დავაგდოთ; როგორ გავძლებთ უძმისოდ?

მატილდა. ჯერ სულ ბავშვია...

ლიუმონ. და თავს შეგაწყენს ხალხე, განა?

მატილდა. რადის მითქვამს მე ეგა?

ლიუმონ. ხანდისხან, მგონი, ძალიან სასტიკად ეკიდები უნას.

მატილდა. ყველანი ანებივრებენ და მე მაინც უნდა ვეცადო, ნებივრობას არ შევაჩვიო.

ლიუმონ. იქნება მართლსაფ აძობდე. მე უნას მხოლოდ მა-
შინ ვხედავ, რატა დასასვენებლად მოვდივარ შინა და
მაშინ ყოველი იმისი სიტყვაზე მომწონს. მთელი დღე
საქმეებში ვარ გაერთიანი და დალაღულ-დაქანცულს იმ
ბავშვის დიმილი მზის შუქსავით შემომადგება. შენ კი
მთელი დღე ვარს დასტრიალებ და რა გასაკვირველია,
ცოტა რომ თავი მოგაბეზროს; მაგრამ შენ ისეთი კაი
ქალი ხარ, რომ დედაც კარგი უნდა იყო და არც იმი-
ტომ გაუჭვავრდები, რომ ისეთი ტანჯვა მოგაყენა და
თავის დაბადების დროს კინაღამ სიცოცხლე შეგაწირვი-
ნა. ჩვენ, კაცებისათვის ადვილია შეილების სიყვარული:
სიამოვნების მეტი არა გვასხოვს-რა მათგან; თქვენ კი
რამდენს ცრემლსა ღვრით იმათ მიხეხით. მიუტყვე მ-
ტილდა, მიუტყვე! უნას მაგაში ბრალდი არა აქვს-რა.

(ცოცა დაბლა.) ხომ იცი, მიტეეება, მეტადრე უმანეა ქმნილებიისა, (ღმილით.) ყოველთვის სსსიამოვნოა.— რა ვქნა, ცრემლები რად მოგდის ქაღალ?

მატილდა. იმიტომ რომ შენ ჩემსედ უფრო კეთილი ხარ, იმიტომ რომ მართალს ამბობ. მე სანდისხან უსამართლოდ ვეპყრობი ყანას, მაგრამ გარწმუნებ, კვლავ ასე აღარ მოგექცევი. ყანა ჩვენთან წამოვა. სამივ ერთად წავალთ და ნურავის კი რას ვეტყვი, ნურავის.

დიუმონ. როგორც შენი სურვილია; მაგრამ დამაღვა რა საჭიროა?

მატილდა. ჩვენი მგზავრობა უფრო სსსიამოვნო იქნება, თუ აჩავის რა ეტრდინება და ვერც აჩავინ დაგვიშლის. ჩვენ ორი, ან სამი თვე სადმე განმარტოებულს აღაგს გავატაროთ, სადაც ვერავინ გვიცნობს, შენა, ყანამა და მე. მაშინ ნახავ, როგორ გავმსიარულდები, როგორ ისევ შენი უწინდელი მათილდა შევიქნები!

დიუმონ. ძალიან კარგი! აბა ამ გადაწყვეტილების ნიშნად ერთი კიდეც გაიღიმე; ერთ-სეუ კიდე მითხარ, რომ გიყვარვარ.

მატილდა. (გადაეხვევა.) განა ჩემს სიყვარულს როდისმე ბოლო მოელება? (კოცნას რომ დააპირებს, შემოვა ალვარეზ, შემოაქვს ქალაღლის ყუთი და სტოლზედა სდებს.)

გამოსვლა 4.

ივინივე და ალვარეზ.

დიუმონ. ოჰ, ალვარეზ, შენც აქა ყოფილხარ?

ალვარეზ. ეს არის ესლას შემოკვდი: უნას დაკეპე.—(მატილ-
და გასვლას აპირებს.) სად მიბძანდებით? ჩემი მოსვლას
სომ არ გეწყინათ?

მატილდა. არა, ბატონო, საქმე მძკეს და იმიტომ გიასვლებით.

დიუმონ. ალბად უნას წვეულებას უმართავთ?

მატილდა. დიად. წვეულობა ორს საათზედ უნდა იყოს და
საწყას შუადღეც მოვა. (გავა).

ბამოსვლა 5.

ივინივე მატილდას გარდა.

ალვარეზ. გამდელმა მითხრა, უნა აქ არისო. ის აქ არსად
სჩანს?

დიუმონ. ესლას გარკვედ გაიზბინა. ისე წახსდისა ახლამა სათა-
მაშომ, რომ კვლარც კი დაგინასა.—სხვას, რასა იქ, ალ-
კარეზ, რგორას ხარ?

ალვარეზ. კარგად ვარ. შენა?

დიუმონ. მეც ასე კარგად და მხიარულად არსად არა კუ-
ფილვარ.

ალვარეზ. შენი ცოლიც სომ სკვდიანად აღარ არის?

დიუმონ. ძალიან კარგად არის.— მაგ უფთში სწორედ კიდევ
ტკივინი უნდა იყოს; თუნდა დაგენამდეკები.

ალვარეზ. რად დაგენამდეკო, რომ მომიგებ. შენი სათამაშო
ხმას იღებს?

დიუმონ. არა.

ალვარეზ. ჩემი კიდევ ღაზაჩაკობს.

დიუმონ. ძალიან ანებიერებ ჩემს ქალს. — ერთი მითხარ, ილღვისთვის დარჩები?

ალვარეს. დავრჩები.

დიუმონ. სადილადაც ხომ ჩვენთან იქნები?

ალვარეს. მას სად წავაღ.

დიუმონ. მას უნასთან დაგაგდებ. წავაღ, შევიტყობ, ბირყა-ზედ რა ამბავია. შენ ხომ არა იცი-რა?

ალვარეს. მე ბირყისა რა ვიცი, თუ ღმერთი გწამს. ეგ შენი საქმეა და ჩინებულადაც მიგყავს. მე რაღად გავეჩიო.

დიუმონ. იქნება მოგისდეს გარევა.

ალვარეს. რისთვის?

დიუმონ. მასუგან გეტყვი, რისთვისაც. (გადის.)

გამოსვლა 6.

ალვარეს და ჟანა.

ალვარეს. ჟანა, ჟანა!

ჟანა. რა, ნათლია, შენა ხარ?

ალვარეს. აბა, გამოიცან, ამ ყუთში რა არის?

ჟანა. ტიკინი იქნება კიდევ, ტიკინი. (დიუმონ ჩუმად გამოივლის და თავის ცოლის ოთახში შევა.)

ალვარეს. (ვერ შეამჩნევს დიუმონს და უნას ელაპარაკება.) ძარ-თალია, ტიკინია და თავის მზითევიც თანა აქვს.

ჟანა. რა კარგი ხარ, ნათლია; შენი მოტანილი ტიკინი უფრო დიდია მამას მოტანილზედ.

ალვარეს. მას ჩემი მოტანილი გიჩვენებ?

ჰანა. ანა, მამასიც ძალიან კარგია.

ალეარეზ. რით ანის კარგი?

ჰანა. იმითი რომ მამას მოტანაილია.

ალეარეზ. მაშ მამა ძიელ გიუვარს?

ჰანა. ძიელა.

ალეარეზ. ჩემსედ ძიელა?

ჰანა. შენსედ ძიელა.

ალეარეზ. რადა?

ჰანა. იმდა რომ ის მამა-ჩემია.

ალეარეზ. მამა რასა ჭკვიან?

ჰანა. რა ვიცი, რასა ჭკვიან. ის კი ვიცი რომ მამას ანა სჯობიან-რა და რაღა ვხედავ, მინდა, მაშინათვე უელსედ მოვუხეიო.

ალეარეზ. ჩემი მოხვეკნა კი ან გინდა ხოლმე?

ჰანა. რატომ, შენც მიუვარსან, ღმერთმანი მიუვარსან, მაგრამ ჯერ მამა მიუვარს, მეც დედა, მეც შენა. (მიიღო ტივის ელპარაკება.) ჭკვიანად მოიქეცი, ნუ გიუობ.

ალეარეზ. გუშინ სადამოს დედა რას აკეთებდა?

ჰანა. ანათუვარსა. მამა და ის ღაპანაკობდენ.

ალეარეზ. ანაგინ ანა უოფილა?

ჰანა. რაგორ ანა, ერთი ქალი იყო.

ალეარეზ. რამდენს საათზედ წავიდა?

ჰანა. რა ვიცი, რამდენს საათზედ, მე ცხრა საათზედ დამწვინეს.

ალეარეზ. აი კიდევ რა მოგცე მე შენ.

ჰანა. ეგ რა ანის?

ალეარეზ. ეგ მარაო ანის იოლგისათვის.

ჰანა. იოლგისათვის?

ალვარეზ. ჭო იოჯვისათვის. მე დედა-შენსა ვთხოვე რომ
შენის პატარა მეგობრებისათვის იოჯვას გაემართნა; დღეს
ხომ შენი დღეობა აჩის. არ იცოდი შენ ესა?

ჰანა. იმისთანა იოჯვას უნდა გავმართოთ, იმ დღეს რომ ბი-
ძიასა ჭჭუნდა! ოჰ, რა კარგია, რა კარგია! წავიდე ესლავ
მოვირთო.

ალვარეზ. წადი, წადი.

ჰანა. წავიდე, გამდელი მოგნახო.

ალვარეზ. მონახე, უანა, მონახე!... უანა!

ჰანა. რა გინდა?

ალვარეზ. მოდი ერთი კიდევ მაკოცე. მეორე ოთახში გამიყე-
თები მაჭკეს შენთვის შენახული; აბა ნახე.

ჰანა. წავალ, ენახავ. მეორე გლახებს რაღა მიეცია?

ალვარეზ. არაფერი.

ჰანა. მამამ კი მისცა.

ალვარეზ. მეც მივცემ. (ალვარეზი აიყვანს უანას ხელში. ამ დროს
შემოდის ლარსის ქვრივი.)

გამოსვლა 7.

ჰანა, ალვარეზ და ლარსის ქვრივი.

ლარსის ქვრივი. დილა მშვიდობისა, ბატონო დიუმონ.—
ოჰ, თქვენა ყოფილხართ ბატონო ალვარეზ! სწორედ
სახლის პატრონი მეგონეთ.

ალვარეზ. რაგორ ვერ მიცანიით?!

ლარსის ქვრივი. ხომ იცით, სშირად ერთად ყოფნით ადა-

მიანები ერთმანერთს ემზგავსებიან. აი ეს ბავშვი, თავის მამას ისე არა ჭკავს, როგორც თქვენ. ნათლის ხართ და იმიტომ დაგგვანებიათ. (აკოცებს უხანს.) დედა სად არის, უხანს?

შანა. დედა მამასთან არის. წავალ დაუძახებ.

ლარსის ქვრივი. დაეხსენ, ერთად იყვნენ. ეს სახლი—ჩემი სახლია და ვის რას მოვერიდები? მატყლად საშინლად მიუვარს. სწორედ ბავშვია ხნითაც და ხასიათითაც. მე და თქვენ ღაწარაგით დრო გავატარეთ, ბატონო ალვარეს, ვიდრე ასალ-გაზდა ცოლ-ქმარი შემოვიდოდეს. სწორედ გვრეიტიები არიან, გვრეიტიები! არა? რა მაგალითია ტები-ლის ცოლ-ქმრობისა, მაგრამ ვილა მისდევს მაგისტანს მაგალითებს. მართლაც, სად დაიკარგეთ? რამდენი ხანია აღარ მინახავხართ?

ალვარეს. თქვენ შინიდან კარში არ გამოდიოდით და სადა განსაკდით.

ლარსის ქვრივი. ჭო, მგლოვიარედ ვიყავ; მაგრამ ღვთის მადლით დღეს დილით გამოთავდა გლოვის ვადა, თორემ შენი მტერი, დღესაც ვერ ჩავიცივამდი მხარეულ-თერს კახას. თქვენც ბავშვების იოლგაზედ მოხვედით აქა, განა?

ალვარეს. დიაღ, სანახავად ვიასელოთ.

ლარსის ქვრივი. ჭო, სანახავად მოგასხენებდით. მეც სანახავად ვიასელოთ. ისე უეცრად მოგვივიდა მოხატულების წიგნი, რომ სავითხავად მოველი, მართლაც იოლგაას თუ არა.

ალვარეს. დღეს არის.

ლარსის ქვრივი. დღეს ორს საათზედ?— როგორ ანებიერებენ ესლანდელს დროში უმაწვილებს; შვიდის წლის

ბავშვებს იოჯვას უმართავენ, ატანტავებენ; სწორედ სასატილოა! არა თუ?

ალეარეზ. ეს იოჯვა ჩემი ბრალი გახლავთ.

ლარსის ქერივი. უკატრავად, უკატრავად! მე ეგ არ მინდოდა მეთქვა! და მართლაც, ბავშვებსაც ეჭირვებათ მხიარულება! ფიქრისა და დარდის დროც ძაღუ მოუვათ.—ჩემი ადრეინა სინაწრულით აღარ არის, რაც ამ იოჯვის ამბავი გაიგო. ძილიც კი აღარ მოსდის, ისე უუვარს მხიარულება. სწორედ მამსა ჭკავს, ჩემი არა ეტყობა-რა. მანც ქაღები უფრო მამსა დაემკვანებიან სოღმე. არ ვიცი, უანაც თავის მამსა ჭკავს თუ არა; ჯერ, მაგის ხასიათი ვერ გავიცანი.

ალეარეზ. უანა ჯერ სულ ბავშვია და ხასიათისა რა ეკითხება. ეს კი ვიცი ძაღიან კეთილისა და მოსიუვარული გულისა.

ლარსის ქერივი. სწორედ თავის დედასა ჭკავს; თქვენ ძაღიან გიუვართ მგონი?... უანაზედ მოგახსენებთ.

ალეარეზ. მე ბავშვები საზოგადოდ ძაღიან მიუვარან.

ლარსის ქერივი. უანასაც უუვარხართ?

ალეარეზ. ბავშვს უოკელთვის უუვარს ისა, ვინც ანებიერებს.

ლარსის ქერივი. მართლა და ძაღიან უმადური იქნებოდა, თქვენ რომ არ უუვარდეთ.

ალეარეზ. მაგას რადა ბძახებთ?

ლარსის ქერივი. ჯერ ერთი იმიტომ რომ, ძაღიან ტკბილად ექცევით და მეორეც ესა....

ალეარეზ. მეორეც რა?...

ლარსის ქერივი. მეორეც ესა, რომ მთელი ოჯახი თქვენგან

არის გაბედნიერებული. უნამ რა იცის, რა მადლობელი უნდა იყოს თქვენი.

პლვარეზ. მე არ მესმის თქვენი ღაპანაკვი.

ლარსის ქერივი. გაუგებარი რა არის! ამ შვიდის წლის წინად დიუმონის საქმეები ცუდად იყო; მართალია, თუ არა? თქვენ იმას ხუთასი-ათასი ჟრანკი ასესსეთ... ნულანა მალავთ, თითონ დიუმონმავე მიამბო. ოჰ, რა ნაირად გაქვდათ, რა ნაირად მადლიერი იყო თქვენი. სწორედ საქმეები ხართ მაგრამ ისიც ღირსია ქებისა ამ გვარად სიკეთის დახსომებისათვის. თქვენ დახსენით იგი; იმის საქმეები კარგად წავიდა; აღარაფერი აღარ აკლდა - რა, სრულიად ბედნიერი იყო, მხლელად ეს აწუსებდა, რომ სამი წელიწადი გასულიყო იმის ქორწილის შემდეგ და ღმერთს შვილი არ მიეცა. გაუთენდა ის ბედნიერი დღეც, მიეცა უნა. სწორედ არის ნათქვამი, ღმერთი რომ კაცს მისცემს, ორივე ხელთ მისცემსო. ღირსიც იყო დიუმონ ამ ბედნიერებისა. სწორედ სამაგალითო ქმარია, არა? არის მიმდობი; არა დალატობს თავის ცოლს, არა დალატობს, არა დალატობს! სამჯერ უნდა გაიმეორო ეს ლანდელს დროში, რომ ამისთანა საქმე დაგიჯერონ, მაგრამ მანც აღარავისა სჯერა. არის მშრომელი, ნიჭიერი, ბავშვსავით გულ-მართალი, კაი ვაჟ-კაცი!... როგორ დამტკიცა თავის ვაჟ-კაცობა ივნისის არეულობაში, ბრძოლაში რომ დასჭრეს! ოჰ, ნეტავი მეც იმისთანა ქმარი გი მუავეს! (შემოდის დიუმონ.)

პლვარეზ. რატომ არ მოხვალ, დიუმონ, და არ გაიგონებ, რამდენს ცუდს ვღაპანაკობდით შენზედ.

გამოსვლა 8.

ივინივე და ლიუმონ.

ლიუმონ. ჩემსედა?

ლარსის ქვრივი. დიად, ჩვენ ვამბობდით, რომ სწორედ ქმრე-
ბის თვალი საბოლოო, ქმრების თვალი! ეს ქებაც გვეოფათ;
დროა, წავიდე.

ლიუმონ. ჩემი მოსვლა სამი არ გეწეინათ?

ლარსის ქვრივი. მე მხოლოდ ათი წამით მოკედი და ეს ათი
წამიც აღვარეზმა წამაბრთვა; ახლა თქვენ იცით და მაგან,
ერთმანეთში მოხიჯდით. იცით რა მინდოდა მეტქვა,
ამდამ თეატრის ღოყა მატკეს აღებუდი, ახალი წამოღ-
გენა, თუ გნებავთ, წამოღდით. ესლავ მე და ჩემი ად-
რინა აქ დაკბრუნდებით და მატილდა ვასუხს მამინ
გვეტუვის. აღვარეზ, თქვენცა გთხოვთ, მობმანდეთ. ოჰ,
დამიგვიანდა, ესლავ დაკბრუნდები. ნუ გამატილებთ.
(გადის.)

გამოსვლა 9.

ალვარეზ და ლიუმონ.

ლიუმონ. საშინელი ცეტი რამ არის.

ალვარეზ. სიცეტეს რასა სჩივი, ბოროტიც რომ არის.

ლიუმონ. ბოროტი კი არ არის, ბოროტის ენისაა.

ალვარეზ. ბორცულის ენისაა, თუ ბორცულის ქვეყნისა, ეგ თითქმის სულ ერთია. დამეწმუნე, შენი ცოლი ცუდად ჩადის რომ მაგას მეგობრობს.

დიუმონ. უმაწვილის ქალისთვის მაგისთანა მეტორე მეგობარი ათს მაგასეულ უკეთესსა სჯობს. მაგასთან მეგობრობა საბუთია პატრონისთვისა.

ალვარეზ. შენს ცოლს ეგ საბუთი არ ეჭირვება.

დიუმონ. ეგეც მართალია. — ჰო, იცი რა მინდოდა მეთქვა; ერთს საიდუმლოს გატყუი და პირობა მომეც, არავის არ გაუმხილო და ჩემსავით არ მოიქცე: მე ვარდგევი ჩემს პირობას, შენ რომ გიმხელ. მაგრამ შენ თითქმის ჩემის ოჯახისა-შვილი ხარ და როგორ დაგიძლავ. რომ კიდევაც მინდოდეს დამაღვა, არ შემიძლიან, ორივეს ერთი საქმე გვაქვს.

ალვარეზ. აბა რა საიდუმლოა.

დიუმონ. მე მინდა, სხვა ქვეყანაში წავიდე.

ალვარეზ. (სიხარული დაეცემა, მაგრამ თავს შეიმაგრებს.) სხვა ქვეყანაში წახვიდე?...

დიუმონ. გესიამოვნა?

ალვარეზ. ჰო, დიად... ალბად დიდს საქმეს რასმე ჰკიდებ ხელსა.

დიუმონ. არა.

ალვარეზ. მაშ საქმისათვის არ მიდისარ?!

დიუმონ. რად გაიოცე?

ალვარეზ. იმიტომ გავიოცე, რომ უსაქმოდ შენ გაძლება არ შეგიძლიან. მარტო მიდისარ?

დიუმონ. არა, მარტო არა ვარ.

ალვარეზ. მაშ ვინ მიგყავს თან?

ლიუმონ. მატყლდა.

ალვარეზ. უნა?

ლიუმონ. უნაც, წასაკვირველია.—ახლა, უკვეკვლად საჭიროა, ვიდრე მე სხვაგან ვიქნები, ჩვენს საერთო საქმეებს უური უგდოს ვინმე და შენზედ უკეთესს ვიღას მივანდობ.

ალვარეზ. მესმის, მესმის.

ლიუმონ. აკი გითხარ, საქმე გამოგიჩნდება-მეთქი.

ალვარეზ. დიდ-ხანს დაჩხები გარედ?

ლიუმონ. ეგ მატყლდაზედ არის დამოკიდებული.

ალვარეზ. რამ გაფიქრებინა ეგ მოგზაურობა?

ლიუმონ. მატყლდა ვერ არის კარგად და მინდა გავართო.

ალვარეზ. როდის აქეთია ავად-მყოფობს, მე ეგ არ ვიცნობდი.

ლიუმონ. დიდი ხანია.

ალვარეზ. ესლა არ მითხარი, ძალიან კარგად არისო.

ლიუმონ. ისე გითხარი, მოუფიქრებლად.

ალვარეზ. ექიმმა გირჩიათ წასვლა?

ლიუმონ. არა, მე ვარჩიე.

ალვარეზ. მერე მატყლდა ხომ თანხმა გახდა?

ლიუმონ. დიდის სიამოვნებით.

ალვარეზ. როდის მიდინხართ?

ლიუმონ. ამ ორ-სამ დღეში.

ალვარეზ. საითკენ.

ლიუმონ. წავალთ, საცა მოგვიხდება, მაგრამ თბილს ქვეყნებს კი მივმართავთ, მერცხლებსავით.

ალვარეზ. მერცხლებსავით და არშიეებსავით.

ლიუმონ. (ხელს ჩამოართმევს და მაგრად მოუჭერს.) და არშიეებსავით, სწორედ კარგადა სთქვი, კარგადა... ახლა შენ წაღასა ბძანებ; ცოლის შერთავს არ აზირობ? ხარ მდიდა-

ჩი, ოთხს მილიონზედ მეტი გაქვს! ხარ ყმაწვილი....
 ჭო, ჭერ ყმაწვილი ხარ, ოც-და-თუთხმეტი წელიწადი
 სწორედ ცოლის შეერთვის ხანია... რადას უუურებ, შეიწ-
 თე ცოლი.

ალეარეზ. ვნახოთ, ვნახოთ.

ლიუმონ. რადა ნახო? შეიწთე ცოლი და გაბედნიერდი. (შემო-
 დის მატყლდა.)

გამოსვლა 10.

ალეარეზ, ლიუმონ და მატყლდა.

ლიუმონ. იცი მატყლდა, მე უნახ ვეუბნებოდი, ცოლი შეიწ-
 თე, რომ ჩვენსავით ბედნიერი იყო-მეთქი... ვეცადოთ,
 ერთი შენისთანა ქალი ვუბოვნოთ სადმე. ეგ ადვილი არ
 არის, მაგრამ ცოტათიც რომ გვაკდეს, ისიც კარგია. ახა
 დაუმტკიცე, რომ კარგია ცოლის შეერთვა. მე გი მა-
 გასთან საღაპარად არა მცალიან, წასასვლელად უნდა
 მოვემზადო და ერთს წუთსაც ვერ დაგვარგავ... მაგან
 იცის ჩვენის წასვლის ამბავი... არ დაკუმაღლე, ან მაგას-
 თან რა დასამაღავი მქონდა! ნახვამდის. (გადის.)

გამოსვლა 11.

ალეარეზ და მატყლდა.

ალეარეზ. მაშ კვლე, მიდისხართ?

მატილდა. დიაღ.

ალვარეს. ეგ თქვენი განზრახვა განსჯათ?

მატილდა. არა, ჭანჩის სურვილია.

ალვარეს. მე თქვენ არა გთხოვეთ, რომ ეგ სასული ჩემთან აღარ წაშლიათ?

მატილდა. ჩემმა ქმარმა მოინდომა, სხვაგან წავსულიყავით.

ალვარეს. თქვენმა ქმარმა?

მატილდა. რა ვქნა, მაშ რა უნდა დაუძახო, როცა თქვენ იმასე გელაპყრობით.

ალვარეს. რატო გინდათ, ის დაუძახეთ, მაგრამ მასთან წასვლის ნებას ვი არ ვაძლევთ.

მატილდა. წასვლის ნებას არ მაძლევთ! ნეტა რა უფლება გაქვთ მეზე?

ალვარეს. თქვენ კარგად მოგესვენებათ, რა უფლებაა მასზე.

მატილდა. დამეჩქონე, ყან, ავად ვარ და ჩემთვის საჭიროა ჭაერის გამოცვლა... გეხვეწები, იქონიე მტრადიან არის სიბრალული.

ალვარეს. ვიცი, ვიცი, თქვენ ყოველთვის იმას სცდილობდით და სცდილობთ, ჩემს ხელიდან თავი დასწითოთ და სახლიდან გამავდეთ. (სტაცებს ხელს სკამს და ძალზედ აქედ-იქით მიანლ-მიანლის.)

მატილდა. რას ჩადისარით!... ჩემმა ქმარმა რომ გაიგონოს...

ალვარეს. რა მენაღვლება, გაიგონოს! ბოლო მანტ მოკლება ამ მდგომარეობას; ყოველთვის ესე ყოფნა შეუძლებელია... რომ გაიგოს კიდევ, რა იქნებოდა! ის შეიტყობდა რომ თქვენ ჩემთან შიშითა ხართ შეკავშირებული, იმიტომ რომ გეუბრებათ, არ დაურღვიოთ მშვიდობიანობა. ის შეიტყობდა, — იმიტომ გინდათ ჩემი მოშორე-

ბა, რომ აღარ გიყვარვართ, თუ კი გყვარებივართ რომ დისძე...

მატილდა. ვისი ბრალისა რომ არ მიყვარხართ?

ალვარეს. იმის ბრალისა, რომ თქვენ ჭინჩი გიყვართ.

მატილდა. ეგეტ რომ იყო, ცუდი რა არის მეტე?

ალვარეს. (გაცეცხლებული.) მატლდა!

მატილდა. განა ბრმა ვარ და არა ვხედავ, რომ ის კეთილია და თქვენ ბოროტი, ის სამართლიანია, თქვენ უსამართლო, ის ერთგულია და თქვენ უმადურებით სავსე! ან როგორ კი გადავრებთ, როდესაც ის უოკელისფერში გჯობიანთ თქვენ და მეტადრე მე. როგორ არ შევინანო ჩემი დანაშაული!...

ალვარეს. გვიანდა, ქალ-ბატონო, გვიან. ამ შეიღის წლის წინად უნდა გეფიქრათ!

მატილდა. მეც მაგას ვზივი....

ალვარეს. დღეს მე თქვენ მიყვარხართ, თქვენ ჩემი ხართ; თქვენც გითქვამთ, რომ გიყვარვართ, და ჩემთვის ესა კამარა. ტყუილია, თუ მართალი, ეგ სულ ერთია. უთქვენოდ სიტყვებს მე აღარ შემოძლიან; კვლავ დაგვარგავთ მე თქვენ, გესმით, კვლავ იხსნით ჩემის ხელიდან თავსა!

მატილდა. მაშ რას იზამთ?

ალვარეს. თქვენა გგონიათ, იმისთვის შეგწირე ჩემი სიტყვებს მხოლოდ ამ სიყვარულს, იმისთვის ვიტანჯე მთელი შეიღი წელიწადი, იმისთვის ავიტანე ამდენი თავის დამცირება, ვითმენდი, როცა მესმოდა ჩემი შვილი, — დიად ჩემი სისხლი და ხორცი — სხვას მამას უძანდა, — რომ ერთს დღეს გეთქვამთ, სხვა ქვეყნებში მივდივარო, და მე წასვლის ნება მომეცა! ტყუილი იმედა! თუ თქვენ

ვერ შეიძლებოთ, იზოვნოთ დარჩენის მიზეზი, მე გაზოგ-
ნინებთ მიზეზს.

მატილდა. ახა რა მიზეზს?

ალვარეს. უნახს წაგართმევთ.

მატილდა. ხომ არ გაგვიყვით?

ალვარეს. არა, ჯერ არ გაგვიყვებულვარ. კანონი არ დამიოვა-
რავს, მაგრამ ჭკვეუნას ხომ ვაყვანებ; ხომ გაგაუნატიუ-
რებთ, ესეც კმაწა... თქვენი ქმარი გაგაგდებთ თქვენცა
და თქვენს ქალსაც და მაშინ რჩივნი ჩემი იქნებით,
სხვა ღონე რომ აღარ გექნებათ.

მატილდა. მე რე ეგ სიყვარულია, თუ მძულვარება?

ალვარეს. მე ჭანრისაკით შენეკელი რადი ვარ. მე ცნოვრება
რუსოს წიგნებით რადი მისწავლია; დათოვლილს მთებს
რადი გაუეინაკო ჩემი გული. მე ესპანიის ღაყვარდ ცის-
ქვეშ ვარ დაბადებული, და იმის მსურვალე მზის სხივე-
ბითა მაქვს სისხლი გამთხარი. მე ჩემი თავი სიყვარულს
შევისწირე, მაგრამ ვინც მიუვარს, მარტო ჩემი უნდა იყოს.
რას დაგდეკ მე თქვენს ქმარსა? მე მძულს იგი!

მატილდა. თქვენ ის მეგობარს გეძახით!

ალვარეს. ის რომ ბრმა იყოს, მე რაგქნა.

მატილდა. თქვენ იმას ხელს ართმევთ, თქვენ ის გაჭირები-
დამ დაიხსენით; თქვენ იმას მიეცით ქონება და იქნება
სიცოცხლეც.

ალვარეს. ეგ თქვენის გულისთვის მოვიტყედე. მიუვარდით,
და მინდოდა თქვენც შეგუვარდით.

მატილდა. ხარემ მითხარათ, რომ ფულით შემისყიდეთ.

ალვარეს. მე თქვენ მიუვარდით, მე თქვენ თავყანსა გცემ-
დით. მე არ ვიცოდი, რა გზით შემქდლო თქვენის გუ-

ლის მოკება. ვისაც უყვარს, ყოველივე ღონისძიება მი-
ეტეკება. დღემდის მე ავიტანე ეს ორ-შირუდი ცხორვე-
ბა იმიტომ რომ მეგონა, თქვენც გიყვარდით და თქვენც
ჩემსავით მხლელად მონასავით ემოწნილებოდით საზო-
გადო წესსა. ესლა, რა კი გამაგებინეთ, რომ თქვენ ის
გაცი გიყვართ, ის ჩემი მტერია, ჩემი მეტოქია, და თუ
საჭირო იქნება, მე მოველაგ იმას.

მატილდა. ეგლა გუაგლდა, რომ საჩქევნოდ გაუზატოურებას კა-
ცის-გელან თან მოჭყოლოდა. გამოგონეთ!... თუ თქვენ
ეგრე სულ-მდაბლად მოიქცევით, მაშინ, თუმცა ასე გაუ-
ზატოურებული ვარ, აღარც კი ვიკადრებ თქვენს ნახვას,
აზომც თუ თქვენი გავსდე. ნურას გაბედავთ ჩემის ქმრის
წინა:ლმდე, ნუ შეეხებით მის სიცოცხლეს, თორემ, თუ
დაკჭერივდი, მე შევალ მონასტერში და თან წავიყვან
ჩემს შვილსაც. ჩემს შვილს ვერაფერ ვერ წამართმევს და
მე უნდა დავიფარო ის თქვენის გაბოროტებისაგან. ის
რძანგო ქმნილება თქვენ თქვენს ჯამუშად გაჭნადეთ და
საცოდავს ბავშვს ან ესმის რომ ენას გიზიდავთ და მი-
ხეზს გაძლევთ. სტანჯოთ იმისი დედა. თქვენ მარცხენთ,
მაზიზღებთ მას და თავიდან მამოარებთ, რომ ჩემი და-
ნაშაული ცოცხლიე თვალ-წინ ან წარმომიდგეს. თქვენ
თქვენს ტანჯვასა ღაპარაკობთ, მაგრამ ზოგი ჩემს გულ-
შიაც ჩამოიხედეთ. რაღა სიცოცხლეა ჩემი სიცოცხლე,
რამდენჯერ განვიზრახე, მომიკლა თავი და მოგწიომილ-
ვიყავე ამ სიწესხვილს! შვიდი წელიწადია, ამისთანა დღე
მადგია. თქვენ მე გამაუზატოურეთ და შემარცხვინეთ ჩე-
მის ქმრისა და შვილის თვალში. მე ჩემს ქმართან შე-
უღლებული ვარ, თქვენთან შიშით დაკავშირებული ზე ვე-

ღარ გამოვიდა, ვისი ვარ და რა ვარ! ჩემთვის სიყვარული
ქმნისა, სიყვარული საყვარლისა, სიყვარული დედისა,
თავად-მამაცრობას, სიწრუესა, უსიწრესეობას, და მე თქვენ
კიდევ უნდა მიყვარდეთ!

ალვარეზ. ოჰ!

მატილდა. რა გენებოთ, ისა ჭქენით; დამემუქრეთ, გამაუნა-
ტიურეთ, მომკალით... ღვთის მადლით სიკვდილის უფ-
ლებს მანცა მამკვს, და ამ უფლებას თქვენ ვერ შეეხებით.

ალვარეზ (თვალ-ცრემლიანი.) მსტილდა, მამატიე, მამატიე!
ჩემი დანაშაული ეს არის, რომ მე შენ მიყვარხარ, მიყ-
ვარხარ მეტის-მეტად. შენ მართალი ხარ... ჩემის სიყვარ-
ულით მე შენა გტანჯავ, მაგრამ მეც ვიტანჯება! მო-
მიტყევე მსტილდა, აღარ ვინივლებ ჩემს ბედსად, ავიტან-
ყოველისყოველს. ვინცა ის კაცი, ჩემსად უკეთესია და ესა
მკლავს მე, მაგრამ, გვედრები ნუ გიყვარს იგი... შე-
ნ იცი, რა შეუძლიან იმ კაცს, რომლის სიყვარულსაც
უნარ-ჭყოფენ!... მითხარ ერთსად კიდევ, რომ გიყვარდი,
გვევარებივარ... და კიდევ გვევარები. დამიმტკიცე ეს სიყ-
ვარული, ნუ წახვალ ნურსად, ნუ! მამინ მეც ჭანრისავით
გულ-დანდობილი შევიქნები, ჭანრისავით კეთილი, ჭანრი-
სავით ტკბილი! მამინ შენ ჩემგან შიმის მიხეზი აღარ
გექნება; მამინ იე თავს დავიმალავ, აღარსად გამოვინდე-
ბი. ჭხედავ, მსტილდა, ამ ცრემლებს... დანაქილი გე-
ვედრები... ხვალ ნუ წახვალ... მასუგან... ერთის თვის...
ერთის კვირის შემდეგ... არა, ამის უნარს ვერ მეტყვი,
ვარ!

მატილდა. წამოდექ.

ალვარეზ. მომეც სიტყვა, რომ აღარ წახვალ...

მატილდა. კარგი, აღარ წავალ.

ალვარეს. როგორ მოახერხებ მასას?

მატილდა. ჯერ არ ვიცი... მიზღვს მოვუძებნი... მოვიგონებ
 რასმე, რაღონდ ადექ და წადი აქედან.

ალვარეს. გიყვარვარ, თუ არა?

მატილდა. ჰო, მიყვარხარ.

ალვარეს. რა ბედნიერი ვარ, მატილდა! (გაღიხ.)

გამოსვლა 12.

მატილდა (მარტო.) ოჰ, ღმერთო, ეს რა ტეტხლში ჩამავდა!

მეორე მოქმედება.

(იგივე ოთახი.)

ბამონსვა 1.

ლარსის ქვრივი და მათილდა.

ლარსის ქვრივი. დილა-მშვიდობისა, ჩემო კარგო, რასა იქ
და რაგონა ხარ? დღეს აგერ მეორედ მოვდივარ აქ.
მგონი დღეს ბავშვების წვეულებას ანიჭებ?

მატილდა. დიად, იმ დღეს გადავწყვიტეთ... ებ...

ლარსის ქვრივი. ალვარესის აზრია... კიტი, კიტი, თითონვე
მიტხრა...

მატილდა. თქვენი ადრენა სადღაა?

ლარსის ქვრივი. უნა გზაზედ დახვდა და თავისთან მიიწვია.
უნა ჩინებულად მასწინძობს და უხვად არიებს სათა-
მასობებს. ჩემს ქალს მისცა კატა, რომელიც ჩანგზედ უმ-
რავს. დმერთო, რაებს არ მოიგონებენ!

მატილდა. განა ბავშვები მოვიდენ კიდევ?

ლარსის ქვრივი. სულ ერთად მოუყრიათ თავი და ისე მო-
სულან. საკვირველია, მე გატყობინებთ თქვენის სახლის
ამბავს.

მატილდა. მე ცოტა დავიკვიანე, მაგრამ ესლავ წავალ და მსპინძლობას გავწევ.

ლარსის ქერივი. ჰატარა მოითმინეთ. დიუმონი იქ არის თქვენს მაგივრად. ღმერთო, რა მშვენიერადაა ხართ ჩანდული. ვინა გრთავთ სოლმე? კიდევ ვალენტინის ცოლი?

მატილდა. დიაღ.

ლარსის ქერივი. სწორედ ჩინებული გემოვნება აქვს. მეც მაგას მივმართავ, მეონი; მე სტოკლელი მომართავს სოლმე; კარგი სული აქვს, მაგრამ სომ მოგესვენებათ, ვაცისაგან ქალის ჩანძა ცოტა უმართებულაა. მაგრამ გემოვნება კარგი აქვს და ტანისამოსიც გძელი, ძალიან გძელი. სიგძით იმისაგან წარმოდგენილი ანგარიშები თუ შეეძრება იმის ტანისამოსს. წარმოდგინეთ, ერთი კარდის-ფერი კაბა ათას-ორასი ძრანკი დამისვა, მეორე თეთრი კაბა ათას-სუთასი. ეს არის ესლავ ერთი თავკის-ფერი საკაბე მახვიან, რომ ნახო თვალები ზედ დაგრჩება; ასე ეგონა კიდევ მგლოვიარედ ვიყავი. ძალიანაც ვუსაყვედურე, რატომ ამ ერთის თვის წინად არ მახვიან-მეთქი, მაგრამ ამ ერთის თვის წინად ჯერ მოსული არ ყოფილიყო.

მატილდა. მაშ ეგ საკაბე მაშინ დაგჭირდებოთ, თუ კიდევ მგლოვიარედ იქნებით როდისმე.

ლარსის ქერივი. აი, ღმერთმა გისმინოს. ერთი ბებერი მამიდა მეყავს, თუ ის მომიკვდა, არ დაკზოვავ იმ საკაბის ფასს. რას ამბობ, რვასი ათასი ძრანკი დამჩება. მე სომ ჩემთვის არ ვამბობ, ქვრივს სიმდიდრე რად უნდა! ჩემი ქალი ამ ათს წელიწადზედ გასათხოვარი იქნება და იმისთვის ვზრუნავ.

მატილდა. ესლავე?

ლარსის ქერივი. მას რა ვქნა, ჩემო საყვარელო. ოჲ, რა ბედნიერი ხარ, რომ ჯერ ერთი ესა, ქმარი გყავთ; ხომ ამბობენ ასე და ისეო, მაგრამ აწავინ არ იცის, ქმარი რომ გორ თვალში აკლია კაცსა. ვისაც კი ჭყავს, ასე ჭგონია, უქმროდაც კარგად გაგმდებო, მაგრამ როცა მოუგვდებათ, მასინ უდგებთ თვალთ. მეორეც ესა, ამისთანა სასასლე გიდგიათ, დიდ-კაცობას იცნობთ. რა გიჭირთ? მარტო თქვენი ბრილიანტით შეძეული ბროშკა ერთ-რამედა ღირს! რასაც კი მოისურვებთ, თქვენი ქმარი მზა არის შეგისრულათ, უყვარხართ და არაფერში არ გიშლით ხელსა. არავის ლაპარაკს უფრს არ უგდებს, არაფრისა არ ეფიქრებს, კითხვამ აქ არაფერი ამბავია.

მატილდა. მე რე უფრე რა დაუგდოს, რა იქნება? რისა უნდა ეფიქრებოდეს?

ლარსის ქერივი. თითონ... არაფრისა...

მატილდა. რა, რას ამბობთ?

ლარსის ქერივი. დმერთო ჩემო! განა არ იცით, ჩემო კარგო, რომ მთელი ქვეყანა ქალებს ებას ადგამს ლამაზებსაც და ულამაზოებსაც, ახალ-გაზდებსაც და ხნიანებსაც; მხოლოდ გონჯებზედ არავინ ხმას არ იღებს, თუმიცა კი ძალიან უნდათ, რომ მათზედაც ლაპარაკონ.

მატილდა. მას ჩემზედ ლაპარაკობენ? მე რე რას ამბობენ?

ლარსის ქერივი. პირ-და-პირ შენზედ არაფერს.

მატილდა. მას ვისზედ?

ლარსის ქერივი. იცა რა გითხრა, მატყლდა: არის ერთი სულიერი, რომელიც აწდილსავით უკან დაგდევს, ტყუილია თუ? ოპერაში წახვალთ, თუ სხვაგან, ის თქვენთან

უნდა იყოს, თქვენს ღოჯაში გამოსჩანს ხოლმე ყოველ-
თვის... ალვარეს...

მატილდა. ალვარეს...

ლარსის ქერივი. თუ გწყინთ, ხმას აღარ ამოვიღებ.

მატილდა. არა, არა მწყინს.

ლარსის ქერივი. იქნება არა გწყინდეთ, მაგრამ გერე ნულარ-
სად შეკრთებით, თორემ ალეკებს დასაბრალებენ.

მატილდა. მე არ ვარ ალეკებუფი... მე მხოლოდ მინდა შე-
ვიტყო...

ლარსის ქერივი. მას კარგი, რასხან აღარ მეშვებით, პირ-
დაპირ გეტყვით, ალვარეს სშირად დადის თქვენთან.

მატილდა. რა ვუყოთ, ჩემის ქმრის ამხანაგია და დადის.

ლარსის ქერივი. ეგეტ მართალია.

მატილდა. ლეონა!

ლარსის ქერივი. მე ხომ ჩემს ნათქვამს არ გეუბნებით; ქვე-
ყანა მაგას დაჰმარჯობს. იცით რა? ეგ ალვარესის ბრ-
ლი არ არის, მაგრამ მეტად შავ-თვალ-წარბაა და სასულს
გიტყვავთ. ძალიან სშირად არის თქვენთან ერთად, ძა-
ლიან სშირად. უატარა შორს იყოლიეთ... ხომ ატყობთ
ჩემს სიტყვებს, საყვარლო მატილდა, რომ მე სრულე-
ბით არა მჯერა ქვეყნის დაჰმარჯობა.

მატილდა. კარგადაც ჩანდა.

ლარსის ქერივი. ან არა და ცოლი შეერთეთ. რამდენი ყმაწ-
ვილი ქალია გაგიყვებუფი მშენიერის თმისა და შავის
ბრწყინვალე თვალებისათვის!

მატილდა. მე რა უფლება მაქვს ალვარესზედ, ვერც ცოლს
შეკრთავ და ვერც დაუშლი.

ლარსის ქერივი. რომ გქონდათ კი, ის ემჯობინებოდა; მოს-

პობდით სხვა-და-სხვა ხმებს და ღრღინ არის მოსმობისა.

მატილდა. მაგითი რა გნებავთ სთქვამთ? გამაგებინეთ, თუ ღმერთი გწამთ.

ლარსის ქვრივი. აი რა, ჩემო კარგო. თქვენ ერთი გოგო გყავდათ, ზოა... აი ის საძაგელი, სწორედ ამოსავარდნელია!... თქვენ ძალიან მიჩნეული გეოლიათ ის გოგო, მაგრამ ბოლოს მანც გაგიგდიათ. არ უნდა გაგებდეთ, არა.

მატილდა. თავი მომხბეზრა მეტად და იმიტომ გავბედე. ლარსის ქვრივი. მე ხომ მაგას არ ვამბობ. მე ვამბობ, ისა სჯობდა მოკეთმინათ, და არ გაგებდეთ.

მატილდა. რატომ?

ლარსის ქვრივი. იმიტომ რომ გაგამხილათ.

მატილდა. როგორ თუ გამამხილას... მე არ მესმის თქვენი ლაპარაკი.

ლარსის ქვრივი. ის წასულიყო და დამდგარიყო ბერტეს ცოლთან, რომელიც თქვენი მტერია. ქმარიც ისეთი მეტრე და აკენაა, როგორც ცოლი, სწორედ ქუჩის მანქანაა ღედა-კაცია. თქვენი ზოა რომ ბერტეს ცოლს დაეჭირა, მეორე დღესვე გამოკეითსნა და ყოველისიყერი თქვენი ამბავი ეთქმევიანებინა.

მატილდა. რას იტყუდა მეტი ჩემზედ ცუდსა?

ლარსის ქვრივი. იტყუდა ვი არა, უთქვამს. მე დარწმუნებული ვარ, მოაჭორებდა, მაგრამ უთქვამს ვი. ეს არის სამწუხარო, ისე დაწვრილებით უამბნია, რომ, ვისაც ვი გორები უყვანს, მართალი ეგონება.

მატილდა. მეტი ბერტეს ცოლი დაიჭერებდა კილაც გომბიოს ნალაპარაკებს?

ლარსის ქერივი. რასაკვირველია, არ დაიჯერებდა. გამოეგდო კიდევ ზოა სსლიდამ და ეთქვა, მე მკისთანა ურცხვს და უსინდისო ადამიანს, რომელიც თავის უწინდელს ქალ-ბატონს ეგეთს ცილსა სწამებს, ჩემს სახლში ვერ ვიყოლებო. ზოას ტირილი დაეწყო და ეთქვა, ისეთი არა მითქვამს-რა, რომ დამტკიცება ვერ შევიძლო.

მატილდა. დამტკიცება...!

ლარსის ქერივი. ახა რა დამტკიცება შეუძლიან! მანც ბერტეს ცილს ჰაღურის კვრით გამოეგდო და ყველგან თურმე გაკანასკნული ლაზარაკობს იმ გომბიოზედ. თითონ ბერტეც თურმე ისე ნაწნობს არა ნასავს. რომ ეგ ამბავი არ უაძბო... რა დაგეძარათ, ფერი რად გეტვალათ? მე თქვენგან გულ-ახსნილობას ვერ მოვიტხოვ, მხოლოდ ერთს რჩევას მოგცემთ. ეცადეთ, ცუდი ამბავი არა გამოვიდეს-რა: ან ისე გაამაგრეთ თქვენი ქმარი, რომ ყველაფერი აიტანოს, ან ალვარეზ თავიდან მოიშორეთ. თუ ცილის შერთვასეა უარს იტყვის, ეცადეთ, რომ საზოგადოებას შეურიგდეთ და მის წესზედ იცხოვროთ. სხვა არაფერია საჭირო... თქვენი ნაწნობებიც მეტს არას თხოულობენ... სწორე გითხრათ ერთს იმისთანა კაცს ვერ მიჩვენებთ, რომლის გულისთვისაც ღირდეს სახელის გატეხა. ახა, თუ კაცია, მე სახელს გამოიტყვას ვინმე...

მატილდა. მე მიგისრია ბრძოლა საზოგადოებასთან; მე დავამტკიცებ...

ლარსის ქერივი. ბრძოლა რა საჭიროა, ჩემო კარგო... დაუმოწილეთ თქვენს ბედსა და სიმშვიდით გააჩუმეთ ცილის-წამება. — ჰსედავთ, ჩვენ დაგვაიწოდენ ბავშვები და თითონ მოგვინახეს.

ბამოსვლა 2.

(იგინივე და რამდენიმე ბავშვი თამაშობით შემოდინან და გადიან მეორე კარებიდან. უნა წინ მიუძღვის.)

შანა (მოვა, თავის დედას მოეხვევა და დაჭლა ეტყვის.) აი, დედა, წერილი მოგიტანეს.

მატილდა. ვინ მოგცა?

შანა. ნათლიამ. საღასში შემოვიდა და მითხრა, წადი ეს წერილი საჩქაროდ დედა-შენს მიუტანე.

მატილდა. კარგია, შეილა. წადი, ითამაშე. (უნა წავა თავის ამხანაგებთან.)

ბამოსვლა 3.

მატილდა და ლარსის ქვრივი.

ლარსის ქვრივი (მაჯილდას, რომელსაც უნდოდა წიგნის დამალვა და ვერ მოახერხა.) წაიკითხეთ ეს წერილი, ნუ ძეგბით, წაიკითხეთ.

მატილდა. ნებას მძღვეთ?

ლარსის ქვრივი. მაგას რაღა კითხვა უნდა. (მაჯილდა განსნის წერილს და სახეზედ შეიშლება.) რა ამბავია?

მატილდა. აწაფერი.

ლარსის ქვრივი. მაგ წერილმა თითქმის აგადღეღვას.

მატილდა. ჭო, ერთი უსიამოვნო ამბავია.

ლარსის ქერივი. თუ მე გამოგადგებით რაშიმე, მიმსახურეთ, ჩემო კაცო.

მატილდა. ანა, მადლობელი ვარ, მხოლოდ ორიოდ სტრიქონის დაწერა მინდა.

ლარსის ქერივი. დასწერეთ, დასწერეთ, მე წავალ და ბავშვების თამაშობას ვუტყუარი. მას მალე ვნახავთ ერთმანეთს, ანა?

მატილდა. მალე ვნახავთ, მალე!

ლარსის ქერივი. ნახვამდის!

ბამონსლა 4.

მატილდა მარტო (თითქმის გულ-შემოყრილი დივანზედ დაეშვება.)

მატილდა. რაღა მეშველება ესლა! (კითხულობს წერილს.) «თქვენ-მა საზინდარმა ზოამ თავისი სიტყვა შესარულა. ჩვენი საიდუმლო ეგულამ იტის ესლა. ამდამ თქვენის ქმრის ყურამდისაც მიადწიეს. მატილდა, ერთ წუთსაც ნუღარ დაკარგავთ, გავიქცეთ. მე ვლაცავ ჩემს ბედს, რომ თქვენი თავი ასე დამიანლოვას. მე ანა მქონდა ამის იმედი. რვა საათედ თქვენა და უანა ჩრდილოეთის რკინის გზასედ დამხვდით. ნურაფერსედ იზრუნავთ, მე ყოველივე თავდარიგი დაჭერილი მაქვს. ოჰ, მატილდა, რა ბედნიერებაა, რომ სამნივ ერთად ვიქნებით.» ვაი სირცხვილო! ესლაც კვლავინდებურად ის მხოლოდ თავის-თავსედა ფიქრობს. ოჰ, საყვარულო, კაცის გულის გამჭკაბულო! წყუელიმც იყავ! რა ვქნა, როგორ მოვიქ-

ცე! იქნება ეს სერსი იყო და უნდა გამიტყუილხს. ანა, იმ ქალმა ყოველისფერი გამაგებინა. მე დაღუპული ვარ. მერე როგორ მტანჯავდა, როგორ მაწუხებდა თავის ღა-
 ზანკით. მეგობრობაც სიყვარულსავით ფუჭი სიტყვა ყო-
 ფილდა! ვის მივმართო, ვის რა რჩევა კვითხო? დედა-
 ჩემს? ის წმინდა აღამიანია და თავის - დღეში ცოდვა
 ანა უქნია-რა. სად შეუძლიან ბოროტის წამალი მასწავ-
 ლხს! მამა-ჩემს? ანა, ის ვერ გაუძლებს და რომ გა-
 ვუმხილო, სირცხვილი თან გადაიტანს. მამ ტყუილი
 ვთქვა, კიდევ ტყუილი, ყოველთვის ტყუილი. ანა, სიკ-
 ვდილი სჯობს და ღირსიცა ვარ! სიკვდილი? მერე რო-
 გორ მოკვდე... ჩემს სულში აღარც სიკვდილია და აღარც
 სიცოცხლე. შეიძლება, ისე მოვასყერხო, ვითომ შემთხვე-
 ვით მოკვდი და მაშინ დამიტირებს მაინც, ვისაც გუ-
 ლი შესტკივა. ეს ცრემლები უკანასკნელი მოტყუება იქ-
 ნება! ცხენზედ შეკვადები, გადმოვარდები, ქვებზედ თავს
 გაკიტეს. აი სიკვდილი! ანა, მე მსდალი ვარ, ვერ შევ-
 ძლებ ამას! ღმერთო ჩემო! (ჯირის.) რა დღეს მოვესწარ!
 როგორ მშვიდად და მსიარულად ვატარებდი ჩემს ყმაწ-
 ვილობას... რა იქნენ ჩემი ოცნებანი? როგორ დავიღუპე
 თავი! დაჭხედე შენს თავს, უბედურო! შენ წუმპეში ხარ!
 რადას ეკებ? მიწვე ბოლომდის შენს ბედის-წერას. შენი
 საყვარელი მართალს ამბობს. გაქცევა-ღაა შენი წამალი,
 ეგ დაგისწინის დაცინვისაგან... ამას მაინც იტყვიან, რომ
 კვლარ დასძლიე სიყვარულს... სხვა ქალები შურით და-
 გიწუებენ ყურებს, პოეტი ლექსებით შეგამკობს! გაით-
 ქვამ სასულს; ქვეყანა შენზედ ილაზნაკებს. ყველანი
 ერთმანერთს სიცილით უამბობენ შენს თავ-გარდასავალს;

იტყვიან, ჩვენ კვ ამბავი დიდი ხანია ვიტყვითო და იქნება მართლა კიდევ იტყვენ... შენ კი დაბურდები სადმე იტალიაში, გასდები რომანში ჩასაწყვრი. შენს სიტყვებს სადმე ლამაზის ტბის ნაპირზედ გაატარებ შენის ცოდვით გაუზარტოებულნი. კარგი, მივდივარ. (გაჩერდება.) არა, არას დროს!...

გამოსვლა 5.

დიუმონ და მატეილა.

(ზალიდამ მუსიკა მოსმის.)

დიუმონ. (შემოდის.) კვ რაგორ მინახე თავი ბავშვების თამაშობას. კარგია კიდევ რომ უნა ისე ლამაზად დიდობას თამაშობს. უნდა ნახო, რაგორ თავი მოაქვს, სწორედ სასაცილოა. ადრინაც კარგი რამ არის, მაგრამ უნახთან სად გამოჩნდება. სწორე გითხრა, ჯერ მაგის მზგავსი ბავში მე არ მინახავს. რა ვქნა, შენ რა მოგდას? მართლა, ლარსის ქერიება მითხრა, რომ რაღაც საწყენი წერილი მიგიღია. რა ამბავი იყო?

მატილა. (გაუტყრებული უცქერის დიუმონს და მერე თითქო ვეღარ შესძლებს თავის შემადგობას.) ჭანრი!...

დიუმონ. რაო, რა დაგეძართა? რატომ ავრე მიყურებ? დედა-შენს რომ არა დამართვი-რა? სად არის ის წერილი? (მატილდა აძლევს წერილს.—დიუმონ წაიკითხავს.) ეს ალვა-

რეისის ხელისა. რას ნიშნავს? ეს წერილი შენთვის გამო-
უგზავნიას?

მატილდა. ჩემთვის...

ლიუმონ. მერე... არ მესმის... ალვარეს... მართალია, რატა
სწერის?

მატილდა. (ღონე-მიხდილი, ცახცახით.) მართალია...

ლიუმონ. (გაკაპასებული მუშტს აიღებს მალა და დაკვრას დაუბი-
რებს.) უბედურო! (გაჩერდება, გაშორდება პატარას და უბ-
ღვოდ ხელს მოისვამს.) ჭკუასუდ ვიძლები... სწორედ ჭკუა-
სუდ ვიძლები... უკაცრავად... კარგი, კარგი, მშვიდობით.

მატილდა. (ხვეწით.) ჭნარი!...

ლიუმონ. კარგა ჭქენით, რომ შემატყობინეთ... მაგისთანა შემ-
თხვევასში მართლის თქმა სჯობს; მაგრამ რა იქნებოდა,
შატარა კიდევ მოგეცადათ, არ გებნალებოდათ?... ხომ
არათყერი დამიშავებია თქვენთვის... წყალ-წაღებულს იმედს
მანც არ უსპობენ. მაგრამ მეტს დროს ველარ დაჭკარ-
გავდით, თქვენ გეჩქარებოდათ, ის გელოდათ, ესლაც გე-
ლით... რა გინდათ ჩემგან? რაღადა დგენართ? თავისუფა-
ლი ხართ, მიბძნადით. ის არა სჯობდა, არა გეთქვათ-
რა და ისე წასუდიყავით. მე კი არა ვიცნადი-რა, არა-
ფრის ეჭვი არა მქონდა. მეტის ღირსი არ ვიყავ! რად
გავსუდელდი ისე. ამას გარდა, იმან შემწეობა განიწინა,
ფული მომცა და ცოლი წამართვა. რა არის აქ გასაკვირ-
ველი. მერე ყანაც უნდა წაიყვანოთ? ჩემი შვილიც უნდა
წამართვას! ეგ მეტის-მეტია, რად განიმხილეთ ეგ აძნავი,
რად?

მატილდა. იმიტომ რომ თავის მოკვლას ვერა ვბედავ და იმე-
დი მქონდა, მომკვლავდით.

ლიუმონ. სიკვდილი რად გინდოდათ?

მატილდა. იმიტომ რომ ჩემისთანა უბედური ქალი ქვეყანაზედ არ მოიძებნება.

ლიუმონ. უბედური! რითი? უყვარხართ, გიყვართ და სხვა რაღა გინდათ! მხალღად სიცოცხლესაც საჭირო...

მატილდა. მე ის არ მიყვარს!

ლიუმონ. არ გიყვარს? მაშ რა ხარ, ან რა გინდა!

მატილდა. მე რომ გითხრათ, გუფით თქვენს მეტი ჩემს დღეში არავინა მყვარებია, — არ დამიჯერებთ. მაგრამ ამის მეტი მაინც არა მეტქმის-რა და არც იმიტომ გეუბნებით, რომ დამიჯეროთ. გეუბნებით იმიტომ, რომ ეს თვით ჭკუშმარტობაა. მიბძანეთ, რაღაც გსურთ და ყოველისიყერი წინ-და-წინვე მიკისრია, ოღონდ ამ წვალუბი-დამ გი დამისხენით. დამისხენით ამ წამებოდამ! გნებავთ, მოკვდები და განგათავისუფლებთ, რომ სხვა შეიყვაროთ, აღიაროთ ის სახელი, რომელიც მე წმინდად ვერ შევინახე? ან რაზედაც გინდათ, გიმეწმებთ. დამსაჯეთ, მტანჯეთ, როგორცა გნებავთ! მომკალოთ, მე მაინც თქვენი მადლობელი ვიქნები.

ლიუმონ. როდის აქეთა რაც თქვენ შესცდით?...

მატილდა. მას აქეთა, რაც იმან სიღაცობეს გადაგაჩინათ.

ლიუმონ. მაშ შვიდი წელიწადია!.... მაშ უხანა.... (მატილდა თავს ჩაღუნავს და ხელებს თვალზეზედ მიიფარებს.) ადექით, ქალბატონო, ადექით! სხვა აღარა გაქვთ-რა სათქმელი?

მატილდა. რას მიბძანებთ?

ლიუმონ. როგორც გნებავდეთ, ისე მოიქცით; წაიყვანეთ თქვენი შვილი და გამშორდით.

მატილდა. მშვიდობით. (წამოდგება, და ერთს ნაბიჯს გადადგამს.)

ლეონი. სად მიხვალთ? მე თქვენთვის ამიკრძალავს თავის მოკვლას.

მატილდა. რაღა?

ლეონი. იმიტომ რომ სხვაც ბევრი ცოდვა გავწევთ და მიმტებს საჭირო აღარ არის. თქვენს ქალს თქვენი თავი ჭკერ კიდევ ეჭირვება. მე სომ მხგას ვერ გავზდი და მის მამა დღეს არის, მაგრამ იქნება ხვალ აღარ იყოს.

მატილდა. ჭანრი, დუელს აპირებთ?...

ლეონი. თქვენ რა?

მატილდა. თუ ღმერთი გწამთ, ჩემის გულისთვის ნუ მოიკლავთ თავსა!

ლეონი. მას ვერ, მთელი შვიდი წელიწადი მატყუებდი, მატყუებდი ყოველ-დღე, ყოველს საათს, ყოველს წუთს და მე კი ბრძა ვიყავ, ვერასა ვხვდებდი! ოჲ, როგორ არ დაგანსჩე იმ აღმოსის დროს, რომელიც მე ნამდვილი მეგონა. უბედურა! რად წითლდებოდი, როდესაც ან სეინრობის დროს, ან თეატრში სახელ-გატყუილს ქალს შეხვდებოდი ხოლმე! მე მეგონა ის სიწითლე იმ ქალის მიზეზით მოგდიოდა, ის კი არა თუ შენ შენი თავი გაგონდებოდა! მათ კიდევ ეპატეებათ სიღარბისა და სიმშვილის გამო. თქვენ საპატეებელი მიზეზი რა გაქვთ?

მატილდა. არაფერი.

ლეონი. აბა მოხსენეთ, იქნება, იზოკოთ.

მატილდა. მე საპატეებელი მიზეზი არა მქვს - რა და არც მინდა მქონდეს! მე ტყუილი როდი მითქვამს: მე თქვენ მიყვარდით და... დღესაც კიდევ მიყვარსაწო.

ლეონი. კარგია, აბმანდით. ეს გომედაა არას ვკარგებს. მიბმანდით თქვენს ოთახში და მოუცადეთ ჩემს ჰასუსს!

მატილდა. რას მიზივრებთ?

ლიუმონ. მეც არ ვიცი. მიბძანდით, მიბძანდით. ცრემლები მოიწმინდეთ, ბიჭებმა არ დაგინახონ.

ჰანა (შემოდის.) ოჰ, დედა, დედა, რამდენი ვითამაშეთ, რამდენი ვითამაშეთ!

მატილდა. წადი, უანა, წადი!

ჰანა. შენ ყოველთვის მეუბნები, წადი, წადიო! სხამ არაფერი დამიშავებია; მამა, დაფაშავე რამე?

ლიუმონ. წაიყვანეთ ეგ ბავშვი.

ჰანა. მამას რა მოსვლია? რატომ არ მკვლავ?

ლიუმონ. წაიყვანეთ ეგ ბავშვი!

ჰანა. მამა, მამა, მამილა!

ლიუმონ (ხელსა სტაცებს უანას და თავის დედისაკენ მიავლეს.) წაიყვანეთ-მეთქი, გეუბნებით.

ჰანა. დღეს ჩემი დღეობაა და მამა მიჯავრდება, არა მკვლავის.

ლიუმონ. მიბძანდით. უანა შენ აქ დარჩი. (მატილდა მოწყვეტილი გადის.)

გამოსვლა 6.

ლიუმონ და ჰანა.

ლიუმონ (საშინლად აღელვებული.) აქ მო უანა, მამატიე! მამატიე უანა!

ჰანა (მონგვენას აპირებს.) მიჯავრდება.

ლიუმონ (დაუჩოქებს უანა დივანზედ ზის.) თუ დღემდის რამე

დამიშავებია შენთვის, ისიც მაჰმადიანე. მე უფლებს ანა
ქონდა-რა.

ჰანა. შენ ჩემთვის თავის დღეში ანა დავიშავებია-რა, მამა.
ღიუმონ. მამას ნუღარ მეძახი.

ჰანა. მამ რა დავიძახო?

ღიუმონ. შენი მეგობარნი დამიძახე. (გულს ვეღარ შეიმაგრებს,
თავს მუხლებზედ დაუდებს უნას და ქვითინს მოჭყევება.) რა,
ჩემო საწყალო უნა, რა უბედური ვარ!

ჰანა (უეშინებელი.) რა იყო, მამა? (აიღებს ხელ-სახოცს და თვა-
ლებს მოსწმენდს ღიუმონს.) რადა ტირი? რადი უნდა ტი-
რალი. კაცის ტირილი არ გამოგონია, მარტო ბავშვებმა
უნდა იტირონ.

ღიუმონ. მართლად ამბობ. (ზარს დაწყარუნებს.) წადი ითამაშე.
(მსახურს.) წადი და ალვარესს მოახსენე, აქ მობძანდეს.

მესამე მოქმედება.

(იგივე ოთახი.)

ბამოსკლა 1.

ლარსის ქერივი და ერთი მსახური.

ლარსის ქერივი (თავისთვის.) სად წასულან?... ცოლიც... ქმარიც... ანც ქმარი სჩანს, ანც ცოლი... ზალაშიაც სრულებით ანც გამოსულან... ვის უნდა გამოესაღმოს კაცი ამ სახლში წასვლის დროს?... რა კენა, რა ამბავი უნდა იყოს ესა? (ზარს დააწარუნებს.) ის წერილი თუა მიზეზი... უნდა შევიტყო უეჭველად, რა ეწერა იმ წერილში... რაღაც საიდუმლო ამბავია... (უმოდის მსახური.) შენი ქალ-ბატონი სადა ბძანდება?

მსახური. უცებ უქეიფოდ შეიქნა, თავის ოთახში შებძანდა და მიბძანა, ნუჩავის მიიღებო.

ლარსის ქერივი. ბატონი სადღაა?

მსახური. ბატონი და ჟანა ეს აჩის ეხლა მეორე ოთახში ბძანდებოდენ. ჰერ ისეკ შინა ბძანდება, ალვარესსა სთხოვა, აქ მობძანდეს. აი თვითონეკ აქ გახსლებათ.

გამოსვლა 2.

ლარსის ქერივი და ლიუმონ.

ლარსის ქერივი. ეს აჩის თქვენ დაგეგმვით, თქვენს და მსტილდას; მინდოდა გამოგსაღმებოდით.

ლიუმონ. მსტილდას მაგიერად ბოდიშს ვიხდი. ერთი წაღაც საჭირო საქმე გაუჩნდა და იმიტომ ველაზ გნახათ.

ლარსის ქერივი. ალბად იმ წერილზედა ბძანებთ?

ლიუმონ. დიად... ის წერილი...

ლარსის ქერივი. ცუდი ამბავი იყო რაქმე?

ლიუმონ. ცუდი ამბავი იყო დიად....

ლარსის ქერივი. მარტო მსტილდას შეგხება?

ლიუმონ. აჩა, ბატონო, ის ამბავი მეც შეგხება და თქვენც ცოტათი შეგხებათ.

ლარსის ქერივი. მეცა?

ლიუმონ. დიად, თქვენცა. აი რა მიხეზით დავჩხი ჩემს კაბინეტში. მე მინდა, ვიდრე წახვიდოდეთ, ქაღალდები ჩაგაბარათ და ამ ქაღალდებს ვაღაგებდი.

ლარსის ქერივი. რა ქაღალდებზედ ბძანებთ?

ლიუმონ. თქვენ ჩვენის ოჯახის ერთგული ბძანდებით, განა?

ლარსის ქერივი. მგონი მაგაზედ დაწმუნებული უნდა ბძანდებოდეთ.

ლიუმონ. ჩვენც თქვენი ერთგული ვართ და არ გვინდა გაგრილოთ ამ უბედურებაში, რომელიც ჩვენს ოჯახს დაატყდა თავსა.

ლარსის ქერივი. სწორე გამაგებინეთ, თუ ღმერთი გწამთ.

ლიუმონ. მართლაც, ახსნა საჭიროა. მე ამ ქალაქებს გაძლეკოთ, როგორც ბანკირი და გთხოვთ ამ რამდენსამე დღეს მანც ამ აზრად არსად არა სთქვათ-რა.

ლარსის ქვრივი. თქვენგან არ მიკვირს! თუნდა თავის დღეში ხმას არ ამოვიღებ.

ლიუმონ. არა, მე მაგას არ მოგასსენებთ. თქვენ ხომ იცით, უწინ რა შემწეობა გამოიწია ჩემმა მეგობარმა... ალვარეზმა?

ლარსის ქვრივი. ვიცი, როგორ არ ვიცი.

ლიუმონ. იმის წყალობით ჩემი დაღუპული ოჯახი კიდევ ფეხზედ წამოვაყენე.

ლარსის ქვრივი. ეგეტ ვიცი.

ლიუმონ. იმ დღეს აქეთაი მე ერთის უმთავრესის ბანკის მო-
თავე ვარ და ბუკრის მდიდარის კაცის ქონება მახარია,
სხვათა შორის თქვენიც.

ლარსის ქვრივი. (შეშინებული.) დიად, როგორთი ნაწილი ჩე-
მის ქონებისა... მეტე?...

ლიუმონ. ჩვენი ბანკი იშლება და ანგარიშს ათავებს.

ლარსის ქვრივი. ანგარიშს ათავებს? რა, დიკროს ჩემო!

ლიუმონ. საქმე კარგად მიდიოდა, მაგრამ ალვარეზს უგრძად
მთელი თავისი ქონება დასჭირდა.

ლარსის ქვრივი. რამდენია იმისი ფული?

ლიუმონ. ესლას ოთხი თუ ხუთი მილიონი.

ლარსის ქვრივი. მეტე?

ლიუმონ. მეტე რა, უნდა ჩავბარო, მაგრამ საქმე კი ძალიან
გამიჭირდება... უნდა გავყვილო ჩემი მამულები, ჩემი სუ-
რათები, ჩემი სასახლე... ერთის სიტყვით მე დაღუპული
ვარ... მე არ მოკვლადი ასე უგრძად ფულის მოთხოვ-
ნას.

ლარსის ქვრივი. მეტე ჰიზობა ანა გქონდათ-რა; ან, თუ გქონდათ, უკანონო ხომ არ იყო?

დიუმონ. ჰიზობა გქონდა, რასაკვირველია, მაგრამ ერთსაცა და მეორესაც თავისუფლად მოქმედება შეგეძლო... ჩვენ უფრო მეგობრები ვიყავით, ვიდრე მონაწილენი საქმეში.

ლარსის ქვრივი (თან-და-თან უფრო გული უშფოთავს.) მეტე იმათ რადას უნამთ, ვინც ფული მოგაბარათ?

დიუმონ. დამშვიდდით; ისინი არაფერს დაჭკარგვენ. ჰიზოვლად თქვენი ანგარიში გავათავებ. აი, ინებეთ ეს ბილეთი და ამის ძალით შეგიძლიანთ სასულემწიფო ბანკიდან აიღოთ თქვენი სკედრი ფული.

ლარსის ქვრივი (დამშვიდებული.) სულ ერთიანად?! ოჳ, რა პატიოსანი კაცი ბძანდებით!

დიუმონ. ჩემს პატიოსნებაზედ ეჭვი არა მქვას, მაგრამ მანც თქვენგან მაგის დამტკიცება ჩემთვის დიდი რამ არის.

ლარსის ქვრივი. რა ვქნა, რად უნდა დასჭირებოდა ალვარესს ასე უცრად ფული?

დიუმონ. ალბად დასჭირებია, რომ თხოულობს.

ლარსის ქვრივი. მგონი, წინდაწინვე უნდა შეეტყუებინებინა.

დიუმონ. ხელს რომ მიმართავდა, წინდაწინ არცააფერი მამინ შეუტყუებინებია. ის კაცი ელვასავით სწრაფია. ერთს წუთს მოუვლის რამე აზრი და მამინვე უნდა შეასრულოს.

ლარსის ქვრივი. არ გეწყინათ მეტე იმისაგან ეს ამბავი?

დიუმონ. მე ჩემს დღეში არავისგან არა მწყენია-რა...

ლარსის ქვრივი. ხომ იცის რომ ის მაგითი გლუპავთ თქვენ?

დიუმონ. მგონი, მიხვედრილი უნდა იყოს...

ლარსის ქვრივი. მატყლდა რადას ამბობს?

დიუმონ. მატყლდაც დამოწმებდა თავის ბედს... თვითონ

იმისთვისვე მიენდო ამ... მოულოდნელის... ამის თქმა...

ეს ყოფილიყო წერილში და ამას აელეკებინა.

ლარსის ქერივი. ბატონო დიუმონ!

დიუმონ. რა გნებავთ?

ლარსის ქერივი. თქვენი ცოლი სწორედ ანგელოზია. უნდა
თქვენც მომიტეოთ და იმანაც...

დიუმონ. რა უნდა მოგიტეოთ?

ლარსის ქერივი. მე კინაღამ ცილი შეეწამე იმას.

დიუმონ. თქვენა?

ლარსის ქერივი. ცილი შეეწამე მხოლოდ თქვით.

დიუმონ. რა გორ?

ლარსის ქერივი. ხომ მოგესვენებათ... ძნელია კაცი ცუდმა
თქვითმა არ აიტანონ... ეს სამკვლობაა; მაგრამ ჩემი
გულ-ახსნილობა გიმტკიცებთ, რომ მე თითონ უარ-
ყოფ ჩემს თქვითს და სასტიკად გავეიცნავ, თუ ამის-
თანა თქვითი სხვას მოუვა ვისმე თავში.

დიუმონ. ამისხენით კარგა. რასაც ამბობთ.

ლარსის ქერივი. მატყლდას შექმლო დაეხსნა თქვენი ქონება,
თუმცა ამისთვის ნამუსზედ ხელის აღება დასჭირდებო-
და... ალვარეს უყვარს მატყლდა.

დიუმონ. იქნება მართალი?

ლარსის ქერივი. მე დარწმუნებული ვარ და ეხლაც იმის ურ-
ჩობისთვის უქმნია ესა. სწორედ უმართებულა ჯავრის
ამოყვანა.

დიუმონ. არა, არ დავიჯერებ. ეგ მეტად საშინელი და უღირ-
სი ქცევა იქნებოდა ჰესტიონსანის კაცისათვის.

ლარსის ქერივი. ყველა ხედავდა ამ სიუვარულს. ყველა მაგა-
ზედ ლაშქარობდა, ბევრი კიდევ ჰქონდა... დღეს მე

ვატნობე მატლილდას ესა... ესლას კი განუმება სჯობს. ზო-
გიერთებს, მაგალითად ბერტესა და იმის ცოლს აწა-
ფრად იამებათ ეს ამბავი, მაგრამ მე კი ცაში ვეფრინავ
სიხარულით.

დიუმონ. გმადლობთ მაგ კეთილის გულისთვის... სწორედ
რომ მატლილდა ერთად-ერთი ნუგეშია ჩემთვის ამ უბე-
დურებაში და უნდა რომ ამ ტანჯვა-წვალებაში ბოლომ-
დის უღელი გაძიწიოს. ეს მისთვის ძალიან სიმძიმე იქ-
ნება. ბავშვობიდანვე დაჩვეულია ნებივრად და მხიარულად
ცხოვრებას და კიდევ რომ ვერ შესძლოს და დაბრუნდეს
თავის დედ-მამასთან, გულს არ დამაკლდება. მე თვითონ
კურჩქე ესლას ამ დაბრუნებას. იმის მოგონებაც საკმაჩი-
სია ჩემთვის, რაც მაგას ბედნიერება მოუყენებია...

ლარსის ქვრივი. არ შეიძლება, გამოკვსაღმო მატლილდასა?

დიუმონ. რატომ აწა (მსახურს.) ქალ-ბატონს მოასხენე, ერთი
აქ მობძინდი-თქო.

ლარსის ქვრივი. ალგარეზ სწორედ უსინიდისო კაცი ყოფი-
ლა. როცა შემხედება, თავსაც არ დაუუკრავ და ჩემს ნაც-
ნობებსაც ჩავაგონებ, რომ სმა აღარავინ გასცეს.

დიუმონ. უკანონო ხომ აწა უქნია-რა.

ლარსის ქვრივი. მე თქვენი ერთგული ვიქნები საუკუნოდ...
ნუ დაეცემით სულით, გამხსნეკდით...

დიუმონ. მე სიმხნე არ მაკლავ...

ლარსის ქვრივი. (დახედავს დიუმონისგან მიცემულს ბილეთს.) მამ
ეს წარკვადგინო ბანკში?

დიუმონ. დიაღ.

ლარსის ქვრივი. მე თითონ მომცემენ?

დიუმონ. თუნდა ესლავკე.

ლარსის ქერივი. მას გზად გავეფლი ბანკში, შინ რომ წავ-
კალ.

დიუმონ. რეგორც გნებავთ.

ლარსის ქერივი. ოთხს საათამდე დიანა განა?

დიუმონ. დიად. (შემოდის მატილდა.)

ლარსის ქერივი (მივა მატილდასთან.) საცოდაუო!... (მოეხვევა.)
თქვენი გოცნა მომიხდა კიდევ. მომიტევეთ, გეთაყვა,
რაც გითხარით, ჩემსედ უკეთესი მეგობარი თქვენ არა
გყავთ... ამას დაგიტეიცებთ... სშირად ვივლი თქვენთან.
მე ხომ სხვა მეგობრებს არა ვგეგვარ, რომ უბედურებამ
დამაშორებს თქვენთან... მხნედ იყავით, მხნედა... ნახვამდის.

მსახური. ალვარეს გაცხადებ.

ლარსის ქერივი. მშვიდობით!... მე არ მინდა იმისი სხე და-
ვინასო... (თავისთვის.) ოთხის ნახევარია... არ დამიგვიან-
დეს.. (გადის მეორე კარებიდან.)

დიუმონ. მოახსენე, შემობმანდეს.

ბამოსვლა 3.

დიუმონ, ალვარეს, მატილდა და შემდეგ ჟანა.

მატილდა. (დიუმონს.) რა გნებავდათ?

დიუმონ. აქ დაჩნით.

ალვარეს. აი, ჭანრი, მეც აქა ვარ. რისთვის დამიბარე?

დიუმონ. რადესაც ორი კაცი ამ ყოფაში ჩავარდება, რაშიაც
მე და შენა ვართ, უნდა ყოველივე აღიარონ, თორემ ან
სამარცხინი იქნებიან, ან სასატილონი...

პლევარეზ. რა უფთავსებდ ღაშაწაკობ?

ლიუმონ. მიღალატინია რადისმე თქვენის მეგობრობისათვის?

პლევარეზ. აწას დრას.

ლიუმონ. თქვენ კი უღალატეთ ჩემს მეგობრობას, მოაქცით
საწინდრად... უნამუსოდ...

პლევარეზ. ჭინრი!...

ლიუმონ. შვიდი წელიწადია, რაც შენ კურთხ სარ ჩემის ცოლიას.

პლევარეზ. ბატონო ჩემო!...

ლიუმონ. აი თქვენი წერილი.

პლევარეზ. სსვის წერილი გახსენით?

ლიუმონ. არა, აი ამ მანდილასანმა მომცა.

პლევარეზ. მაგან!

ლიუმონ. მაგან მომცა ძალ-დაუტანებლად.

პლევარეზ. მაგან გაჭბუდა ეგა?

ლიუმონ. გაჭბუდა იმიტომ რომ ნდობა აქვს ჩემი.

პლევარეზ. რატომ გამოგვიჩინათ ეგეთი ნდობა?

ლიუმონ. იმიტომ, რომ აღარ უყვარსართ, იმიტომ რომ თავის დღეში არა ჭყვარებისართ!... ეგ ამჯობინებს ჩემს მართლ-მსაჯულებას... თვით ჩემს რისხვას... თქვენს სიყვარულს... ტყუილია?

მატილდა. მართალია!

პლევარეზ. მაგის მეტი სათქმელი არა გაქვთ-რ?

ლიუმონ. არა კმარა! აგერ შვიდი წელიწადია!... გესმით თუ არა? შვიდი წელიწადია, ჩემდა უნებურად, უღიწხად ვეჩვენებოდი ქვეყნას. მასხარადა ვსდებოდი, იმიტომ რომ გენდეთ. იქნება გოლნათ კიდევ რომ მე ვიცოდი ეს ამ ბავი და არას ვამბობდი... მე ხომ ხელი გამიმართეთ თქვენს.. მე თქვენი ვაღა მმართებს.

ალვარეს. მეჭე...
 ღიუმონ. და თქვენ მოვალედაც მინდა დავჩე.

ალვარეს. ეგ რადას ნიშნავს?

ალვარეს. ეგ რადას ნიშნავს?

ღიუმონ. ერთი რჩევა მინდა გკითხოთ.

ალვარეს. მე უნდა გკითხოთ რჩევა! არა სუძრობთ თუ?

ღიუმონ. რა მესუძრება ამ ყოფაში!... თქვენა გგონიათ რომ ამ ორს საათში ვერ შევძლებდი მომეფიქრებინა რამე. ხანდისხან ფიქრი ელვასავით სწრაფია. მესმის რასაც ჩავდივარ. ღვთის მადლით, ვერ სწულს ჭკუაზედ, გულმაცრდა ვარ!... ამასაც ხომ ვერ დამიშლით. მე რომ როდისმე დიდს გაჭირებაში ხელი გამემართა თქვენთვის ღმრთის შეძევ ერთად დაგვეწუო საჭმე; მე რომ თქვენი გულითადი მეგობარი გაუმსდარვიყავ და როგორც მეგობარს შემეცდინა თქვენი ცოლი; მე რომ შეიღვი მომცემოდა და ჩემს შეიღვს თქვენი სახელი ჭკანოდა, რას იზამდით მაშინ?... გამეცით პასუხი.

მატილდა. (დაჩოქილი.) ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!

ალვარეს. არის იმისთანა მდგომარეობა, როდესაც მხოლოდ თავის-თავსა და თავის ღირსებას ეკითხებთან.

ღიუმონ. მაშ არას მეტყვიით?

ალვარეს. ჩემგან ჭკუის სწავლება არ გეჭირვებათ.

ღიუმონ. მაშ შემოდგამან სიტყვებით ავსენა თქვენი ღუმილი?

ალვარეს. ნება თქვენია.

ღიუმონ. ჩემს ადგილას რომ ყოფილიყავით, ურცხვსა და უსინდისოს დამიძახებდით, იქნება სილაც გაგეჭრეთ... ღუელის მოსახდენლად. ამისთანა მდგომარეობას მე და თქვენისთანა კაცს შუა, სისხლი მოსდევს ხოლმე.

ალვარეს. იქნება! (მატილდა შემინებული ყურს უგდებს.)

დიუმონ. მე ამისთანა საქმეში უცხო კაცს მოწმად არ და-
ვისწრობ. ეს საქმე მხოლოდ მე და თქვენ უნდა კონტ-
დეთ... დუელში რომ ვერ მომკვალით, რიდადღა მოვი-
ოხებდი გულისა და თქვენ რომ მოგკვალით, სად იქნე-
ბოდა სამართალი!..

პლვარეზ. მაშ...

დიუმონ. მე გადავშინვე კანონები და მინდოდა შექეტყო,
რას ნუგეშს მიქადაინ. მე ნება მაქვს, მოგვლათ თქვენ,
თქვენცა და ეგეტ. მე ნება მაქვს დავატყუეო ჩემი ცოლი
და საქვეყნოდ ნამუსი ავსადო... მე ნება მაქვს გავაყარო
მშვიდობიანად... რაც უნდა მოხდეს, მანც იმას უზატი-
ურება რჩება წილად, მე მასხარად აგდება, ბავშვს კი
სინცხვილი, თუძცა ბრალი აწაფერი არა აქვს... სასტი-
კი კანონია... უნდა აუცილებინა ეს ამბავი... მე მიტვე-
ბის უფლებას მაქვს... რა ვქნა—მინდა მოგიტყუოთ,
მაგრამ მეც კაცი ვარ და ღონე აღარ მომდებს, თუძცა
სურვილი კი დიდი მაქვს, მაღლა ვიდგე თქვენზედ. რაც
უნდა მხურვალე ყოფილიყო თქვენი სიყვარული, მანც
ისე არ იქნებოდა, არ წამოწითლებულიყავით, არ გებ-
რძნოთ, რა ცეცხლშია ცხამაგდეთ... რა გამოუთქმელს,
უშველებელს ტანჯვაში... თქვენ წამიწყმიდეთ ჩემი გუ-
შინდელი... ჩემი დღევანდელი... ჩემი ხვალისდელი ბედ-
ნიერება... წამართვით ცოლის სიყვარული... ფუჭად ჩა-
მიტარეთ მამის იმედი... ფუჭად ჩამიტარეთ თვით თქვენ-
დამი მეგობრობაც... ამ გულში მარტო თქვენ სამნი
მეყვანდით!..

პლვარეზ. (აღელვებული.) ბატონო ჩემო! (მაცოლდა დაჩოქილია
და ჩუმად ტირის.)

ლიუმონ. საზოგადოებასაც უნდა სხვაფერი ვახვეთო საქმე...
 ღაწისაჲ ქვრივი ჩემს თვალში წარმომადგენელია საზო-
 გადოებისა: ფუჭი, უსამართლო, დამცინავი; ის ესლას
 მოჭყეება მითქმას-მოთქმას და ქვეყნსაც განიმეორებს მის
 ნათქვამს. აი რასაც გთხოვთ: თქვენ, ალვარეს, ამ საღამოს-
 კი მომთხოვეთ განონის ძალით თქვენი ფული სრულად
 და მომთხოვეთ დანიშნულს ვადადე. ეს მე გამაღარი-
 ბებს.

ალვარეს. ეგ ხომ უსინდისობაა ჩემგან.

ლიუმონ. განა თქვენგან ეგ ჰირველი და უგანასკნელი იქ-
 ნებს!

ალვარეს. მეჩე...

ლიუმონ. ნუ თუ გგონიათ რომ ესლას ერთს გროშსაც არის
 დავიწინებ იმ ქონებიდან, რომელიც თქვენით შევიძინე?...
 მე მინდა რომ ესე მოიქცეთ თქვენ. მე მინდა გავლატა-
 დე და გავლატადე თქვენის მიზეზით.

ალვარეს. მე რომ ეგ არ მოვინდომო?...

ლიუმონ. თქვენ ხომ იცით რომ ჩემი სიტყვა ჩემს დღეში არ
 გამიტყუნია... თუ ან ერთი, ან მეორე გადასვალთ ჩემს
 სიტყვას, ჩემს ბძახებს, მაშინ, ჰატოლსნებს გეფიცებით
 ერთს წუთსაც აღარ ვაცოცხლებ ჩემ თავს. მე დავტო-
 ვებ წერილს ანდერძად რომ ქვეყანამ იმით ნამდვილი მი-
 ზეზი შეიტყოს.

ალვარეს. თქვენ გინდათ სინდისზედ სული აძალებინოთ.

ლიუმონ. (წასვლას აპირებს.) გადასწყვიტეთ!

ალვარეს. ავასრულებ თქვენს სიტყვას...

ლიუმონ. ძალიან კარგი. თქვენი ანგარიშები სრულებით გას-
 წორებულია და ამ ერთს საათში ჩაგაბარებენ ფულსა.

თქვენ გი ქალ-ბატონო, მიბძანდით თქვენს მშობლებთან... თქვენ მომთხროვეთ თქვენი მზითუვი და მოიწიროთ რომ არ შეგიძლიანთ სიღარბის ატანა.

მატილდა. ანა, ანა... ეგ ჰატიება ალარ იქნება.

ლიუმონ. მე ჰატიებას რადი ვაშირებ... სხვა-და-სხვა სასჯელში ორივეს უფრო სამარცხვინო ამოგიჩიეთ. სასჯელად უმადურება გქონდეთ თქვენ!

მატილდა. (ნელა.) მერე ჩემი შვილი!

ლიუმონ. თქვენი შვილი? (მსახურს.) დამიძასე უნას. (მსახური გადის.) ჩვენ სამში მხოლოდ მე შემიძლიან ჰატიასანს ქალად გავზარდო. თუმცა აღარაფერი აღარა მაქვს, მაგრამ ვიშრომებ იმიდენს, რომ შეგიძლო იმის გაზდა. ბედნიერებაში კაცი ვაღდებულა იმუშაოს... უბედურებაში კი შრომას გადაყოფებს გულისა.

ჰანა. აი მეც აქა ვარ, მამა.

ლიუმონ. აქ მთა უნა. დედა - შენი მდიდარია, ნათლია შენი მდიდარია, მე კი გაგვარობდი. სომ იცი რა არის სიღარბი?

ჰანა. ვიცი, მამა, როგორ არ ვიცი.

ლიუმონ. რომელთან გინდა იცხოვრო ჩვენ სამში?

ჰანა. შენთან.

ლიუმონ. დედა-შენი მიდის; წაჭყები, თუ აქ დარჩები?

ჰანა. შენთან დარჩები.

ლიუმონ. წადი მოესვიე დედა-შენს. (უნა მივა დედასთან, მოეხვევა, მერე აღვარეზისკენ მიბრუნდება, მაგრამ დედა ხელსა სტაცებს და ლიუმონისკენა ჰკზავნის. აღვარეზ გადის აღელვებული.)
ესლა შეგიძლიანთ თქვენ დედ-მამასთან მიბძანდეთ. (ვა-

ჭილდა გადის.—დიუმონ უნას დაავლებს ხელსა.) გიუგანგარ,
თუ არა?

ჰანა. ძიელ, მამა, ძიელ! დედა ძაღე მოკა, ძაღე გნახავ?

დიუმონ. (უცქერის კარებს, რომელშიაც მატყილდა გავიდა.) კინ
იციხს?!

(დასასრული.)

დედა-მედა.

ღვთისგან გაჩენილს ყოველს სულიერს,
არ-ფესს, თუ ართს-ფესს, სუსტსა, თუ ძლიერს,
ძტურაგს, თუ მიფრინველს, მღილსა მიწიერს,
ფუმიფულას, თუ მწერს, მძრომსა ბიწიერს,
მის-მისდა გვარად ებოძა სმენა,
ებოძა ღვთისგან მათ მათი ენა.

რომელი როგორ ხმარობს ენასა,
როგორ გვამხილებს თვისსა ღხენასა,
ან მწუნსარებას, ჭირს და წყენასა,
ვაებას, ჩივილს, გულის ტკენასა,—
გამგებელია ამისი ზენა,
ვინც გვიწყალობა ჩვენ დედა-ენა...

ეს ვიციით მსოფლად, რომ ღვთის ნებასა,
ვინც კი გადავა, — შეკვსვდეს ვნებასა...
ვერც ვულაატებთ ჩვენ ბუნებასა,
მისსა კანონსა, განჩინებასა...
მაშ რას გვარგია იმისი წყენა,
რომელმაც მოგვცა ჩვენ დედა-ენა?...

მტრედი ვერ შესძლებს კატის ჩხვილსა,
 ბუღბუღი—ურყინს, თევზი—გნავილსა,
 კრავი უმანკო — მეღის ხავილსა,
 გვრიტი—ჭიხვინსა, ბუზი—ბღავილსა!...
 ამ წესსა ვხედავთ ღვთიურსა ჩვენა,
 აქ სჩანს ბუნება და დედა-ენა!...

მიუვარს მე ენა ჩემის მშობლისა,
 რომლითაც «ჩანას» მეტყუადა ისა,
 აღწისს მაგონებს დედისას ისა,
 ჩემის ტოლების ძღერა-ჟღივილსა!...
 ენით ვცოცხალვარ, მით მიუვარს ლხენა,
 მიუვარს სამშობლოს მე დედა-ენა!

ნუ გრცხვენის ძმაო, როცა გაქვს წყენა,
 მშობელს ენაზედ მოთქმა, ცრემლთ-დენა...
 აკვანს და საუღავს ნუ ჭკარგავ შენა,
 თორემ დაწვევლის შენც დედა-ენა!...
 ენით ვცოცხალვარ, მით მიუვარს ლხენა,
 მიუვარს სამშობლოს მე ტუბილი ენა!

თ. რაფ. მრისთავი.

ბადაპარგული მხარე.

(«ხევსურები და ხევსურეთი.» თხზულება დ—რის გ. რადდესი.)

ზემოხსენებულის სათაურით ამ მოკლე ხანში გამოვიდა აღწერა იმ ქართველების ერთ-ერთის ტომისა, რომელნიც აქა-იქ შეჩხირულან კავკასიის მთებში და საქართველს დამტკველი წრე შეუდგენიათ. რა ყოფილა მიზეზი ამ ხალხთაგან ასეთის უგზო-უკვლო, მნელად საცხოვრებელ ალაგების ამორჩევისა: მარტო მტრებისაგან შევიწროება, თუ კიდევ სხვა რომელიმე მიზეზი—გაძი გადწვევტილს ვერას იტყვის, მაგრამ ჩემის აზრით კი უფრო შირველი უნდა ყოფილიყო. რადდეს წიგნში აღწერილ ხევსურებს სხვა ჩვენს «მთიულეებზედა», უფრო გასა-ჭირი ადგილები ამოურჩევიათ საცხოვრებლად: უგზოობისა და დიდის, გძელის, ზამთრების გამო, ისინი თითქოს მოწვევ-ტილნი არიან მთელს ქვეყნიერებას.

ხევსურეთში 50 სოფლაძდეა; თითო სოფელში სამოც-სამოცს კომლზედ მეტია ჭ ასე მჭიდროდ სხვა ჩვენს მთებში მთიულეები არსად არ მოსახლობენ. ხევსურებს სრულის სიწ-მინდით შეუნასავო ჩვენი ქართული ენა; შესანიშნავია მათი სჰარტანულად შეილები აღზდა, მათი სჰარტანულივე ცხოვ-რება, ჰატოლსნება, გულადობა, მათი ახირებული ჩანმა-დასურ-ვა; რომელიც განსაცვიფრებელია და საინტერესოა თვით უცხო კაცისათვისაც და მეტადრე ჩვენ ქართველებისათვის.

ბ. რადდეს წიგნი არის გამოცემული რიგანის სურათებით და კარგა მოზდილია. თუმცა მართალია ამ წიგნში ბევრი ნაკლებუკვანებაა, ნამეტნავად ეტნოგრაფიულის მხრით, მაგრამ, ჩვენსა და სასიწესხვედრად, ჩვენ ისე ცოტად ვინებთ ჩვენს მოძიე მთიულებს და მათ შორის სეკსურებსაც, რომ რაც უნდა ნაკლებად იუოს შედგენილი იმათი ამბავი, რაც უნდა ცოტა იუოს ნათქვამი, მანც უნაყოფოდ არ დაჩება და რადენსამე სარგებლობას მოგვიტანს. ბ. რადდეს სეკსურების ჩვეულება, წესები და ცხოვრება უფრო ბ. რ. ერისთავის წიგნის თანხმად აუწიროს და ამას თითონ ავტორიც არა მალავს; ის ამბობს: «...ზოგიერთი, ე. ი. ეტნოგრაფიული ნაწილი მაქვს ამოკრეფილი ბ. რ. ერისთავის თხზულებიდან, ზოგიც იქ მუთუ ჩინოვნიკებისა და სასულიერო პირთაგან ნამბობი და აღვგობრივ შემოწმებული...» მაგრამ ბ. რადდესთვის, ვერც ბ. რ. ერისთავის თხზულებას, ვერც მღვდელ-ჩინოვნიკობას და ვერც აღვგობრივ შემოწმებას ვერა უშეკლია-რა. ენის უცოდინარობას ბევრი ისეთი რამ უთქმევინებია, რაც სეკსურეთში ან სრულებით არ არის, ან სულ სხვა მნიშვნელობა აქვს. ესეკმ შეცდომილება სჩანს სხვა-და-სხვა ადგილების სახელებში, რომელნიც უწყალოდ არიან დამახინჯებულნი: ამას თითონ ავტორიც გრძნობს და ამბობს:

«...მაგრამ ამ უკანასკნელების ცნობებს» ესე იგი მღვდლებისა და ჩინოვნიკების ნამბობს და ავტორისაგან აღვგობრივ შემოწმებულს, «კაცი სიფთხილით უნდა ენდოს. რომელმა მოგზაურმაც კი არ იცის იმ ადგილის ენა, იმულებულია ცნობის მოსაგროებლად მიმართოს ან სასულიერო წოდების პირთ, ან იქ მომსახურე ჩინოვნიკობას. პირველნი, თუმცა ქართველთაგანნი არიან და ადვილად შეეძლოთ, შეესწავლათ სეკსურე-

ბის წსე და ხასიათი, მაგრამ, როგორც სასულიერო წოდების პირობი, ისინი მარტო მართლმადიდებელ ქრისტიანობის გავრცელებასა ცდილობენ. ჩინოვნიკები კი დიდის გულ-მოდგინებით (?) ეჭვგეიანი თავიანთ სამსახურის მოვალეობას და წასაკვირველას, აწავითაწს ყურადღებას არ ადევნებენ თავიანთ სელში მყოფ-ხალხის ჭკუის მოძრახობას...» თსწ. წადღესი ბპ. 16.

აი სხვათა შორის ამ გვარად ცნობების შეკრების ნაყოფი:

ერთს ადგილს წადღე ამბობს, რომ ხეესურეთში სხვადა-სხვა სოფლები ერთსა და იმავე ადგილს სხვა-და სხვა სსელს აჩქევენ.

ეს მე შემცდაწს აწრად მიმანჩია და ამ გვარში შეცდომას ადვილად აიხსნება, თუ ვიცით, რა გვარად მოგზაურობდა წადღე ხეესურეთში.

წადღე მოგზაურობდა, როგორც ჟუმაღლესის ბძანებითა დანიშნული პირი, თან ასლდა ვიღაცა ჩინოვნიკი გოჭიკვი, ურიადნიკი, ჩათრები და ამ გვარის სვიტით დადიოდა სოფლით სოფლამდე. ხალხი ამ გვარის სტუმრებისაგან ყოველთვის რამე უსიამოვნო ამბავს მოელის და ბ. წადღესაც თავის პატივ-საცემის სვიტით, უეჭველია, ამ გვარს სტუმრად ჩასთვლიდა. თუმცა წადღე არც აწავის იჭერდა, არც არბეკდა და მარტო გადაჭვიდებოდა ხალხს თავისის განუწყვეტელის კითხვა-პასუხით, მანც შეიძლებოდა ხალხსა ჭკონებოდა, ალბად ეს კაცი ლუღების ქვაბებზედ ცნობებსა ჭკრეთს, მათზედაც ბაჟის დაღებას აწირებს, როგორც მაგალითად არყის ქვაბებზედ დაადესო. რა კი ხალხში აღიმკროდა ამ გვარში ეჭვები, ყველას შეეშინდებოდა, აწა წამოგვცდეს-რეო და ვინ იცის, რა

სასკელს ან მოუგონებდენ მთებს, გორაკებს, თუ მდინარეებს, აღონდაც დაუმატიებელი სტუმრები ჩქარა თავიდან მოეშორებინათ. ახლა ამას დაუმატეთ უეჭველი ძალის დატანება ურიანნიკ-ჩაფრებისაგან ცხენებისა და სასკლების შოკინის დროს, რა გვარს უსიამოვნებასედაც ბ. რადდე თავის თხზულების ზოგიერთს ადგილებში გაკვეთით ამბობს და ეს სწულებით სკამარისისა, რომ ხალხი გამოსცლოდა იმათ და ერთი სიტყვაც არ ეთქვა ძართალი.

ის მთარგმნელები და მსლებლები, რომელნიც ბ. რადდეს თანა ჭყავდა მასწრის უფროსისგან იყვნენ დანიშნულნი და ესენიც არა მცირედ შეაფრდნენ ამ ცნობის მოყვარე პირს, და თუმცა ძართალია, თითონაც აფეთსილებს შეითხველს იმათ შემწეობით შეგვრებილს ცნობების შესახებ, მაგრამ აი ერთს ალაგას ეს სიფთხილე თითონ ავტორსაც როგორ თავიდან ასცდენია: რადდე ამბობს:

«...თავად ჩოლასუაშვილმა (მასწრის უფროსმა) ჩვენ გაგვატანა ორი «ეტიკი»,» თუმცა ჭკეითა სჩანს რომ ორზედ მეტნი იყვნენ... ერთს მათგანს ერჭვა გიორგი გოჯიევი და იუოთკითონ მასწრის უფროსის, თ. ჩოლასუაშვილის თარჯიმანი... ამ პატროსანის და გუფ-კეთილის კაცის (ე. ი. გოჯიევის) წარმოსადგენად ისიცა კმარა რომ, სადაც კი მივიდოდით, თუნდა იქ მცხოვრებლებს ცუდი ხმაცა ჭქონოდათ, მაინც ამას (გოჯიევს) «პაპას»(?) უწოდებდენ...» გკერ. 172.

«პაპა», მთის ხალხში ერთი სასკელთაგანი არის და ამ სასკელს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მაგრამ ბ. რადდე ეგრე არ უყურებს საქმეს; ის რაღაცა განსაკუთრებით მნიშვნელობას აძლევს.

«შეკარა», ამბობს ის, რომ ეს უბრალო, უმნიშვნელო

ჩინოვნიკი, რომელსაც ბრწყინვალე და გაუნათლებელ ხალხში ამ სახელს (პაპას) უძახდნენ, უნდა ყოფილიყო ყოველთვის და ყველასათვის პატიოსნების იდეალი; უამისოდ «პაპას» არავინ დაუძახებდა.»

შეძიძიან, დავარწმუნო, ბატონი რადდე, რომ გოჯიკეს „პაპა“ მხოლოდ იმისთვის ქვეყანა, რომ ის სხეებისაგან გასარჩიონ. ამ აზრით შეიძლება იმას „დათუნა“ „ბერდა“ ან კიდევ სხვა სახელი რქმეოდა. ჩვენს მთაში თავის დღეში მაგალითი არა ყოფილა, რომ რომელიმე დირსებისათვის მეტი სახელი დაერქვათ. სახელს „პაპას“ მთაში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და თუ ბ. რადდეს მიუღია რადმე, ამისი მიზეზი ალბად ავტორისაგან რომის პაპის მოგონება ყოფილა. თითონ გოჯიკესაც არ აუხსნია ავტორისთვის ეს შეცდომილება, უკველია, იმ აზრით, რომ ავტორის თვალში აქვია და რამე მნიშვნელობა მიეღო. აი ამისთანა გზის მხეკნებლებისა და საქმის ჭეშმარიტად გადმომცემების ხელში ჩავარდნილი ბ. რადდე მოგვიტანს სხვა-სხვა სახეების, ჩვეულების, ზნესა და ხასიათს. მიუხედავად ბ. რადდეს და კვლევის შედეგებისა-მებრ, გავასწოროთ მისი შეცდომილება.

სხვა-სხვათაგან — შემოერთებული აქვს მუდამ ენოლოგია-ნი მთები, სადაც არც გზა არის, არც კვალი. ზნისუფლობით ეს ადგილები წარმოგვიდგენენ მშვენიერს, გამწვანებულს მთებს, მრავალფეროვან სუნელებს მტენარობით მოფენილს. ზოგან არის ტყეებიც, რომელთაც ხალხი წმინდა ალაგს უძახის, უფოთნილობა და არავის აჩვენებს. ბევრგან გადმოჩნდებიან მშვენიერი ანკარა წყაროები, რომელნიც განკუთვნილებიან ეპისკოპოსებისა. იქვე კიდევ ცაძლის ამართულის კლდეები თით-

ქოს ცუდით იყვნენ ჩამოჭრილნი და მათზედ რძესავით თეთ-
რი ჩანჩქერნი გადმოქანებულან.

ჩინებულა საფხურელი სვესურეთში, მაგრამ ისიც წარმო-
იდგინეთ სამთარი რა უნდა იყოს:

ადრე შემოდგომიდან გვიან გაზაფხულამდე სვესურეთი
თეთრად გადალესილია და ყოველის მხრით საღვსს გზა შეკ-
რული აქვს. ყველგან საყენის სიღრმედ თოვლი წევს; არც
მიმსვლელ-მომსვლელა, არც მგზავრი! წამ-და-უწუმი მოდის
ძირს თოვლის ზვავები, ზოგი ისარსავით განქარებულა, ზო-
გიც ხელი, წყნარი! მთელი სამთარი უსაქმურად უნდა ისხდენ
და ისე ატარებდენ სვესურები თავიანთ დღეებს; ათასში ერთ-
სელ „მზორისკენ“ (მზის მხარე) თუ წავა ვინმე „ნადირობ“
(ჰინზობ) და იმით გაირობს სვედიანს გულს, თორემ სხვა
დროს გატარებს ვინ აღირსებს. ყინვა და სიცივე, ბ. რადღეს
სიტყვებით, რცხ გრადუსამდე აღის, მაგრამ ვკონებ ზოგან
ბევრად მეტი უნდა იყოს, რადგანაც ზოგიერთი სოფლები
ექვსი ათასი ჭურტზედ მალაა დგანან, მაგალითად — „გურა“
6,500 ჭურტის სიმაღლეზედ არის.

სვესურეთის სიმაღლეზედ, ბ. რადღე ამბობს, რომ დი-
დად ღარიბი არისა და ქერიც კი ერთი-ხუთს მეტს ვერ ამ-
ლევსა. არ ვიცი, ვის სიტყვებზედ აფუძნებს ამ გამოკვლევას
ავტორი, მაგრამ ეს კი საწმენდა, რომ მთის მამულებში სა-
ზოგადოდ და სვესურეთშიაც, რაც კი მოდის, ბლამად მო-
დის. მართლაც, იქ სხვა-და-სხვა მოსავალი არ იცის: სვესუ-
რეთში ვატი ვერ მოიყვანს სთლურს, სიმინდს, საწამთროს,
ნესვს, ყურძენს და სხვა ამ გვარ უფრო თბილის მხრის მცენ-
არეებს, მაგრამ იქ მოდის მშვენიერი დიკა, სვილი, შერია,
ქერი და თითქმის ყველა ფეხის მოსავალი. სვესურეთში, მარ-

თავის სენა-თესვას არ მისდევს და ბ. რადღე ვერა ნახავდა გაბმულ გუთნეულებს და ურმეულებს, მაგრამ ეს არ არის საბუთი მიწის სიღარიბისა; ხალხს რომ მდიდარს მიწასევე არაფერი მოჭყავდეს, მიწისა რა ბრალის! სვესურების სიღარიბის მიზეზი მიწა კი არ არის, იმათი დაუდევნელობა და გზის უქონლობაა. მომეტებული მოსავალიც რომ მოუვიდოდეს ვისმე, გასაუიდად ვერსად გაიტანს და უსარგებლოდ დაჩნება. ამას გარდა სვესურეთში არის მდიდარი საზაფხულო საძოვრები, რომელიც ქონად აჭტევს საქონელს და რძის სიმსუქნესა და ღვინისობას სომ ბარის ხალხს ვერც კი წარმოიდგენს. ამ გვარს მდგომარეობაში ჩავარდნილი ხალხი, რასაკვირველია, უფრო საქონლის მოკლას მიჭყოფს ხელს, ვიდრე მიწის მუშაობას და სხვათა შორის ეს უნდა იყოს მიზეზი, რომ რადღეს სვესურეთის მიწა ღარიბ, მოუსავლიან მიწად სჩვენება.

ყოველს მოგზაურს სვესურეთში, გააკვირვებს ამ ხალხის დაუდევნელობა, საჭმელ-სასმელისა და შინა მორთულობის სიღარიბე. სვესური არა სჭამს გაცრილს წმინდა ჰურს, ის იმას „ქრისტეს ჰურს ეძახის“ და ამ სიტყვებს ღვთიური მნიშვნელობა კი არა აქვს, არა, სვესურის აწრით იმას კაცის განაზება შეუძლიან და ეს დიდი წინააღმდეგია მათის სპარტანულის ჩვეულებისა. რადღე კი ამ შემთხვევას მარტო ხალხისა და მიწის სიღარიბეს აბრალებს. თან ესეც უკვირს რომ სვესურებს ისე ცოტა საქონელი ჭყავთ, მაშინ, როდესაც იმის მეზობელ თუშებს, ფშავებს და მოხვევებს კი დიდ-ძალი ფარები და ჯოგები გაუჩენიათ. ბოლოს თითონვე ჭმურობობს ამის მიზეზს, „სვესურეთში იმდენს თივას ვერ აგროვებენ, რომ გძელსა და ცივს წამთრებში დიდი საქონლის გამოკვება შეიძლებოდ.“

რამდენიმე ნემეცური სიტყვა მანც, ან ადგილების სახელები
 არ დაწინილიყო ხალხში, როგორც მაგალითსაც ვხედავთ
 ოსებში. მანც ზისერმანის თხზულება ხეკსურებზედ უმნიშ-
 ვნელაა, რადგან იგი ისეთის კაცის ნაწერია, რომელსაც, თუ
 არ თავის ხალხში, სხვებში სიკეთე ვერა დაუნახავს-რა. არც
 რადღე გვიხსნის რასმეს თავის სიფთხილით. დაწა ბ. რ. ერის-
 თავი, რომელსაც რადენადმე უნდა დავეთანხმეთ, მაგრამ
 სრულებით კი არა. მე ზევეთვე ვთქვი, რომ უწინ ქისტები ზ
 ხეკსურები ერთმანერთს ქალს აძლევდენ და მოჴკრდებოდენ
 მეთქი; მაშასადამე ხეკსურების სისხლში ქისტების სისხლიც
 უნდა იყოს გარეული, მაგრამ რაც კი შეეხება ოსებს, იმათ
 არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ ხეკსურებთან და ისე
 მოშორებულნი არიან, რომ ვერც კი მოსვდებიან ხალხე მათ
 მხარეს. ხეკსურებს გარს ახვევიათ ქისტები, ფშაველები, თუ-
 შები, გუდამაყრელები (მთიულები) და მოხევეები. აშკარაა, რომ
 ამ ხალხებთან უნდა ჰქონოდათ ხეკსურებს დამოკიდებულება,
 როგორც მეზობლებთან და არა შორეულ ოსებთან. ესლაც კი-
 დევ იზოვით გახეკსურებულ ქისტებს, ქისტურის გვარით, რომ-
 ელნიც სისხლს გამოქცვიან და იქ შესიზნებიან. შეხვდებით
 ათასში ვრთს ქისტურს სიტყვებს, სახელებს, მაგრამ ოსური
 არც გვარი, არც სახელები, არც სიტყვები არ მოიძეება ხეკ-
 სურებში; ხეკსურები სწორედ ქართველთა გვარ-ტომობას უნ-
 და ეუთუნოდენ და ეს მტკიცდება სხვათა შორის იმით, რომ
 მათ შორის ქართული ენა სრულის სიწმინდით შესხულა. მთე-
 ბისა, სოფლებისა და მდინარეებისათვის დაურქმევიათ ხეკსურ-
 რებს იმისთანა სახელები, რომელთაც მნიშვნელობა მარტო
 ქართულს ენაზედა აქვთ. მაგალითად: «ყაყახოს თავი», «ზემო
 უბანი», «კვირა-წმინდა», «ხახმეტი», (მეტი ხახა, ნაკადულის

კვლად.) «გორბანი». აი კაცის სახელებიც: „მასია,“ „ნათელა,“ „დათვიან,“ „ზაზა,“ „ბერია,“ „ვეფხვია;“ წყლების სახელები: „დათვის სევი,“ „უკანსე“ (უკანა სევი), «ოხერსევი», «გუდანის-სევი» და სხვა.

ბ. რადდეს, რომ შემწედ ქართულ ენის კარგი მცოდნე მიეწვია ამ ადგილებში, მაშინ თავის შრომას ბევრად უფრო გაიადვილებდა და თავის აზრს უფრო გაბედვით წარმოსთქვამდა. მაშინ იმის სჯასაც უფრო მტკიცე საფუძველი ექნებოდა და იმისი შრომაც იქნებოდა ფრთად გამოსაყენებელი.

მომეტებული წილი ხეკსურებისა არიან შუა-ტანისა, ჩასხმულნი და მხარ-ბეჭიანნი; არიან პირ-ხმელნი, მუდამ წვერ-მონაწილნი და სახეზედ დაჭრილობის ნიშნები ეტყობათ; სიარულით თითქო უსერსულად დადიან, მაგრამ რა კი მთის ბილიკებს შეუდგებიან და შესვლების სასტომ ალაგებს, განციფრებენ ადამიანს თავიანთ სიძარდით და მოუღალაობით.

ხეკსურები არიან ამაყნი, ლაპარაკობენ მკაცრად და მოკლედ; თვალები აქვთ დიდრონი, მაგრამ მუდამ მოხუჭული, რადგან მზის შუქის თოვლზედ ბჭევრიალს ვერ უძლებენ. ეს უნდა იყოს მიზეზი, რომ ხეკსურების შემოხედვა უფრო, ბევრას ემზგაკსება. ხეკსურების ყმაწვილ-ქალებზედ ეს არ ითქმის. იმათ ხშირად ისეთივე კეკლური შესვლულობა აქვთ, როგორც საუკეთესო სახლებში განდილებს.

როგორც საზოგადოდ ქართველები, რომელთათვისაც კი სხვა-და-სხვა ტომების დახლოებას ვერ მოუსწვრია გარეენილობის დაღის დასმა, ხეკსურები არიან გულ-წრფელები, პატიოსნები და სტუმრის მოყვარულნი. არას დროს ისინი თავის სიტყვას არ გადავლენ და ვისაც ერთ-ხელ მიუწად ხელს გაუშეკრენ, აღარ უღალატებენ სიკვდილამდის; ვისაც ტყუილს

გაუცვლან, ან ძმად გაეფიცებიან*) ან დაიშვილდებიან**), მისთვის მზად არიან თავ-განწირვით ყოველ განსაცდელს მიეცნენ. ამ გვარადვე ექცვიან სტუმარს, რომლისათვისაც კარები მიუღამ ღია აქვთ და სოფელში რომ შესვიდეთ, პირველის შემხვედრის კითხვა არის: «მასწინძელ გყავს?» და თუ არა გყავთ, თუნდა არც გიცნობდეთ, მაინც წაგიძღვებთ, თავის სახლში მიგიყვანთ და მოგიდუღებთ ხავიწს, რომელიც საპატრიოსაჰმლად ითვლება.

ხევისურები წინაღვანვე მართლ-მადიდებელ საწმუნოებისანი ყოფილან, მაგრამ დროთა-ვითარებას და საქართველეს-გან მოშორებას რაოდენადღე შეურყევია ეს საწმუნოება და ზოგიერთი მკვდიანთა წესები, როგორც მაგ. ჰარასკევის უქმობა შემოუღებინებია. რადგანაც იქ ხაურთხი, წიგნის მცოდნე ძღვდელები არა ყოფილან, თავიანთგანვე ამოურჩევიათ დეკანოზები და სუტესები, რომელნიც თავისებურადა ნათლამდენ და აქორწინებდენ ხევისურებს. ჩვენ საკვირვლად უნდა გვაჩვენოს, როგორ ასერსებს ეს ხალხი ჭკარ-დაუწერლად მშვიდობიანს ცხოვრებას, როგორ იცავს პატრიოსებას, მაშინ, როდესაც განათლებულს ქვეყნებში ცოლ-ქმრობის დასაცავად სასტიკი განონებია დადგენილი. მაგრამ, როგორც ეტყობა პა-

*) ძმად გაფიცების წესი ეს არის: გამფიცველები არაყით ან რძით სავსე თასში ვერცხლს ჩასჭრიან და ის თასი ფიცით უნდა დასცალონ ორივე ახლად დაპობილებულებმა. მერე დაჰკლავენ საკლავს და მოწყებს პურს აჭმევენ.

**) შვილად მოსაკიდებლად ყმაწვილმა - კაცმა უნდა ამოირჩიოს სახლის უფროსი დედა-კაცი და მუჟზედ კბილი დაადგას. რასაკვირველია, აქაც დამსწრენი უნდა იყვნენ, რომელთაც პურს აჭმევენ. ამ დღიდან შვილობილი მთელის გვარეულობისგან ნათესავად მიიღება.

ტიოსნების დაცვა უფრო თვითონ ხალხის ზნესა და ხასიათ-
ზედ უფიქრად დამოკიდებული და არა კანონების სიმკაცრე-
ზედ. ხევისურებში ცოლ-ქმარს შეუძლიან ერთმანერთს თავი
დაანებოს და ამას წინ კერავინ აღუდგება, თუმცა ამორჩეული
ბჭეები გადასდევნიბენ დამნაშავეს. ეს გადასდევნიბებაც მოქ-
მედობს ხალხზედ, მაგრამ ისე არა, როგორც სინდსვილი
ერთმანერთის შეუფერებლობისა და ის შიში, რომ იქნება მე-
ორედ ქალი აღარავინ მისცეს იმას, ვინც ერთსულ ვერ მოა-
ხერხა ცოლთან მშვიდობიანი ცხოვრება.

რას კი ცოლ-ქმარს ადვილად გაურის ნება აქვს, ბ. რად-
დეს ჭკონებია, რომ ქმარს გადაუხდევინებლად შეუძლიან გააგ-
დოს თავისი ცოლი და ამ გვარად რამდენიც უნდა ცოლი გა-
მოიცვალოს. თუმცა ეს ნება, მართალია აქვთ ხევისურებს, მაგ-
რამ შემოხსენებულის მიზეზების გამო ძვირად მოხდება ხალ-
მე გაყრა, და თუ მოხდა როდისმე, დამნაშავემ, ისეთი გადა-
სახადი უნდა გადაიხადოს, რომ ადვილად ვერ აუკა.

ნიშნობა ხევისურეთში, უფრო ქალისა და კაცის სურვი-
ლით, ძალ-დაუტანებელიც მოხდება ხალმე, თუმცა ზოგიერთ
შემთხვევაში დედ-მამა აკვანშივე ნიშნავს; მაგრამ ქალს ძვი-
რად გაათხოვებენ რაც წელიწადზედ ადრე და ამ ხანში საქ-
მროსაც და საძმლოსაც ნება აქვთ მოშალონ ამ გვარი ნიშ-
ნობა. ყველა ჩვენის მთის ხალხისაგან, ხევისურები ერთის ჩვე-
ულებით გაირჩვიან და ეს ჩვეულება ურვათის მიუტემლობა
არის, ე. ი. ხევისურეთში საქმრო არ აძლევს ქალის პატრო-
ნებს ქალის ფასს. ჯვარის-წერა უცერემონიოდ, ადვილად, მოხ-
დება ხალმე. ხევისურის მღვდელი (სურცასი), რომელიც ნაკურ-
თსი არ არის, პატარძლის სახლში, შავის ნაკურთით მეფე-დე-
დოვალს ერთმანერთს მიაგებებს, დაილოცება სავისგანვე მო-

გონილის სიტყვებით, აკურთხებს სუფრას, რომელიც სტუმრებისათვის არის მომზადებული და ამითი გათავდება სვესურების ჯვარის-წილა.

როგორც თითქმის მთელის დედა-მიწის ზურგზედ, ისე სვესურეთშიაც, კაცს მეტი უფლება აქვს, ვიდრე ქალს, მაგრამ ეს ჩვეულება სვესურეთში უფრო თავლ-სახინოა, რადგან თითქმის ყველა შინა-საქმე, ქალსა აქვს თავს მოხვეული. ეს მოვლენაც ადვილად ასახსნელია. კაცი მუდამ მტერს უნდა იგერებდეს, და თავის სახლობას იფარავდეს; იმას არა სცალიან შინაურს საქმესაც გულ-მსურვალედ მოეკიდოს.

ქალების საქმე არის კერვა, ჭრა, ქსოვა შაღებისა, მკა, ხანდისხან ნამგლით თიბა, თივის მოტანა ზურგით, საჭმელუბის კეთება და ჰურის ცხობა. ამას ყველას ჰატარაობიდანვე სწავლობენ და იმათ შორის ისეთი არავინ არის, ეს საქმეები არ იცოდეს. კაცები კი, ხუნენ, სთიბაკენ ცელით, მკაში შველიან დედა-კაცებს, დადიან სანადიროდ და იფარვენ თავიანთ სახლობას გარეულისა და შინაურის მტრისაგან.

სვესურეთში არის კიდევ ერთი ჩვეულება, რომელიც გაიჩნევა სხვა ხალხის ჩვეულებათაგან. ეს არის, მშობიარეს ცალკე გაყვანა, სოფლის მოშორებით გაკეთებულს სახლში, რომელსაც „სახესი“ ჰქვია. აი რას ამბობს რადდე ამასზედ:

„...ოჩსული ქალი, როგორც კი შეიძლება, ძალაგს თავის მდგომარეობას, და რომელსაც დათვარვა შეუძლებელი ხდება, სხვა დედა-კაცები გაიყვანენ სოფლიდან ერთს, ორს ვერსზედ, იქ გაუკეთებენ ჩაღურს ზ დაწვენენ; თითონ მამინვე მოშორდებიან... წარმოიდგინოს მკითხველმა მშობიარეს მდგომარეობა იმისთანა ადგილებში, რომელნიც 7000 ჭურტის სიმაღ-

ლეზედ არიან და სიდაც წამთრის ღამეებში ეინვა 20 გრადუ-
სამდე ადის...“ გვ. 75.

თუმცა ეინვა უფრო ბევრად ძლიერია, ვიდრე რადდე ამ-
ბობს, მშობიარესთან მოქცევაც მეტად კელურია, მაგრამ ხეკ-
სურეთში ისეთი მსუბუქი მშობიარეობა იცინა, რომ ჩვენი გა-
ნახებულნი ქალები თავის დღეში ვერც კი წამოიდგენენ. თუ
მშობიარეს ძალიან გაუძნელდა შვილის ყოლა, კაცები მიეზა-
რებიან იმ „სახესს“, რომელშიც ავად-მყოფი ქვეყნის, თათრის
სრულით ამინებენ დასუსტებულს ავად-მყოფს და ამ საშუა-
ლებით ვითომ უადვილებენ შვილის ყოლას. ვიდრე მელოგი-
ნი საჩხეშია, ჰატარა გოგოები უზიდვენ საჭმელ-სასმელს და
სარკმლიდან აწოდებენ. შვილის ყოლის შემდეგ, დედა-კაცი
უწმინდურად ითვლებს იმ დრომდე, ვიდრე არ იბანებს. უწ-
მინდურადვე მიანინათ მენსტრუაციაში (რიგში) მდგომი ქალი
და მხოლოდ გაბანვის შემდეგ ჩსთვლიან ხოლქუ გაწმენდი-
ლად.

ახლად დაბადებული, თუ ვაჟია, მამა ძეობასა მართავს და
ასმევს მეზობლებს ლუღსა და არაყს, რომელსაც თითონვე
ხდიან, და თუ ქალია, იმას კი ძეობას არავინ აღიარებს.

ბავშვის მოსანათლავად ეხლა ყოველთვის ნაკურთხს მღვდელს
მოიწვევენ ხოლმე, რადგან ამას ქრისტიანობის გამაგრებელად
საზოგადოებისაგან დანიშნული მღვდლები სასტიკად თვალ-
ყურს ადევნებენ. თუმცა ნათლობის დროს ქრისტიანულს სა-
ხელებს არქმევენ ბავშვებს, მაგრამ ხეკსურები სხვა მთის ხალ-
ხსავეთ, ამ სახელს არ აკვრებენ, მეტს სახელს უძახიან და ამ
მეტო-სახელით უფრო იცნობენ ერთმანეთს, ვიდრე ნათლო-
ბის სახელებით.

სვესურების უშვილობას უკედ რადღე ამბობს:

„სვესურები გვიან ქორწილდებიან წინაღუე ნათქვამის მიზეზით და ესევე მიზეზი გვიხსნის იმათს უნაყოფობას; ძნელად შესვდებით სახლობაში ორს-სამ ბავშვს უკედ მეტსა. ცნობილია, რომ უწინდელ დროში სკანებში ჭხრცაგდენ ზოგიერთს თავიანთ ახალ-დაბადებულ ქალებს და ასე მოქმედობდენ იმ მიზეზით, რომ უშინოდათ, მეტად არ გამრავლებულიყვნენ და ცხორება სამძიმოდ არ გაჭნოდომოდათ. ეგვე შეიძლება ვთქვათ სვესურთ ქვეყანას უკედ.“

„ამიტომაც,“ განაგრძობს ბ. რადღე, „სვესურებში, დიდ სირცხვილად მიანჩნათ, თუ შვილი ქორწინების შემდეგ ოთხის წლის წინად გაუჩნდათ... და რომ ამ ოთხის წლის განმავლობაში შვილი არ ეყოლოთ, „ჩასასხვისთვის შეერთებას“ ბოლომდის არ ათავებენ...“ 79—80 გვერ.

თითონ ამ სიტყვებიდანვე მტკიცდება ზოგიერთ ცნობებს რა მსუბუქად მოჭკიდებია ბ. რადღე. ვინ უამბობდა ასე დაწვრილებულს ამბავს ცოლ-ქმართ საიდუმლო ცხორებებიდან. თითონ სვესურები არ უამბობდენ, სასულაიერო წოდების ჰინთ, მღვდლებს არ ეცოდინებოდათ და ჩინოვნიკების სიტყვას უკედ დანდობა კი, თითონ რადღე ამბობს, ძნელიაო.

მე ათასჯერ მქონია შემთხვევა ამ ხალხის ჩვეულების შეტყობისა, მქონია ხშირი მისვლა-მოსვლა, მაგრამ სრულიად არაფერი გამიგონია მაგ-გვარ ჩვეულებას უკედ.

ბევრი ბავშვები ერთად რადღეს იმიტომ არ უნახავს, რომ ჭკარის-წერის შემდეგ, ცოლ-ქმარი ცალკე გადის და ცალკე მეკომურს შეადგენს; სხვა მთის ხალხში კი ბევრჯერ მესამე თაობაც არ იყრება და ერთად სცხორებობენ. რასა-

ახალი წიგნები.

დავითიანი, თქმული გურამიშვილის დავითისაგან, გამოცემული გიორგი ზაღიაკლანისაგან, პეტრე უმიკაშვილის რედაქტორობით. თბილისი, 1881 წ.

კერ ვიტყვით, წიგნები ცოტა გვაქვს; ქართულ ენაზე ბევრი წიგნები იბეჭდება, მაგრამ ზოგი ისეთი წიგნია, რომ შეუძლიან მკითხველს ქართული ენა მიაძულოს და ქართული მწერლობა. რასაკვირველია, ამ გვარ წიგნთ რიცხვში არ ჩათვლება „დავითიანი.“

ეს თხზულება ძვირ-ფასი უნდა იყოს ყოველ ქართველსათვის ისტორიის მხრით. ჩვენდა საუბედუროდ ჯერ არავინ გვყავს ქართულ ისტორიის კარგი მცოდნე, რომელსაც შეეძლოს მონოგრაფიების წერა და ჩვენი გაცნობა ჩვენს წარსულ ცხოვრებასთან. ისტორიული თხზულებები არა გვაქვს და მეტი ღონე არ არის, ჩვენი ისტორია უნდა ძველის წიგნებიდან ამოვიკითხოთ. „დავითიანი“ ამ მხრივ უმნიშვნელო არ უნდა იყოს, რადგან დ. გურამიშვილს მიუღია მონაწილეობა თავის დროინდელ პოლიტიკურ ცხოვრებაში და ამას გარდა სშირად გამოსთქვავს თავის თანამედროვეთა მოთხოვნილებას.

„დავითიანის“ კითხვა დიდად ასიამოვნებს მკითხველებს ლიტერატურულ მხრითაც. ის არის დაწერილი უბრალო სწავლას ენით, მსუბუქ, საამო-სმოვან ლექსით და ზოგჯერ

ნამდვილ პოეტურის ნიჭით. თუმცა ხან-და-ხან ეტეობა გადაჭარბებული წყალ-წყალაობა და რეტორიკა, მაგრამ ეს ავიწყლებს მკითხველს, რადგან მთელს წიგნს გულ-წრფელობისა და ჭკუის ნიშანი აქვს.

„დავითანის“ აზრი ანუ ტენდენცია, რასაკვირველია, არ მოეწონება ესლანდელს ქართულს, რადგან ესლანდელი მონაწილეა და სხეულის გადაჭარბებული დამონება, რომელსაც ქადაგებს პოეტი, ყველას სასაცილოდ და უსარგებლოდ მიანჩნია. ესლანდელი იდეალი გვაქვს, სხვა სენი გავწუხებთ. მაგრამ, როგორც ზემოდა ვთქვით, ეს ტენდენციაც ყურადღების ღირსია, როგორც მასალა ჩვენის მწერლობის ისტორიისათვის.

მეტად შესანიშნავია ის შრომა და ცდა, რომელნიც უმძაზრესად გამოძიებულს და რედაქტირეს.

წიგნი დაბეჭდილია თვით ავტორის ხელ-ნაწერიდან და მასშია მოქცეული ყოველი იმისა ნაწერი: რელიგიურის სასიათით: (მაგალ. „ჟვარცმის ამბავი“, „ტირილი ღვთის-მშობლისა“, „ღვთის-მშობლის მიცვალების დღის შესხმა“, და სამღთის ისტორიიდან აღებული ეპიზოდები ლექსად მოთხრობილნი. ამათ შორის დიდი ადგილი უჭირავს გალექსილსავე რელიგიურ დარბევას.) ისტორიულის ხასიათით (უმეტეს ნაწილად აღწერილია საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა მე-XVIII საუკუნეში, როცა მეფე ვახტანგი მივიდა მოსკოვს) და წმინდა ლიტერატურულის ხასიათით („მხარული ზაფხული“ ანუ როგორც ხალხში უწოდებენ „ქატვია მწუქსია“, ლექსადვე თქმული მოთხრობა, რომელშიაც ყველანაე მეტად სწინს გუჩამიშვილის პოეტური ნიჭი.)

თხზულებას მიუძღვის პეტრე უმიკაშვილის წინა-სიტ-

უკაობა, სადაც მოკლედ ნაამბობია ავტორის ცხოვრება, იმისი ნაწილის, შინაარსი და გამოთქმულია რამდენიმე კრიტიკული შენიშვნა. წიგნი დაბეჭდილია კარგ ქაღალდზე, ცოტა კორექტიურულ შეცდომებით, სუფთად. ფასი დანიშნულია ზომიერი; წიგნი 342 შუა-ზომის გვერდით ღირს ერთ მანათად.

თუ ყველა შესანიშნავი ძველი ქართული თხზულება დაიბეჭდება ასე კეთილ-სინიდისიანად, იმედი უნდა კიქონიოთ, ძველი დროს შესწავლა გაადვილდება და იქნება აღმოჩნდეს იმისთანა პირი, რომელმაც გაჭბედოს ახალ გზაზე დადგომას — ჩვენის წარსულის მეცნიერულად გაცნობა...

აქ ასე მოკლედ ვლამარჯობთ გურამიშვილის ნაწერზე, იმიტომ რომ იმედი გვაქვს, „ივერიაში“ გარჩეული იქნება უფრო დაწვრილებით ცალკე სტატიები.

ამჟამად სავსე „ივერიაში“ იყო დაბეჭდილი ორი სტატია, (იხ. „ივერია“, 1880 წ. № 1, 2) და ორიოდ შენიშვნაც არის დაწვრილი გიორგი წერეთლისაგან, რომელმაც ამათის წლის წინადა გამოცემა თავის წინა-სიტყვაობით პირველი ნაწილი „დავითიანისა“.

ემსწვილი და ფრინველნი, თხზულება თავადის ს. გ. ტუ-სიშვილისა. თბილისი. 1881.

არა მგონია, მკითხველი ისეთი უწყალო იყოს, რომ მოგუთხოვოს ამ წიგნის შინაარსის გადაცემა. თუ მანინცა-დამანინცა არ დაიშლით და ანგარიშს მოგუთხოვთ; უნდა გავიტყუდეთ, რომ თუმცა გულ-მოდგინედ წავიკითხეთ თავიდან ბოლომდე ეს „გალექილი“ თხზულება თავადი ს. გ. ტუსიშვილისა, მაგრამ გავებით კი ვერა გავიგებთ-რას.

მხალღად ერთი წამ შესანიშნავი ამოგანინეთ თავად ტუსიშვილის თხზულებაში. ქართულ ლექსთ-წყობაში სრულყოფილით საჭირო არა ყოფილა, რომ მარცვლების რიცხვი სტრიქონებში თანასწორი იყოს, ან სიმეტრიით განწყობილი. ახა წაიკითხეთ ეს ხანა თავად ტუსიშვილის თხზულებისა და მიბძანეთ, რითი ჩამოუვარდება ეს ლექსი ჩვენის გამომჩენილის პოეტების ლექსებს, რომელშიაც მარცვალთ რიცხვი სტრიქონებში ერთი-და იგივეა:

«რა ქნას სუმბულმა

«როს ეშით თრთოდეს,

«საჯრფო არ უჩნდეს, მაგრამ

«მოდით,» მწარს გაჰკიდოს!»

ჩვენც დავსვათ გაგვიჩვენის ნიშანი და მადლობა მოვასხენოთ თავად ტუსიშვილს ამ გვარის ახალის განონის ამოჩენისათვის!

„იქედის“ ბელეტრისტიკა.

(«შემთხვევის მსხვერპლნი», თხზ. გ. ჭრულაშვილისა — «იმედი» პირველი წიგნი. «მარტიახთ პაპა» მოთხ. შაქროსი — «იმედი» მეორე წიგნი.)

დღეს ჩვენ გვინდა მივაქციოთ მკითხველების ყურადღება რას მოთხრობას, რომელნიც „იმედი“ არიან დაბეჭდილნი და რაიმადე სიტყვა ვთქვათ მათზედ, რადგან ჩვენში ჯერ ბევრს არ ესმის, რა არის მოთხრობა და რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მას; ბევრს იმისთანსაც კი არ ესმის ესა, რომელსაც კალამი აუღია და „მოთხრობის“ წერისათვის მიუყვია ხელი.

ჩვენ მიუთვარებლად, მოკრიდებით შეენიშნავთ ნაკლულეკანებს ამ მოთხრობებისას და მათს ღიკსებას. მოკრიდება და სიფთხილე მეტადრე საჭიროა ახალ-გაზდა მწერლების გასარჩევად. ახალ-გაზდა მწერალი წმინდა სანთელსავით იგრიდება და უკველივე სიტყვა მოქმედობს მასზედ. თუ უბეჭმბ და დაუდევარმა სიტყვამ ცუდად იმოქმედა და ერთს მხარეს მიჭვრისა, მასუგან ბევრი ცდაა საჭირო, ბევრი თბილი სიტყვა, რომ ხელ-მეორედ შეთბეს იგი და სხვა სახე, სხვა ხასიათი მიიღოს.

პირველი მოთხრობა— „შემთხვევის მსხვერპლნი“ მადლს სდგას მეორეზედ უფრო იმითი რომ თავიდან ბოლომდე ერთიანი აზრია გაყვანილი, თავიდან ბოლომდე ერთს ამბავს მისდევს და სხვა-და-სხვა გარემოებანი არ უშლიან ხელს ავტორს, არ ეხსიჩბიან შიგ შუა მოთხრობაში.

ჭკრივი ეფემია ზდის ორს თავის ვაჟი-შვილს, დაჭნარის მათ და ცდილობს ოჯახს უკაცობა არ დაეტყოს. დილიდან სადამომდე შრომობს, ხან ცხენზედ ჯდება, და საერთო მამულების განაწილებაში ესწრება (ეს ამბავი ქიზიყის ცხოვრებიდან არის), ხან მეგლეფავ სომიებს სახლში არ უშვებს ჭკალადამაც კი ფიწლით უგან გამოუდგება და „სულ კუდით ჭკას აერეთინებს.“

ოჯახი ფეხზედ არის დაყენებული, შვილებიც წამოესწრენ ეფემიას; აა უფროსის დაქორწილებას აპირებს; დანიშნა კიდევ ერთს მეზობლის ქალს— თამარზედ, მაგრამ ახლად დანიშნული შვილი ეფემიასი— სანდრო, ლეკებში მიდის ჰუტის საყიდლად, რადგან ახლო-მახლო ჰურია არსად იყო. იყიდა ხორბალი, წაიღო წისქვილში დასაფქვავად. იქ ლეკებთან ჩსუ-

ბი მოუვიდა, რადგან უნდოდა ძალაობით სხვებსედა ჩქარა და-
ეგქვა. ამ ჩსუბში მოჭკლეს ეფემიას უფროსი ვაჟი,

რასაკვირველია, ბევრი იწუსეს, ეფემიამაც, თამარმაც;
მაგრამ უფრო უარესი უბედურება დაემართათ კიდევ. ეფემიას
მეორე ვაჟს, გიგას, ცხვრის წველის დროს, რადგან ბოლძა წა-
მოუარა ჭ თან გადიტანა ორი კვირის ავად-მყოფობის შემდეგ.

ესა კი ველარ აიტანა დედამ მწუნარება:

«შემოირცყა ორივე ხელებით თავში და გადაეხვია თამარს; თამარ-
მაც გადასდო ეფემიას ხელი და შესტირეს ორივემ ერთმანერთს; რძალ-
დედამთილი მეტის მწუნარების გამო შესცდნენ ჭკვიდან და დარჩნენ
სამუდამოთ ხელ-გადანვეულები.

«დღესაც ეფემია და თამარი ხელგადანვეულები დადიან საფლა-
ვებსედა და უტირებენ ერთმანერთს: «ვაიმე სანდრო და გიგაო!»»

ეს არის მოკლედი შინაარსი ამ მოთხრობისა. თუ წაი-
კითხვენ რასმე უიმედის“ პირველს წიგნში, ისევ ამ მოთხრო-
ბას წაიკითხვენ და ბევრმა იქნება ეს დარბეგბაც გამოიყვანოს
ამ მოთხრობიდამ, რომ კაცი რაც უნდა ეცადოს და იმხნეოს,
მანც ეს წუთის-სოფელი ფუჭი და დაუდგრომელია და კაცს
სიკეთე არა დაეყრება-რალ.

ჩვენ ბევრს არას ვიტყვით ამ მოთხრობის დასასრულის
შეუფერებლობასედა: იმასედა, თუ როგორ სარძლოს, ქმრის
სიკვდილის შემდეგ არა დაუშავდა-რა და მასლის შემდეგ კი
ჭკუასედა შესცდა; როგორ რძალ-დედამთილი სამუდამოდ ხელ-
გადანვეულები დარჩნენ. ეს ბოლო ალბად კორექტიურის შეც-
დომას და იქნება „იმედის“ მესამე წიგნში ეს შეცდომაც
გასწორონ, როგორც მეორე წიგნში „თუკი“ გასწორეს
(იხილეთ „იმედი“ მეორე წიგნი, გვ. 164.) შესანიშნავი უფ-
რო ეს არის: რას ემართლებოდა ავტორი ეფემიას შვილებს
და რისთვის დაჭხრცა ისინი? ან მხნე და შვილებისათვის თავ-

გადადებული დედა რად დასტანჯა ისე უწყალოდ? მართალია ლეკებში ჩხუბიც მოხდება ხოლმე, ხანდისხან კაციცა კვდება; ხან ბოლმაც წამოუგელის ადამიანს, მაგრამ ეს ისეთი განსაკუთრებული შემთხვევაა, რომ ამის საზოგადო მოკვლენად ჩათვლას, ამის განზოგადება დიდი შეცდომაა ავტორისა. ჩვენ იმის მიმდევარნი არა ვართ, რომ მოთხრობა უეჭველად დარჩებას უნდა აძლევედეს და იმის მაგალითს უჩვენებდეს, რომ მხნე ადამიანს უოკულებთის მისი შრომის სამაგიერო მოელის, მაგრამ როგორ არ ვთქვით რომ ცხოვრებაში უფრო ასე ხდება, როდესაც მხნე და ზარმაცი ერთსა და იმავე პირობაში არიან, და მოთხრობაც, თუ ის ნამდვილი სარკვეა ცხოვრებისა, ამ გვარს მოკვლენას უნდა გვიხატავდეს თვალწინ.

ერთის სიტყვით ლამაზად იწუხობა გიორგი ჭრელაშვილის მოთხრობა, ცოცხალის, მარტივის ენითაც არის ნაამბობი, არც უადგილო გადახვევ-გადმოხვევაა, მაგრამ ბოლო კი ისეთი აქვს, რომ სრულებითა ჰქრება მისი კარგი შთაბეჭდილება.

უსაფუძვლოდ არ დავამჯობინეთ პირველი მოთხრობა მერეს—„მარტიანთ ზაპას“: ასე გაშინჯეთ, ამ უკანასკნელის შინაარსის გადმოცემაც კი გვიჭირდება. ვინ არის ეს მარტიანთ ზაპა? რად არის აღწერილი იმისი ცხოვრება? რა ტიპია წარმოდგენილი?

თხუთმეტის წლისა რომ იყო „ზაპა“, მამა მოუკვდა; მერე მამას „სული აუხსნა“ ე. ი. წირვა გადაუხადა მღვდლის წყალობით; მღვდელმა წირვის თასში ორის წლით მოჯამაგირედ დაიჭირა. მერე ცოლი შეირთო „ზაპამ“; ექვსი ქალი დაესვია თავსა; მუშაობდა მხნედ, მაგრამ მაინც ვერ ასდიოდა ოჯახს. ერთ-ხელ კენახში წოლის დროს სიზმარი ნახა, შეე-

შინდა ძალე არ მოგვედგო, თავისი უფროსი ცამეტის წლის ქალი შენთა ერთს ბრუციანს დალაქს, შესიძელ შეიყვანა და შეძდეგ სული ღმერთს მიხაზა. აი ეს ამხავი არის 44 გვერდზედ გაჭრელებული.

უფერული ცხოვრების აღწერაა და თითონ მოთხრობაც უფერული უნდა გამოხდეს, იქნება სთქვას ზოგიერთმა. კვ ჩვენც ვიტყვით, რომ გლეხ-კაცების ცხოვრება უფერულია, მაგრამ, თუ მწერალს ნიჭი აქვს თითონ ამ უფერულბაში უნდა მოხაზოს იმისთანა მხარე, რომელსაც მკითხველის გატაცება შეეძლოს. ავტორსაც მოუნახავს ზოგიერთი ამისთანა მხარე: გლეხი იმიტომაც ცოცხლობს და ტანჯვა-წვალების ცხოვრებას არ უტყდება, რომ ყოველივე, რაც კი გარშემო ზრტყია დიდს სიამოვნებას აჩვენებს მას.

«ის (გლეხი) ყველას ივიწყებს, როცა თავის შავ-თვალა ხარს შექნედავს მოღრუბლულ თვალბაში. ყურს არ გიგდებს გლეხი, გინდ მისი ბედ-ილბალი ხელის გულზე გადუშალო, როცა მზრუნველი თვალით უმზერს თავის დოლა-ფურს!... ის (გლეხი) შესვენებას და სიუკოებას ხარ-კამერში, საქონელში, სარში, ჯაბიკში, ქვაში და სხვა მის გარშემო მყოფში პოობს. ვის არ უნახამს, რომ გლეხს შეჭყვარებოდეს რიყზე ქვა, აეკიდნოს, წელი მოეწყვიტნოს რამდენიმე ვერსის გამოცარებით და ჩამოღების დროს სიამოვნებით წაელუღლულნოს: «მარნის კუთხეთ, საბძლის კუთხეთ»....»

ავტორს მართლაც მიუგნია, რაც აცოცხლებს და ასულდგმულებს გლეხის გულს, მაგრამ მოთხრობისთვის კი ვერ გამოუყენებია. შემოდ ამოწერილისთანა ჭრავები ბევრია მოთხრობაში გახეული, მაგრამ იმათ ისე არა აქვთ კავშირი მარტივანთ შინასთან, როგორც ჩვენ ჩინეთის იმპერატორთან. აი ეს არის სხვათა შორის მიზეზი რომ თითონ მოთხრობა სიტუების მდინარეს წაუღია და დაიწყოების ზღვაში ჩაუგდია.

წიკითხავ ჩის ვაი-ვაგლასით მთელს მოთხრობას და, რომ აკითხათ, რა გამოვიტანეთ, ვასუსს ვერას იტყვიან.

მარტო სიტყვებით არ არის ეს მოთხრობა გატენილი. სხვა-და-სხვა ამბებიც ბევრია:

აი, კენახში რძე გლეხი მუშაობს; ერთს ახველებს, რთ-გორც ეტყობა აწერიდამ ჭლექი სჭირს; ლაშარაკობენ თავიანთ ბედ-იღბალზედ სამს-ოთხს ვკვრდზედ.

— რა დამოკიდებულება აქვს მათ ლაშარაკს მოთხრობასთან, მარტოიანთ ვაშასთან?

— არაფერი.

გლეხები კენახში მუშაობენ და „კენახი და კენახა“ ბატონის სახლის ბაღკონზედ სხედან და ლაშარაკობენ.

გვესმის რომ ავტორს ეს სტენა იმიტომ აუწერია, რომ დაგვანახოს ზოგი რაგორ ბევრსა მუშაობს და არაფერი რჩება ხელში და ზოგი კი უშრომლად რაგორ უეჭვადვე სავსება.

— დიდად კარგი არის, მაგრამ რა დამოკიდებულება აქვს ამ არსს „მარტოიანთ ვაშასთან“?

— არაფერი.

ავტორი მკვლელ შვიდკარდა სოფელში, ძაღლები გამოუდგინენ და გაიგდეს. ავტორი სოფელშივე შემოვიდენ ნახაწნიკი და მისი „შარაჭიკი“ ცხენებით. სოფელელები ქუდ-მოსდილები მიეგებენ. მართლაც, მკვლელის სშირად შემოდის სოფელში, ნახაწნიკიც, „შარაჭიკიც“ მაგრამ მკითხველმა რა და-საჯა, რომ მოთხრობის მაგივრად რაღაც რცობოდო ამბებს უამბობთ, რომელნიც უბრალო მხიითაც კი არ გადაგიკვრებოთ კრთმასკრთსედა.

თითონ „მარტოიანთ ვაშა“ ისეთი ტიპია, რომელსაც ავტორი სრულიად თანაუგრძნობს: „იქნება ჩვენი ვაშას გული

სხვა გარემოებაში ქვეყნის ნაცარ-ტუტის (?) მჩქეფარე ბაირო-
ნის გუფი გამომდგარიყო და ესლა კი უწყინარი და შეკლას
მოყვარული გუფი გამოვიდა: „ამბობს ის.

აი მართლა, რა გპირობა ჩაიდინა ერთ-სეულ „პაპას“: ბე-
გარაზედ იყო ხალხი გასული და ჩათარძა მათრახი გააკრა პაპას:

«საბრალომ ტვივილი დიდი იგრძნო, მაგრამ წელში აიმატა.
მხეცმა ჩაფარმა დაჰქვივლა და თავში, სახეში დაუშინა მათრახი. ამ ნა-
ღირის საყვარელი აზრი იყო, სუსხი მიეცა გლეხისთვის, ისე რომ ის
გაჰქცეოდა და მხოლოდ მაშინ ანებებდა თავს მსხვერპლსა... პაპას დაგ-
თარში გაქცევა არ ეწერა და მათრახს გაჰქონდა შლაპა-შლუპი... ის
იღვა ერთს ალაგს, მინამ ამ ნაღირს ცემა არ მოსწყინდა.

«მაშ უნდა ჰქონოდა რაიმე ტკბილი დანერგული გულში პაპას,
რომ ასე იტანდა თავის საზარელს ხვედრს...»

არ ვიცით გულში რა ჰქონდა დანერგული, ეს კი ვიცით,
რომ ძარღვებში თქვენს პაპას სისხლის მაგივრად დღე უნდა
სდგმოდა.

როგორ შეეფერება ან ეს სცენა ქართველ გლეხ-კაცის ხა-
სიათს? მოწმად არის დაბარებული პაპა და რადგან სასამარ-
თლესიც ეშინიან და იმ პირისაც, რომლის წინააღმდეგ უნდა
იმოწმოს, ეკედრება მოსამართლეს: ესლავ გამოიშვი შენი კვნი-
სამეო, და დაეცემა მუხლებზე ტირილით?!

არა, თქვენი „პაპა“ ან თქვენის ძანტაზიის ნაყოფია,
ბატონო ავტორო და არა ჩვენის ცხოვრებიდან ამოღებული,
ან უცხო ქვეყნებიდან ჩვენს ლიტერატურაში კონტრასანდით
შემოტანილი.

დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა ახალი წიგნები:

რჩეული ლექსები და სხვა თხზულებანი

თ. მიხეილ ბირთველის ძის თუმანიშვილისა

წინა-სიტყვაობა. — ლექსები. — ბაღჩისაჩაიის შადრევანი,
პოემა ჰუშკინისა. — სალაყობ ფურცელი. — ქართული თეატრი
(კორნაძეების დროის.)

ფასი ექვსი შაური.

წითელი შარანი

საყმაწვილო მათხრობა, რუსულიდამ გადმოღებული

ბიორგი ანდრონიკაშვილისაგან.

გამოცემა წერა - კითხვის საზოგადოებისა.

ფასი ერთი აბაზი.

დროება-ივერია

1881 წელს უუჩნალი «ივერია» გამოავა ყოველ-თვე არა ნაკლებ სუთის დიდის თაბასისა სხალის უუჩრო ვრცელის პრეგ-რამით და სხალ თანამშრომლების დახმარებით.

ყოველ-დღიური გაზეთი «დროება» გამოავა იმავე პრეგ-რამით და იმავე თანამშრომლების დახმარებით, როგორც აქამ-დის გამოდიოდა.

ხელის-მოწერა მიიღება:

თბილისში, «დროება-ივერიის» რედაქციაში, (გალანდინის პრესპექტზედ, თ. ივ. კ. მუსჩანსკის სახლებში, კლუბის ქვე-მით).

მუთაისში: «დროება-ივერიის» აგენტთან ი. ჭყონასთან (სილაზედ, მიჩიან ჭყონის სახლში.)

ქალაქს გარეშე მცხოვრებთ უუჩნალ-გაზეთი ამ ადრესით უნდა დაიბარონ:

Въ Тифлисъ. Въ Редацію Дроба-Иверіи.

ფასი.

	1 წლით.	6 თვით.	3 თვით.
«დროება»-დ «ივერია» რამივე ერთად	14 მან.	8 მან.	5 მან.
«ივერია» ცალკე — —	7 მან.	4 მან.	2 მან.
«დროება» ცალკე — —	9 მან.	5 მან.	3 მან.

უუჩნალ-გაზეთის ფული ხელის-მომწერმა დაბარებისა-თანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

რომელს ხელის-მომწერსაც კი უუჩნალის ნომერი არ მიუვა, უმორჩილესადა ვთხოვთ გვაცნობოს რედაქციაში და ვცდებით მალე გაუგზავნათ დაკარგული ნომერი.

რედაქტორები ილ. ზავეზაძე და ს. მუსხი.